

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები“

მარიამ კვიციანი

მორალური ტრავმა: პრინციპების რღვევიდან პიროვნულ ზრდამდე

ნაშრომი წარმოდგენილია ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მესტვირიშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021 წელი

სადოქტორო პროგრამა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამის ფარგლებში

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დოქტორანტურის სტრუქტურირებული პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები“, DP2016_16

2018 წ - სამეცნიერო- კვლევითი სემესტრი ლიუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში, ბელგია, ERASMUS + სადოქტორო პროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში.



სარჩევი

<u>აბსტრაქტი.....</u>	<u>IV</u>
<u>ABSTRACT</u>	<u>VI</u>
<u>შესავალი</u>	<u>1</u>
<u>თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა</u>	<u>6</u>
1.1. მორალი: ფსიქოსოციალური კონტექსტი.....	6
1.2. მორალური იდენტობა: მორალური იდენტობის თეორიები	8
1.3. მორალური გამოთიშვა	13
1.4. მორალური ზიანი და ტრავმა.....	15
1.5. მორალური ტრავმის შედეგები და პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა.....	20
1.6. მორალური ტრავმა და პოსტტრავმული ზრდა.....	21
1.7. ბაზისური რწმენების რყევა.....	25
<u>თავი II - თეორიული მოდელი.....</u>	<u>27</u>
2.1. კვლევის თეორიული მოდელი	27
<u>თავი III - კვლევის დიზაინი.....</u>	<u>29</u>
3.1. კვლევის დიზაინი	29
3.2. კვლევის მიზნები, ამოცანები და ჰიპოთეზები:	31
<u>თავი IV - თვისებრივი კვლევა</u>	<u>33</u>
4.1. თვისებრივი კვლევის დიზაინი	33
4.2. თვისებრივი მონაცემების აღწერა და ანალიზი: თემატური და კონტექსტუალური ანალიზი	35
4.2.1. მორალური ტრავმა დამკვირვებლის პერსპექტივიდან: სხვების მიერ ჩადენილი ქცევა 37	
4.2.2. მორალური ტრავმა აქტორის პერსპექტივიდან: საკუთარი ქცევა.....	41
4.2.3. მორალური ტრავმის ბუნება: ზოგადი სპეციფიკურის საპირისპიროდ.....	52
4.2.4. მორალური ტრავმა: დინამიკა, შეფასება, შედეგები	55
<u>თავი V - რაოდენობრივი კვლევა</u>	<u>58</u>
5.1. რაოდენობრივი კვლევის დიზაინი	58
5.2. რაოდენობრივი მონაცემების აღწერითი სტატისტიკა.....	61

5.2.1. სქესთა შორის განსხვავებები.....	67
5.2.2. კვლევის ცვლადების კავშირი რელიგიურობასთან	68
5.3. დასკვნითი სტატისტიკა.....	69
5.3.1. დეპრესია, შფოთვა, სტრესი: მორალური განზომილებები და ნეგატიური შედეგები ..	69
5.3.2. პოსტტრავმული ზრდა: მორალური განზომილებები და დადებითი შედეგები	76
5.3.3. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი: მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია....	81
5.3.4. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი: მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია	83
<u>თავი VI - შედეგების განხილვა</u>	<u>85</u>
6.1. სქესთა შორის განსხვავებები მორალური იდენტობის, მორალური ტრავმის, ბაზისური რწმენების რყევის და პოსტ-ტრავმული ზრდის მიხედვით.....	86
6.2. მორალური კომპონენტების, ბაზისური რწმენების და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი რელიგიურობასთან.....	88
6.3. მორალური კომპონენტების და შფოთვა, სტრესი, დეპრესიის ურთიერთკავშირი	89
6.4. მორალური კომპონენტების და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი	93
6.5. სტრუქტურული გათანაბრების მოდელები	94
6.6. სინთეზი: ზოგადი დასკვნები	98
6.7. შეჯამება.....	102
<u>თავი VII - ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.....</u>	<u>106</u>
<u>თავი VIII - კვლევის ლიმიტები და მომავალი კვლევითი პერსპექტივები.....</u>	<u>108</u>
<u>გამოყენებული ლიტერატურა:.....</u>	<u>109</u>
<u>დანართები:.....</u>	<u>131</u>

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საკუთარი ან სხვის მიერ ჩადენილი ქცევისგან გამოწვეულ ისეთ ტრავმულ გამოცდილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პიროვნების მორალურ პრინციპებს და ყალიბდება როგორც მორალურ ტრავმა. მოცემული კვლევა მორალურ ტრავმას განიხილავს არა როგორც სპეციფიური ჯგუფის გამოცდილების ნაწილს, არამედ ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და აღწერს ამ გამოცდილების შედეგად, ინდივიდის მიერ არსებულ ღირებულებათა გადაფასების და ახალი ღირებულებათა სისტემის შექმნის პროცესს, რაც ინდივიდისათვის პიროვნულ ზრდის მამოტივირებელია. ნაშრომში წარმოდგენილია მორალური ტრავმის დინამიკის თეორიული მოდელი, რომელიც ასახავს მორალური ტრავმისადმი მოწყვლადობის ინდივიდუალურ განსხვავებებს და იმ კომპლექსურ პროცესებს, რომლებიც ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდება. ასევე თეორიული მოდელი აღწერს იმ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ინდივიდი მორალური ტრავმიდან ღირებულებათა გადაფასების გზით პიროვნული ზრდამდე მიდის.

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ინდივიდუალურ განსხვავებებს მორალური ტრავმის მიხედვით მორალური იდენტობის ცენტრალურობა განსაზღვრავს. ტრავმული გამოცდილება კი ბაზისური რწმენების რყევაზე აისახება, რასაც პიროვნება სქემების რესტრუქტურიზაციის გზით ღირებულებათა გადაფასებამდე და პიროვნულ ზრდამდე მიჰყავს. მოდელში აგრეთვე ნაჩვენებია მექანიზმი, რომლის საშუალებითაც პიროვნებას შეუძლია საკუთარი მორალური იდენტობის დისტანცირება მოვლენებისგან, რაც მას ტრავმისგან თავის არიდების საშუალებას აძლევს და რაც მორალური გამოთიშვის სახითაა წარმოდგენილი.

კვლევა წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველი ნაწილი წარმოადგენს კვლევის თვისებრივ ნაწილს, სადაც გაანალიზებულია ინდივიდების სამსახურეობრივი და პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებები, რომლებიც მორალურ ტრავმას უკავშირდება (12 ინტერვიუ). მეორე ნაწილი ეთმობა რაოდენობრივ კვლევას (450 კვლევის მონაწილე) რომლის მიზანსაც კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი თეორიული მოდელის ემპირიული შემოწმება წარმოადგენს. ემპირიული მოდელი მოიცავს მორალური იდენტობის ცენტრალურობის, მორალური გამოთიშვის, მორალური ტრავმის, ბაზისური რწმენების რყევას, ნეგატიური და პოზიტიური

შედეგების (დეპრესია, შფოთვა, სტრესი და პოსტტრავმული ზრდის სახით) ცვლადებს.

შედეგები ადასტურებს, რომ არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები მორალური იდენტობის ცენტრალურობის მიხედვით, რაც ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო ცენტრალურია პიროვნებისთვის მორალური იდენტობა, მით უფრო მოწყვლადია იმ მოვლენებისადმი/ქცევებისადმი, რომლებიც მის მორალურ პრინციპებთან და ღირებულებებთან მოდის წინააღმდეგობაში. მორალური ტრავმა დაკავშირებულია ბაზისური რწმენების რყევასთან, რაც თავის მხრივ ნეგატიურ ემოციურ შედეგებს უკავშირდება. გარდა ამისა, ემპირიული მოდელის მიხედვით, მორალური ტრავმა კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან, რაც ბაზისური რწმენების რყევით არის გაშუალებული: მოვლენა/ქცევა, რომელიც პიროვნების მორალური ღირებულებებს და პრინციპებს ეწინააღმდეგება, ანგრევს არსებულ წარმოდგენებს სამყაროსა და ადამიანებზე, რაც მას სქემების რესტრუქტურულიზაციისკენ უბიძგებს და საბოლოოდ, პიროვნული ზრდის საფუძველს ქმნის.

მორალურ გამოთიშვას და მორალურ იდენტობის ცენტრალურობას შორის ნეგატიური კავშირი არ დასტურდება რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, თუმცა საგულისხმოა რომ თვისებრივი კვლევის შედეგები ასახავს პროცესს როდესაც ადამიანები ტრავმის ასარიდებლად აქტიურად იყენებენ ტექნიკებს, რომლებიც მორალურ გამოთიშვად შეიძლება დიფერენცირდეს.

საბოლოოდ, მიღებული შედეგები ცხადჰყოფს, რომ მორალური ტრავმის სტრუქტურა და დინამიკა ტრავმის ზოგადი მოდელის ძირითადი სტრუქტურა მსგავსია, თუმცა განსხვავდება პროცესთან დაკავშირებული შინაარსები, რაც მორალურ ტრავმას სპეციფიკური სახის ტრავმად აიდენტიფიცირებს.

საკვანძო სიტყვები: მორალური ტრავმა, მორალური იდენტობა, პოსტტრავმული ზრდა, მორალური გამოთიშვა, ბაზისური რწმენების რყევა

Abstract

The presented study refers to a traumatic experience caused by one's own or someone else's behaviour, which comes in contradiction with the moral principles and values individual holds. This paper considers moral injury not as part of a specific group experience, but as a general life experience and describes the process of re-evaluating an individual's existing values as a result of that experience. The study presents a theoretical model of the dynamics of moral injury, that reflects the individual differences and complex processes associated with traumatic experiences. The theoretical model also describes the mechanism by which an individual goes from moral injury through a reassessment of values to personal growth.

According to the presented model, Individual differences in moral injury are defined by moral identity centrality. traumatic experience shatters existing assumptions, which in turn leads an individual to personal growth. In the model, mechanism, known as moral disengagement, by which individual distances him/herself from and avoids the traumatic experience is discussed.

The study is presented in two parts. The first part is a qualitative part of the study, which analyzes work-related and personal life experiences, that are associated with moral injury (12 interviews). The second part is quantitative research (450 study participants) purpose of which is to empirically test the theoretical model presented in the research.

The empirical model discusses variables as moral identity centrality, moral disengagement, moral injury, shattered beliefs and negative and positive outcomes (such as depression, anxiety, stress and post-traumatic growth)

Results indicate, that there are individual differences in moral injury according to moral identity centrality, which means, that the centrality of moral identity indicates the vulnerability of individual to experiences/events, that come against ones' moral values and principles.

Moral injury is associated with shattered assumptions, which in turn is related to negative outcomes. Other than that, according to empirical model, the connection between moral injury and post-traumatic growth is mediated by shattered assumptions: An event/behaviour that goes against a person's moral values and principles, destroys existing perceptions of the world and people, pushing him or her to restructure schemes and ultimately creating the basis for personal growth.

Quantitative research indicates, that relationship between moral disengagement and moral identity centrality is not statistically significant, however, it is noteworthy, that results of the qualitative study speak of the process through which individuals try to avoid morally injurious experiences and use technics that might be differentiated as an act of moral disengagement.

Thematic and contextual analyzes of the data proved, that structure and dynamics of moral injury are in line with the structure of general trauma, which indicates, that moral injury can be discussed according to the model of the psychological trauma.

Keywords: Moral injury, Post-traumatic growth, Moral disengagement, Shattered assumptions

შესავალი

საკუთარი თავის პოზიტიური ხედვა ყველა ადამიანისთვის აუცილებელი და სასურველი მდგომარეობაა. როგორც წესი ადამიანებს უნდათ, რომ სხვებს მოსწონდეთ და „კარგ“ ადამიანად თვლიდნენ მათ, რაც ჩვეულებრივ, „კარგი“ ქცევით, დამოკიდებულებით, აზროვნებით, ღირებულებებით მიიღწევა. კარგის და ცუდის განზომილებაში ქცევების განსჯას და ამ შეფასებითი მსჯელობის აუცილებლობას კი მორალის კატეგორიამდე მივყავართ .

მორალი წარმოადგენს კულტურის მიერ დადგენილ ნორმებს იმის შესახებ, თუ რა არის სწორი ან არასწორი, კარგი ან ცუდი, მისაღები ან მიუღებელი საზოგადოებისთვის (Hitlin & Vaisey, 2010; Stets & Turner, 2006). მორალის თეორიები ცდილობენ ახსნან პიროვნების მორალური საქციელი, იპოვონ მორალურობის საწყისები, შეძლონ წინასწარმეტყველება და მორალური ქცევის მართვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რაც მორალის ფსიქოლოგიაში დღემდე აქტუალურია, ეხება მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის განსვლას. რატომ ფიქრობენ ადამიანები ერთს და აკეთებენ მეორეს?

მიუხედავად იმისა, რომ მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის განსვლის ახსნა მორალური თეორიების უმეტესობისთვის რთულია, მორალური იდენტობის თეორია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ თეორიას, რომელიც ემპირიულად დადასტურებული შედეგებითაა გამყარებული (S. A. Hardy & Carlo, 2011; Lapsley & Narváez, 2004).

იდენტობის თეორიის მიხედვით, იდენტობის ვერიფიკაცია (ქცევები, რომლებიც შეესაბამება და ადასტურებს მოცემულ იდენტობას), დადებით ემოციებს აღძრავს, ხოლო საწინააღმდეგო ქცევები - უარყოფითს (Burke & Stets, 2009). სწორედ აქიდან გამომდინარეობდა დაშვება, რომ მორალური იდენტობა აიძულებს ადამიანს ჩაერთოს მორალურ ქმედებებში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მორალური იდენტობა გარკვეული ხარისხით ყველა ადამიანის ნაწილია, აქაც შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს იდენტობა პიროვნებისთვის. მორალური იდენტობის, დღესდღეობით ყველაზე სრულყოფილი, სოციალურ-კოგნიტიური კონცეფციის მიხედვით (Aquino & Reed,

2002a; Lapsley & Narváez, 2004), პიროვნების მორალური იდენტობა შენახულია მეხსიერებაში, როგორც კომპლექსური ინფორმაციის სტრუქტურა მორალური ღირებულებების, მიზნების, მახასიათებლების, და ქცევითი სკრიპტების შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ ცოდნა შექმნილია ცხოვრებისეული გამოცდილებისგან, რაც განსხვავდება ინდივიდუალურად, შესაბამისად არსებობს განსხვავებები მორალური სელფ-სქემების მნიშვნელობასა და ცენტრალურობის მიხედვითაც. პიროვნებისთვის, ვისი თვით-კონცეფციისთვისაც მორალური იდენტობა უფრო ცენტრალურია, მორალურ ადამიანად ყოფნა გაცილებით უფრო თვითგანმსაზღვრელია ვიდრე სხვა იდენტობები (Blasi, 2004). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანი, ცენტრალურია ეს იდენტობა პიროვნებისთვის, მით უფრო უარყოფითი ემოციების გამომწვევი იქნება საწინააღმდეგო ქცევის განხორციელება. თუმცა რას ნიშნავს დადებითი და უარყოფითი ემოციები მორალური იდენტობის კონტექსტში და კონკრეტულად რა იწვევს მათ?

მორალური იდენტობის თეორიებიდან რთულია ისეთის პოვნა, რომელიც იდენტობის თეორიაში მასთან დაკავშირებულ ემოციებს აინტეგრირებს. ბლასის მიერ შემოთავაზებული მორალური იდენტობის თეორიაც მორალური ქცევის საფუძვლად უფრო მეტად განიხილავს სელფის კოგნიტურ და ნაკლებად ემოციურ ასპექტებს, მიუხედავად იმისა, რომ ის აღიარებს მორალთან დაკავშირებულ ისეთ ემოციებს, როგორცაა დანაშაულის შეგრძნება (Blasi, 1999), მის მოდელში ემოციური განზომილება არ არის კარგად ინტეგრირებული. თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე ფსიქოლოგებმა და ნეირომეცნიერებმა დაიწყეს მორალური მსჯელობის, მორალური ქცევის და მორალური ემოციების ერთმანეთთან კავშირების კვლევა (Greene et al., 2001; Jonathan Haidt, 2001; Hoffman, 2001; Koenigs et al., 2007; Prinz, 2004).

მიუხედავად იმისა, რომ მორალურ ემოციებთან ბევრი შეგრძნებაა დაკავშირებული (feeling) (Jonathan Haidt, 2003; Stets & Turner, 2006), კვლევები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნებაზე (J. Tangney & Dearing, 2002; Tracy et al., 2007). სირცხვილი დაკავშირებულია მორალური სტანდარტების ისეთ რღვევასთან, რომლის დროსაც მთლიანად სელფი არის ნეგატიურად შეფასებული, სხვა სიტყვებით, პასუხისმგებლობა მთლიანად სელფს ეკისრება. ადამიანები საკუთარ

თავს აღქვამენ ნეგატიურად, მიიჩნევენ სხვებთან შედარებით უღირსად და უჩნდებათ დამალვის, გაქცევის სურვილი. დანაშაულის შეგრძნების დროს ამისგან განსხვავებით, ფოკუსში უშუალოდ „ცუდი“ ქცევაა და არა სელფი. ამ დროს ადამიანები განიცდიან სინანულის შეგრძნებას, რაც მათ აიძულებთ აღიარებას, მობოდიშებას და ჩადენილი ქცევის გამოსწორებას (Turner, 2010).

მექანიზმები, რომლის საშუალებითაც მორალური იდენტობითვის შეუსაბამო ქცევისას პიროვნება ინარჩუნებს საკუთარ თავზე დადებით წარმოდგენას, ერთ შემთხვევაში ეს არის კომპენსატორული მოქმედებები, რომელიც, ესე ვთქვათ, აბალანსებს „არასწორ“ ქცევას (სინანული, მობოდიშება, ჩადენილის გამოსწორება და ა.შ.), ხოლო მეორე შემთხვევაში კოგნიტური მექანიზმები, რომლის საშუალებითაც პიროვნება ახდენს ქცევისგან დისტანცირებას და „ამართლებს“ ქცევას, რომელსაც ბანდურა „მორალურ გამოთიშვას“ უწოდებს (Bandura, 1990a).

თუმცა რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება ვერ ახერხებს ქცევის გამართლებას და ირღვევა მორალური იდენტობა? მსგავსი სახის „რღვევა“, ლიტერატურაში მორალურ ტრავმად არის მოხსენიებული და განმარტებულია როგორც „საკუთარი ან სხვების ქცევების გამართლების ან კონტექსტთან შესაბამისობის უუნარობა და ამ ქცევის არსებულ მორალურ სქემებთან წარუმატებელი აკომოდაცია“ (Litz et al., 2009a). სხვა ავტორი (Silver, 2011) საუბრობს „ღრმა სულიერ ჭრილობაზე, რომელიც აზიანებს პიროვნების იდენტობას, მორალურობის შეგრძნებას და გარშემომყოფებთან ურთიერთობას“. მოვლენა ითვლება მორალურად საზიანოდ თუ ის „არღვევს ღრმად გამჯდარ მორალურ რწმენებსა და მოლოდინებს“ (Litz et al., 2009a).

დღესდღეობით მორალურ ტრავმაზე საუბრისას ერთ-ერთ პოტენციურ ჯგუფად სამხედრო პირებს განიხილავენ (ჯარისკაცებს, ვეტერანებს) (Ames et al., 2019a; Brock & Lettini, 2012a; Litz et al., 2009b). თუმცა სავარაუდოა, რომ მორალური ტრავმა ზოგადად ადამიანური გამოცდილების ნაწილია. ერთია, როდესაც ესეთი ტრავმები მეტად სავარაუდოა სპეციალურ სამსახურებში, თუმცა მეორე მხრივ, ლოგიკურია თუკი გაჩნდება კითხვა, რატომ არ შეიძლება მორალურ ტრავმაზე საუბარი არასპეციფიციური შერჩევის ადამიანების შემთხვევაში? საინტერესოა რას განიცდიან და გრძნობენ, როგორ იქცევიან და რა შედეგებამდე მიდიან ადამიანები მორალური ტრავმის დროს? რამდენად უნიკალურია პროცესი, რომელიც მორალურ ტრავმას

უკავშირდება, თუ უმჯობესია მისი განხილვა ფსიქოლოგიური ტრავმის კონტექსტში მოხდეს?

მორალური სისტემები, სწორსა და არასწორ ქმედებებზე წარმოდგენები ყველა ადამიანის ნაწილია და უმრავლესობას ცხოვრების მანძილზე არაერთხელ უწევს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მის მორალურ პრინციპებსა და იდეალებს არ შეესაბამება. მსგავს სიტუაციებში არჩევანის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება აუცილებლობით გულისხმობს ფსიქოლოგიური, ემოციური თუ ფიზიკური სახის ზიანის მოტანას, რისი ახსნა, გამართლება ან მათგან აზრის გამოტანაც უნდა შეძლოს პიროვნებამ, იმისთვის, რომ საკუთარი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულება შეინარჩუნოს (Bandura, 2002).

მორალურ კატეგორიებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებაც და იმის ჩვენება, თუ რა შეიძლება განაპირობებდეს ტრავმისადმი მოწყვლადობას. კერძოდ, ერთია, რომ მორალური იდენტობა ყველა ადამიანის ნაწილია, თუმცა, მეორე საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის საკუთარი თავის განსაზღვრისას. ჩვენი ვარაუდით, პიროვნება, ვისთვისაც მორალური იდენტობა ცენტრალურია და შესაბამისად მორალური სქემები უფრო სწრაფად და მარტივად ხელმისაწვდომია, ნაკლებად მოახერხებს საკუთარი თავის დისტანცირებას ქცევისგან, სხვა სიტყვებით - ვერ/ნაკლებად გამოიყენებს მორალური გამოთშვის მექანიზმებს, რაც მას მორალური იდენტობის რღვევამდე მიიყვანს.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ბანდურას (Bandura, 1991, 2000) სოციალურ-კოგნიტურ თეორიას, რომელიც ინტერაქციონალისტურ მიდგომას წარმოადგენს და აერთიანებს ქცევებს, ემოციებს, გარემოს და პიროვნებას. შესაბამისად მორალური ტრავმა განხილულია, როგორც სპეციფიკური გამოცდილება, რაც აერთიანებს ინდივიდის სელფ-სტრუქტურას, ემოციურ მიმართებას და კოგნიტურ შეფასებას.

ნაშრომის მიზანია მორალური ტრავმის კომპლექსური შესწავლა და მისი განხილვა, როგორც არა კონკრეტული სპეციფიკური ჯგუფის მახასიათებელი, არამედ მოვლენა, რომელიც შესაძლოა ნებისმიერი ინდივიდის გამოცდილებას ასახავდეს. ნაშრომში აგრეთვე განხილულია, მორალური იდენტობის ცენტრალურობის მნიშვნელობა მორალური ტრავმის განცდაში და ამასთან, მორალური გამოთშვის ფუნქცია, რაც

ტრავმისგან თავის არიდების საშუალებას იძლევა. და ბოლოს, ნაჩვენებია, მორალურ ტრავმასთან დაკავშირებული პროცესების დინამიკა, სადაც პიროვნული ზრდა საბოლოო შედეგად გვევლინება.

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მორალი: ფსიქოსოციალური კონტექსტი

მორალის გაგებისას ათწლეულების მანძილზე დომინირებდა რაციონალური და ობიექტური მიდგომები, რომლის მიხედვითაც, მორალური მსჯელობები, ანუ წარმოდგენები სწორი და არასწორის შესახებ, მხოლოდ რაციონალური განსჯის სფეროში რჩებოდა (Bucciarelli et al., 2008; Chan & University of Wisconsin-Madison, 2008a; Shackelford & Hansen, 2016). სხვა სიტყვებით, ადამიანს, მისი რაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლია გათვალისწინება-მოგება, იწინასწარმეტყველოს ქცევის შედეგები და იმსჯელოს მიზეზშედეგობრივად, მას შეუძლია ქცევის სისწორე-სიმცდარის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ეს ბუნებრივია არ რჩება მხოლოდ ფსიქოლოგიის სფეროში და ბევრი ფილოსოფოსი თუ სოციოლოგი მორალურობას განიხილავს, როგორც რაციონალურ გადაწყვეტილებას ადამიანური პირადი კეთილდღეობის შესახებ (Chan & University of Wisconsin-Madison, 2008b).

მორალის სოციოლოგია ხაზს უსვამს მორალის ფუნქციას, რომელიც აერთიანებს ადამიანებს წესების და მოლოდინების საერთო სისტემის გარშემო (Durkheim & Fields, 1995). დურკჰეიმის (Durkheim, 2012), აღნიშნავს, რომ საზოგადოების არსებობა შეუძლებელია მორალური სისტემის არსებობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები იმოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი, ინდივიდუალური ინტერესის საფუძველზე და უარყოფდნენ კოლექტიურ ინტერესს. მსგავსად, მრავალი დისციპლინა თუ თეორიული ჩარჩო არსებობს, რომელიც მორალური პროცესების მნიშვნელობას მაკრო დონეზე განიხილავს და საუბრობს სოციალურ კეთილდღეობაში მის მნიშვნელობაზე, თუმცა ეს თეორიები ნაკლებად გვაძლევს ინფორმაციას ინდივიდუალურ განსხვავებებზე და ქცევის მოტივებზე.

მორალის ფსიქოლოგია ცდილობს ახსნას რატომ იქცევიან ადამიანები ისე როგორც იქცევიან, რატომ იქცევა ზოგი ადამიანი უფრო მორალურად ვიდრე სხვა? რა ნიშნით განსხვავდებიან ეს ადამიანები ერთმანეთისგან და რა აიძულებს მათ სხვადასხვა სიტუაციაში მოიქცნენ ან არ მოიქცნენ მორალურად.

რაციონალური მიდგომების მაგალითად, მორალური განვითარების თეორიები ცდილობენ აჩვენონ ის, რომ ადამიანი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე

განსხვავებულად მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას მორალურ საკითხებზე. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის (Piaget, 1965), ხოლო მოგვიანებით კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის (Kohlberg, 1981) მიხედვით მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანი უფრო მეტად იღებს მორალურ გადაწყვეტილებებს და შესაბამისად ახორციელებს მორალურ ქცევას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მორალური განვითარების თეორიები ბევრი წლის მანძილზე დომინანტური იყო მორალური ქცევის გაგებისას, ემპირიულმა კვლევებმა არ დაადასტურა მორალური განვითარების და მორალური ქცევის კავშირი, რაც გულისხმობდა იმას, რომ მსჯელობასა და ქცევას შორის არსებობს განსვლა და მორალური ქცევის წინასწარმეტყველებისას აუცილებელია სხვა ფაქტორის გათვალისწინება (Blasi, 1980).

ამის საპირისპიროდ, ჩნდება თეორიები, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ობიექტურ მორალურობას და ადგილს არ უტოვებს აგენტობის რაციონალურობას (Moshman, 2008). მათ შორის პერსონოლოგიური, იდენტობის პრაგმატული (D. Krebs, 2008; D. L. Krebs & Denton, 2005); სოციალურ ინტუიციური თეორიები (Jonathan Haidt, 2012; Jonathan Haidt & Kesebir, 2010).

თუმცა მორალური ქცევის ემოციურ ასპექტებზე ევოლუციური თეორიებიც ამახვილებს ყურადღებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალურობის საფუძველი პირველადი ემოციური რეაქციებიდან მომდინარეობს (ემპათია ტანჯვაზე, გაბრაზება წინააღმდეგობაზე და ა.შ.), რაც საბოლოოდ ადამიანის გადარჩენას უწყობდა ხელს (Hauser, 2007).

ჩამოთვლილ ეგრეთ წოდებულ „არა ობიექტივისტურ“ თეორიებში ყველაზე ფართოდ განხილული და წარმოდგენილი არის ჰაიდტის სოციალურ ინტუიციური თეორია (Jonathan Haidt, 2013), რომელიც მორალურობას - სწორსა და არასწორს ნებისმიერ საკითხში - განიხილავს, როგორც პრე-რაციონალურს, რაც დამოკიდებულია პიროვნულ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტზე. მსგავსი, კონტექსტთან შესაბამისი შეხედულებით, მსჯელობა სწორსა და არასწორზე ვერ იქნება ვალიდური თუკი არ გავითვალისწინებთ „ვის მიმართ“, ან „როდის“ ან „რა გადმოსახედიდან“ იქნება ის მიმართული (Kane, 1994). ჯგუფის დონეზე, მორალურობა შეფასებულია

კონკრეტულად იმ საზოგადოების წესებთან, ნორმებთან და საჭიროებებთან მიმართებაში, რომელი საზოგადოებაც ქმნის ღირებულებებს (Damon, 1977).

ჰაიდტი, მის თეორიაში მორალის საწყისად ინტიუტურ საფუძვლებს განიხილავს (Haidt & Kesebir, 2010). ის საუბრობს, რომ მხოლოდ რაციონალური მსჯელობა ვერ იქნება მორალური განსჯის საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ პირველადი ემოციური რეაქციები განაპირობებენ რაციონალურ მსჯელობათა იმ ჯაჭვს, რომლითაც ჩვენ ამა თუ იმ ქცევას მორალურად ვაფასებთ.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ინტუიციური თეორია საფუძვლიანად მიმოიხილავს მორალური მსჯელობის საწყისებს და რაციონალობა-აფექტურობას შორის კავშირს, როგორც აღვნიშნეთ, ემპირიული კვლევები მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის სუსტ კავშირზე მიგვითითებს (Blasi, 1980; S. A. Hardy & Carlo, 2011). იმ მიზნით, რომ აეხსნათ არსებული განსვლა მსჯელობასა და ქცევას შორის, მკვლევრებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ მორალური ქცევის განხორციელებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად მორალურად მიაჩნია ადამიანს საკუთარი თავი და რამდენად ახლოს არის მისი პიროვნებისთვის ესა თუ ის მორალური მახასიათებელი. სწორედ აქ ჩნდება ტერმინი „მორალური სელფი“, იგივე „მორალური იდენტობა“ (Blasi et al., 1994). მორალური იდენტობა განმარტებულია როგორც „ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია მორალურ პიროვნებად ყოფნა საკუთარი თავის განსაზღვრისას“.

1.2. მორალური იდენტობა: მორალური იდენტობის თეორიები

მორალური იდენტობის სოციალურ-კოგნიტური მოდელის მიხედვით (Cervone & Tripathi, 2009; Lapsley & Hill, 2009), პიროვნება წარმოადგენს კოგნიტურ-აფექტური პროცესების დინამიურ სისტემებს, რომლებიც ინტერაქციაშია სიტუაციასთან (Bandura, 1986; Mischel, 1979). შესაბამისად, მსგავსი მიდგომები მორალური ფუნქციონირების გასაგებად სოციალურ-კოგნიტურ მექანიზმებს იყენებს.

სქემები წარმოადგენს ცოდნის სტრუქტურებს გონებაში, რომლებიც საკუთარი თავის სხვადასხვა ასპექტების რეპრეზენტაციას წარმოადგენს. სქემები, რომლებიც

კოგნიტიურად უფრო მეტად ხელმისაწვდომია, სოციალური ინფორმაციის გადამუშავებისას უფრო ადვილად აქტიურდებიან (Higgins, 1999). შესაბამისად, მორალური იდენტობაში შეიძლება იგულისხმებოდეს ის მორალური სქემები, რომლებიც სოციალურ სიტუაციებში მუდმივად ხელმისაწვდომნი არიან (Gibbs, 2019; Lapsley & Lasky, 2001; Lapsley & Narváez, 2004; Narvaez et al., 2006). ვარაუდი, რომ მორალური სქემები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი იდენტობისთვის მნიშვნელოვნად თვლიან, შესაძლოა სწორედ უკვე აღნიშნული მუდმივად ხელმისაწვდომი სქემები ყოფილიყვნენ (Lapsley & Narváez, 2004), მოგვიანებით ემპირიულად დადასტურდა (Aquino et al., 2009). მორალური სქემის ხელმისაწვდომობა მორალური პასუხის/რეაქციის ავტომატურობას განაპირობებს, რაც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მორალური ექსპერტობა (Narvaez & Lapsley, 2005). სხვა სიტყვებით, მორალური სქემების ხელმისაწვდომობა ადამიანებს საშუალებას აძლევს უფრო მეტად სენსიტიურები იყვნენ სიტუაციის მორალურ ასპექტებთან მიმართებაში, მოახდინონ მათი სწრაფი ინტერპრეტაცია და შემდგომ რეაგირება.

მორალური სქემა, რომელიც ყველაზე მეტად რელევანტურია მორალური იდენტობისთვის, წარმოადგენს პიროვნების კონცეფციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო მორალური პიროვნება (Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006). სოციალურ ფსიქოლოგიაში ფართოდ არის განხილული მოსაზრება, რომ ადამიანებს გააჩნიათ სხვადასხვა იდენტობები იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნიან, რა როლს ასრულებენ, და როგორ ადამიანად უნდათ რომ წარმოჩნდნენ სხვებთან (*person identities*) (Stets & Carter, 2006). მსგავსი სოციალური იდენტობები სოციალურ სელფ-სქემაში ერთიანდება, საიდანაც ზოგიერთი სხვებთან შედარებით უფრო მეტად მნიშვნელოვანია სელფისთვის. მორალური იდენტობა შეიძლება განხილული იყოს ერთ-ერთ სოციალურ იდენტობად, რომელიც მორალური ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებების გარშემო შენდება. ამ იდენტობასთან მიმართებაში განიხილება ორი ფაქტორი: პირველი, შინაარსი რომელსაც ადამიანი დებს მორალურ იდენტობაში (მახასიათებლები, რომლებითაც ის მორალურ პიროვნებას აღწერს) და მეორე, მისი ცენტრალურობა სელფისთვის (Aquino & Freeman, 2009; Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006). ავტორები განიხილავენ, რომ რაც უფრო ცენტრალურია

მორალური იდენტობა, მით უფრო დიდ როლს ითამაშებს ის პიროვნების ქცევებსა და განსჯებში (Stets et al., 2008). თუმცა, სიტუაციური ფაქტორები ასევე განაპირობებს იმას, თუ რამდენად აქტივირებული იქნება მორალური იდენტობა კონკრეტულ შემთხვევებში (Aquino et al., 2009; Aquino & Freeman, 2009; Monin & Jordan, 2009).

ამას გარდა, არსებობს მორალური იდენტობის განსხვავებული სოციალურ-კოგნიტური მიდგომები, რომლებიც ცდილობს მორალური ფუნქციონირების კოგნიტური მექანიზმების აღმოჩენას. რამდენიმე მიდგომა განხილულია ქვემოთ:

მორალური იდენტობა, როგორც სავალდებულო მორალური სოციალური როლები:

ამ შემთხვევაში მორალური იდენტობა განხილულია როგორც სელფისთვის მნიშვნელოვანი სოციალური როლების და ქმედებების შესრულება (Hart et al., 1999; Kurtines et al., 1991). განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აქ აქცენტი კეთდება სოციალურ როლებზე და კონკრეტულ ქმედებებზე და არა პიროვნებაზე. ჰარტს მაგალითისთვის მოჰყავს მოხალისეობრივი სამსახურის შესრულება, რაც მან თავის კვლევაში გამოიყენა მორალური იდენტობის ინდიკატორად (Hart, 2005), მსგავსად, განიხილება სისხლის დონაცია, როგორც სოციუმში მიღებული მორალური ქცევა, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვანია სელფისთვის (Piliavin & Callero, 1991).

მორალური იდენტობა, როგორც ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში მორალური თვითრეპრეზენტაცია:

სელფი ხშირ შემთხვევაში განხილულია, როგორც ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში ორგანიზებული მენტალური რეპრეზენტაციების ერთობლიობა (Kihlstrom et al., 2003). ეს თვით-რეპრეზენტაციები, რაშიც მოიაზრება ინფორმაცია დროის, ადგილის, როლების შესახებ, შენახულია მეხსიერებაში, რომელიც ნაწილობრივ ემოციებითაა მართული. სწორედ ამიტომ, მორალური იდენტობა შესაძლოა მოიცავდეს ემოციების გავლით მორალური მნიშვნელობებით გაჯერებულ თვით-რეპრეზენტაციებს, რომლებიც შენახული და ორგანიზებულია ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში მორალური სელფ-ნარატივის შესაქმნელად (Damasio, 1994; Lapsley & Stey, 2008; Reimer, 2003; Reimer & Wade-Stein, 2004). ქმედების მოსალოდნელი შედეგები შეფასებულია იმ

ემოციების საფუძველზე, რომლებიც მსგავს სიტუაციასთან დაკავშირებულ სელფ-ნარატივთან ასოცირდება.

მორალური იდენტობა, როგორც იდეალური მორალური სელფი:

შესაძლო სელფები, როგორებიცაა სასურველი, იდეალური, ან მიუღებელი და საშიში, სელფ-სქემების იმ ტიპებს წარმოადგენს, რომლებიც მომავალი ქცევის მოტივაციას ქმნის (Oyserman & James, 2009). სასურველი სელფი ისეთი სელფის რეპრეზენტაციაა, რომლის მიღწევაც პიროვნებას იდეალურ შემთხვევაში სურს და შესაბამისად პიროვნების ქცევებს გარკვეული მიმართულებით მიმართავს. ამის საპირისპიროა მიუღებელი სელფი, რომლის თავიდან არიდებასაც ცდილობს ადამიანი. მორალური იდენტობის ნაწილად შეიძლება განხილული იყოს აგრეთვე ის, თუ რამდენად მორალური მახასიათებლების მატარებელია პიროვნებისთვის სასურველი სელფი და რამდენად ამორალურია მისთვის მიუღებელი სელფი.

როგორ ფორმირდება მორალური იდენტობა: სოციალურ-კოგნიტური თეორია

სოციალურ-კოგნიტური თეორიის პერსპექტივიდან, მორალური იდენტობის ფორმირების საფუძველი ხელმისაწვდომი სქემების შექმნა და მათი ურთიერთკავშირია (Lapsley & Narváez, 2004). მორალური სქემები ისეთ პროტოტიპებს შეიცავს, როგორებიცაა წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს იყო მორალური პიროვნება, მორალურ ქცევასთან დაკავშირებული მოქმედების და მოვლენების სკრიპტები და შესაძლო სელფები. მოზარდებთან შედარებით ბავშვებს გაცილებით ნაკლები მორალური სქემა აქვთ, ხოლო არსებული სქემები შეიძლება ნაკლებად განვითარებული და ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაციის გადამუშავებისთვის. აქედან გამომდინარე მათი რეაქციები შესაძლოა ნაკლებად შესაფერისი და შედარებით ნელი იყოს (Narvaez & Lapsley, 2005). მოზარდებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გვიან მოზარდებს უფრო ზედმიწევნით და ნიუანსირებულად შეუძლიათ მორალური ადამიანის აღწერა ვიდრე ადრეულ მოზარდებს, საიდანაც ავტორები ასკვნიათ, რომ მენტალური რეპრეზენტაციები მორალური პიროვნების შესახებ ზუსტად მიჰყვება განვითარების სტადიებს და კოგნიტური სიმწიფის და სოციალური დასწავლის თანადროულად ვითარდება (S. Hardy et al., 2009). მორალური პროტოტიპების შინაარსის და სტრუქტურის გარდა (S.

Hardy et al., 2009), არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროტოტიპები სელფისთვის და კოგნიტურად რამდენად ხელმისაწვდომია ისინი (Aquino et al., 2009). სხვა სიტყვებით, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მორალური ადამიანის სოციალური იდენტობა (Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006), სწორედ ეს მნიშვნელოვნება უნდა განაპირობებდეს შემდეგ ინფორმაციის გადამუშავებისთვის აუცილებელ კოგნიტური სქემების ხელმისაწვდომობასაც (Bizer & Krosnick, 2001). ისევე როგორც სხვა სოციალური კოგნიციები, მაგ. დამოკიდებულებები და ღირებულებები (Grolnick et al., 1997), მორალური პროტოტიპების სელფისთვის მნიშვნელოვნებაც შესაძლოა ისეთი კონტექსტით იყოს წახალისებული ან შემზღვევადი, როგორც მაგალითად ოჯახური გარემო (S. A. Hardy et al., 2010). მეცნიერების ნაწილისთვის, მორალური პროტოტიპები მორალური იდენტობის ფორმაციის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს (Aquino & Reed, 2002a; Stets & Carter, 2006), მაშინ როდესაც მეორე ნაწილი საუბრობს, რომ მორალური იდენტობისთვის კრიტიკული სქემები მენტალური რეპრეზენტაციები და მორალური ქმედებებია (Lapsley & Narváez, 2004; Reimer, 2003). მორალურ ქცევასთან დაკავშირებული სკრიპტები თუ მოვლენის რეპრეზენტაციები იმ სოციალური გამოცდილებების შედეგად ვითარდება, რომლებიც ბავშვებს აქვთ (მაგ. გასაჭირში მყოფი ადამიანის დახმარება ან მოხალისეობა) (Lapsley & Narváez, 2004). მსგავსი მორალური ქმედებების ან მოვლენების რეპრეზენტაციების საშუალებით ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში ფორმირდება ქცევითი სკრიპტები, რაც შემდგომ ამ ქცევების ავტომატურობას განაპირობებს, ხოლო ამ ქცევების შეფასებითი და აფექტური ნაწილი მომავალში ადამიანებს ქცევის განხორციელების ან თავიდან არიდებისკენ უბიძგებს (Reimer, 2003). და ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორალური იდენტობის ჩამოყალიბებაში შესაძლოა სელფებს დიდი მნიშვნელოვან აქვთ, მოზარდები იმის მიხედვით წარმართავენ ქცევას თუ როგორ ადამიანად ისურვებდნენ (იდეალური სელფი) ან არ ისურვებდნენ (მიუღებელი სელფი) ყოფნას (ideal, desired, or hoped-for self) (Markus & Nurius, 1986). ეს შესაძლოა სელფები ერთგვარ სამიზნე მდგომარეობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომლისკენაც ან ილტვიან ან რომელსაც ერიდებიან ადამიანები. აქიდან გამომდინარე, სოციალურ-კოგნიტური თეორიის მიხედვით მორალური იდენტობის ფორმირება შესაძლოა ნაწილობრივ

მორალური შინაარსის მექონე შესაძლო სელფების კონსტრუირებით იყოს განპირობებული. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური განსხვავებები იმის მიხედვით, თუ რამდენად ემთხვევა ადამიანის მენტალური რეპრეზენტაციები მორალურ ადამიანსა და იმ მის იდეალურ სელფს შორის.

1.3. მორალური გამოთიშვა

ემპირიულ ლიტერატურაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ მორალურ მსჯელობას აუცილებლობით არ მოჰყვება შესაბამისი ქცევა და არსებობს განსვლა მათ შორის (Aquino et al., 2009; S. A. Hardy & Carlo, 2011). სხვა სიტყვებით, ადამიანები მსჯელობენ მორალურად, თუმცა ყოველთვის არ იქცევიან შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მორალური იდენტობის მნიშვნელობა გარკვეულწილად ავსებს ამ კავშირს, საინტერესოა მექანიზმი, თუ როგორ ახორციელებს პიროვნება მისივე მსჯელობის საპირისპირო ქცევას ნეგატიური ემოციური შედეგების გარეშე.

ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს მორალური გამოთიშვა წარმოადგენს, რომელიც კოგნიტური დისონანსის შემცირებით (Detert et al., 2008), პიროვნებას საშუალებას აძლევს გაამართლოს საზიანო ქცევები, ისე რომ შეინარჩუნოს სელფ-იმიჯი (Bandura, 1986). მორალური გამოთიშვის ცნება პირველად ალბერტ ბანდურამ აღწერა თავის წიგნში სოციალურ-კოგნიტური თეორიის შესახებ, სადაც იკვლევდა მორალურ მსჯელობასა და ქცევას შორის კავშირს. ის ცდილობდა აეხსნა, თუ როგორ შეიძლება „კარგმა“ პიროვნებამ განახორციელოს „ცუდი“ ქცევა (Bandura, 1986). მორალური გამოთიშვა ცნობილია, როგორც „სოციალური უსაფრთხოებისთვის საზიანო ქცევების გამართლება, თვითშეფასების შენარჩუნებისა და ზიანზე პასუხისმგებლობის მინიმიზაციის მიზნით“ (Caprara et al., 2009). მორალურ გამოთიშვაში იგულისხმება რვა ერთმანეთთან დაკავშირებული კოგნიტური მექანიზმები, რისი საშუალებითაც ადამიანები ახდენენ ინტერნალიზებული მორალური სტანდარტებისგან თავის არიდებას, სხვა სიტყვებით, იქცევიან ამ სტანდარტების საწინააღმდეგოდ ყველანაირი უარყოფითი ემოციის და დისტრესის გარეშე. ბანდურა აღნიშნავს, რომ ამ გზით, ადამიანები თავს არიდებენ დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნებას, რომელიც ჩვეულებრივ თან სდევს ამორალური ქცევის ჩადენას (Bandura, 1991).

მორალური გამოთიშვა დაჯგუფებულია რვა განსხვავებულ მექანიზმად, რომელიც ოთხ ძირითად ჯგუფში ერთიანდება და რომლის საშუალებითაც ადამიანები ამცირებენ ქცევის სიმძიმეს (Hymel et al., 2010):

I ჯგუფი - კოგნიტური რეკონსტრუქცია - ქცევის წარმოჩენა პოზიტიურ ჭრილში, სადაც მოიაზრება:

- 1) **მორალური გამართლება** - პროცესი, როდესაც საზიანო ქცევა გამართლებულია მისი სოციალური სარგებლით.
- 2) **ხელსაყრელი შედარება** - ქცევა შედარებულია მორალურად ბევრად უფრო გაუმართლებელ ქცევებთან, იმისათვის რომ შემცირდეს ინდივიდის ქცევის მნიშვნელობა.
- 3) **ეფემისტური ნიშანი**- ამ შემთხვევაში ხდება ვერბალური მანიპულაცია ქცევის სიმძიმის შესამცირებლად.

II ჯგუფი - საკუთარი აგენტობის მინიმიზაცია გამოწვეულ ზიანში:

- 4) **პასუხისმგებლობის დიფუზია** - და 5) **პასუხისმგებლობის გადატანა** - ორივე შემთხვევაში ხდება საკუთარი პასუხისმგებლობის შემცირება, პირველ შემთხვევაში ხდება პასუხისმგებლობის გაყოფა სხვა ადამიანებთან, რის შემდეგაც მკვეთრად არ ჩანს საკუთარი ბრალეულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ბრალეულობის სხვა ადამიანზე პირდაპირი გადატანა.

III ჯგუფი - ქცევით გამოწვეული შედეგების უგულვებელყოფა ან ზიანის მინიმიზაცია:

- 6) **შედეგების დამახინჯება** - ქცევისგან გამოწვეული შედეგების მნიშვნელობის შემცირება.

IV ჯგუფი - ქცევის მსხვერპლთან დაკავშირება, სადაც მოიაზრება:

- 7) **მსხვერპლის დეჰუმანიზაცია** - მსხვერპლის ადამიანური მახასიათებლების დეპრივაცია
- 8) **ბრალის ატრიბუცია** - ბრალის გადატანა მსხვერპლზე, დადანაშაულება.

ეს კონსტრუქტი სხვადასხვა ქვეყანაში იკვლიეს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ განზომილებებთან, როგორებიცაა პროსოციალური ქცევა და პროსოციალური მორალური განსჯა (Carlo & Randall, 2002; Caroli & Sagone, 2014), აგრესია (Bandura et al., 2001; Paciello et al., 2008), ანტი-სოციალური ქცევა სპორტში (Boardley & Kavussanu, 2010), ბულინგი და ინტერნეტბულინგი (Hymel et al., 2005; Perren & Gutzwiller-Helfenfinger, 2012), ცხოველებისადმი ძალადობის დაშვება (Vollum et al., 2004), და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ბანდურა მორალურ გათიშვას განიხილავს, როგორც პროცესს, არსებობს მეორე მიდგომა, სადაც ეს კონსტრუქტი განხილულია როგორც ნიშანი და დაკავშირებულია მაკიაველიზმთან, ცინიზმთან (ნიშანთან), გარე ლოკუს-კონტროლთან, მორალურ რელატივიზმთან, მაშინ როდესაც დაბალი მორალური გამოთიშვა დაკავშირებულია მორალურ იდენტობასთან, მორალურ იდეალიზმთან, ემპათიასთან, მიმღებლობასთან, პატიოსნებასთან (Moore et al., 2012a).

ერთ მხრივ, რადგან მორალური იდენტობის ცენტრალურობა მორალურ კონტექსტთან დაკავშირებულ სქემების სწრაფ აქტივაციას განაპირობებს, მოსალოდნელია, რომ მორალური გამოთიშვის გამოყენება მეტ რესურსთან იქნება დაკავშირებული, შესაბამისად მორალური იდენტობის მაღალი ცენტრალურობის შემთხვევაში, ნაკლებ მოსალოდნელია მორალური გამოთიშვის გამოყენება.

1.4. მორალური ზიანი და ტრავმა

მიუხედავად იმისა, რომ მორალური ტრავმის კონცეფცია არ არის ახალი - ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, პოეზიაში მრავლად არიან პერსონაჟები, რომლებიც მორალური დილემის წინაშე დგანან - თუმცა ტერმინი „მორალური ტრავმა“ უფრო თანამედროვეა და პირველად ვიეტნამის ომის ერთ-ერთი ვეტერანის ჩანაწერებში ვხვდებით (Brock & Lettini, 2012b).

მორალური ტრავმა მეცნიერული შესწავლის საგანი მას შემდეგ გახდა, რაც პირველად ჯონათან შეიმ პოსტტრამულ სტრესულ აშლილობასთან მისი კავშირი აღწერა. საკუთარ წიგნში „აქილევსი ვიეტნამში: სამხედრო ტრავმა და ხასიათის განადგურება“ (Shay, 1994), იგი ვიეტნამის და ტროას ომის მაგალითზე განიხილავს „და მორალურ

ტრავმას მიაწერს „თემისის“ დარღვევას, რაც ძველბერძნულში ნიშნავს სწორს, მართალს და ჩვეულებრივს. ითვლებოდა, რომ სწორედ ეს იყო ცივილური არსებობის ნიშანი. როგორც შეი აღწერს „ვეტერანებს როგორც წესი შეუძლიათ შიშის, საფრთხის, დარდის გადატანა, როდესაც ისინი ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებიან, იმ შემთხვევაში თუ მათთვის არ არის დარღვეული ის „რაც სწორია“ (Shay, 1994)

“თემისის“ დარღვევისგან გამოწვეულ მწვავე, ხანგრძლივ მდგომარეობას შეუძლია არსებობასთან და მომავალთან დაკავშირებული სურვილების განადგურება. იმის ღალატი, რასაც ადამიანი „სწორად“ თვლის, განსაკუთრებით აზიანებს ღირებულებებს, რასაც იდეალებში, ამბიციებში, კონკრეტულ აქტივობებში დებს. როდესაც ხდება ძირითადი იდეალების ღალატი, მასთან ერთად შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ყველა დანარჩენი იდეალიც (Shay, 1994).

დრეშერი და კოლეგები მორალურ ტრავმას განსაზღვრავენ როგორც „საკუთარი თავისა და სხვები მიმართ ნდობის და მოლოდინების დარღვევას სამართლიანად და ეთიკურად მოქცევასთან დაკავშირებით (Drescher et al., 2011a). ლიცი მორალურ ტრავმას აღწერს როგორც „საკუთარი ან სხვების ქცევების გამართლების ან კონტექსტთან შესაბამისობის უუნარობას და ამ ქცევის არსებულ მორალურ სქემებთან წარუმატებელ აკომოდაციას“ (Litz et al., 2009b). ამასთან, სილვერი საუბრობს „ღრმა სულიერ ჭრილობაზე, რომელიც აზიანებს პიროვნების იდენტობას, მორალურობის შეგრძნებას და გარშემომყოფებთან ურთიერთობას“ (Silver, 2011).

მოვლენა ითვლება მორალურად საზიანოდ თუ ის „არღვევს ღრმად გამჯდარ მორალურ რწმენებსა და მოლოდინებს“ (Litz et al., 2009b).

ადამიანური გამოცდილებების გათვალისწინებით, არსებული განმარტებების შინაარსის ამოცნობა ერთი შეხედვით არ არის რთული. თუკი მორალური სისტემები თითოეული ადამიანის ნაწილია, შესაბამისად მის რღვევასთან დაკავშირებულიც პროცესებიც არ უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული გამოცდილებებთან განხილული.

მორალური დილემების წინაშე დგომა არ გულისხმობს მარტო აგრესიისა და ძალადობის აქტებს და არც მხოლოდ სამხედრო პირებით შემოისაზღვრება. მაგალითად, სამედიცინო პერსონალს, ხშირად უწევს მიიღოს გადაწყვეტილება, ვის უმკურნალოს ორ დაზარალებულს შორის, რაც შეიძლება განიცდებოდეს როგორც

„არჩევანი ვინ გადარჩეს და ვინ არა“. ასევე სხვადასხვა სამსახურის უფროსებს რუტინულად უწევთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც დაქვემდებარებულ პირებს საფრთხეში აგდებს. სამხედრო პირები ასევე პასიურად განიცდიან ან შემსწრეები ხდებიან მორალურად ორაზროვანი ან არასასიამოვნო მოვლენების, როგორებიცაა ადამიანის ტანჯვა, ძალადობის შედეგები, სიმკაცრე (Peterson et al., 2010).

მიუხედავად იმისა, რომ კვლევების ძირითადი სამიზნე სამხედრო პირები არიან, თანდათან უფრო იზრდება მორალური ტრავმის სხვა სეგმენტებზე კვლევის მცდელობა. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში განხილულია მორალური ტრავმის როლი იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაში (Nickerson et al., 2015).

ასევე, ბავშვთა დაცვის სერვისში მუშაობა შესაძლოა იყოს მორალური ტრავმის გამომწვევი, თუმცა ამ შემთხვევაში მკვლევარები განიხილავენ უშუალოდ თანამშრომლების მიერ არაადეკვატურად მიწოდებულ სერვისს და დახმარების ნაცვლად მიყენებულ ზიანს (Kopacz et al., 2015).

საჯარო სკოლაში მომუშავე მასწავლებლები ასევე განიცდიან მსგავსი სახის ტრავმას, გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო გარემო, ეთიკური კუთხით შეიძლება საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდეს მათ (Keefe-Perry, 2018; Levinson, 2015). მაგალითად, ეს შესაძლოა იყოს დასჯის მექანიზმების გამოყენება სკოლის რეგულაციებიდან გამომდინარე, ან სტანდარტიზებული ტესტების ჩატარება, მაშინ როდესაც ეს მათ სწორად არ მიაჩნიათ (Keefe-Perry, 2018).

სამედიცინო ლიტერატურა აგრეთვე აღწერს მსგავს გამოცდილებას პროფესიული საქმიანობისას (Scott et al., 2009; Sirriyeh et al., 2010; Wu, 2000). მაგალითად, ცნება „მეორადი მსხვერპლი“, აღწერს სამედიცინო პერსონალს, რომელიც ჩატარებული სამედიცინო პროცედურის შემდეგ განიცდის ძლიერ სირცხვილს, დანაშაულს და მორალურ დისტრესს (Wu, 2000). მორალური დისტრესი (Jameton, 1984), რომელიც ძირითადად განხილული იყო მედლების შესახებ ლიტერატურაში, გულისხმობდა ისეთი სახის ემოციურ განცდას, რომელიც გამოწვეული იყო შეგრძნებით, როდესაც

იცი რა არის საკითხის სწორი გადაწყვეტა (ამ შემთხვევაში პაციენტის მკურნალობა ან რაიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება), თუმცა ორგანიზაციული თუ სხვა შეზღუდვების გამო არ შეგიძლია აღნიშნულის განხორციელება (Huffman & Rittenmeyer, 2012a; McCarthy & Deady, 2008a). მაგალითად, მედდას, ორგანიზაციული მითითებებიდან გამომდინარე, ხშირად უწევს პაციენტისთვის მტკივნეული და რთული პროცედურის ჩატარება, რის შემდეგაც განიცდის დისტრესს. მორალური ტრავმიდან თავის არიდების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს პაციენტის „დემორალიზება“, რითიც ავტორი აღწერს მდგომარეობას, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება პერსონალის პრინციპები, ღირებულებები და სტანდარტები (Gabel, 2011). ერთ-ერთ კვლევაში ასევე ნაჩვენებია, რომ სამედიცინო პერსონალი ხშირად ახდენს პაციენტის დეჰუმანიზაციას, რაც როგორც აღმოჩნდა ეხმარება მას სამსახურეობრივი გადაწვისგან თავის არიდებაში (I. Shaw, 2004).

ქცევა, რომელიც არღვევს წარმოდგენებს და რწმენებს კარგის და ცუდის, ასევე პიროვნული სიკარგის შესახებ, ქმნის დისონანსს და კონფლიქტს. თუკი პიროვნება ვერ მოახდენს მომხდარის არსებულ სელფ/ურთიერთობის სქემებთან ასიმილირებას ან აკომოდაციას (ინტეგრირებას), ის განიცდის დანაშაულის შეგრძნებას, სირცხვილს და შფოთვის მომხდარის შედეგებთან დაკავშირებით (Litz et al., 2009b).

როგორც უკვე აღვნიშნეთ მორალური ტრავმის ფენომენისთვის ცენტრალურია დანაშაულის შეგრძნების და სირცხვილის „თვითცნობიერი“ ემოციები, რომლებიც ფართოდაა ნაკვლავი (Kubany & Manke, 1995; Tangney et al., 1996; Tracy & Robins, 2006; Urlic & Simunkovic, 2009). მკვლევარები მიუთითებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ემოციები თანადროულია (De Hooge et al., 2007). თვითცნობიერი ემოციები (დანაშაულის შეგრძნება და სირცხვილი) ერთიანდება ემოციების ერთ ზოგად კატეგორიაში, რომელიც აღმოცენდება ქცევის რეფლექსიის ან შეფასებისას ნეგატიური თვით-შეფასების საფუძველზე (Tangney et al., 1996). ამ ორივე ემოციის ელემენტები შეიმჩნევა მორალური ტრავმისას და ხშირად რთულია იმის იდენტიფიცირება თუ რომელი მათგანია წამყვანი. იმისთვის, რომ გავიგოთ როგორ უკავშირდება ეს ორი ემოციური მდგომარეობა მორალურ ტრავმას, ამისთვის აუცილებელია აღვწეროთ განსხვავებები მათ შორის.

დანაშაულის და სირცხვილის ემოციური პროფილის აღსაწერისას ტანგნი და კოლეგები (Tangney et al., 1996) საუბრობენ თვით-კრიტიკის ცენტრალურ როლზე, რომელიც ძირითადად ნეგატიურ თვით-შეფასებასთან არის დაკავშირებული, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ამ ემოციებს შესაძლოა საზოგადოების განსჯა იწვევდეს.

დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნებები პიროვნების მორალურ ასპექტებს უკავშირდება გამომდინარე იქიდან, რომ ხდება ქცევის საკუთარ თავზე ასახვა, სხვა სიტყვებით - თუკი ქცევა არის ცუდი, მაშასადამე მეც ცუდი ადამიანი ვარ, რადგან მე ავირჩიე მოქცეულიყავი ამ გზით (Kim, 2012).

დანაშაულის შეგრძნების შემსუბუქება დაკავშირებული იქნება ქცევასთან, რომელიც გამოასწორებს ქცევის შედეგებს და ამის კარგი მაგალითია, ტრავმასთან გამკლავების ერთ-ერთი მეთოდი - რეპარაციულ აქტივობებში ჩართვა, რაც ეფექტური აღმოჩნდა ვეტერანებთან მუშაობისას (Gray et al., 2012) - აქ იგულისხმება ზიანის ანაზღაურების მცდელობა ამა თუ იმ საშუალებით, იქნება ეს სისტემის გამოსწორების მცდელობა, ადამიანების დახმარება თუ ა.შ. მორალური ტრავმის შემთხვევაში როგორც წესი, ვხვდებით შეფასებას, რომ ქცევამ გამოიწვია გამოუსწორებელი და აუნაზღაურებელი დანაკლისი საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის. ზიანის შეფასება არის „სინდისის ტვირთი“ რომელსაც გოლდშტაინი ადამიანის სასოწარკვეთის მიზეზად განიხილავდა (Goldstein, 1987). ის მნიშვნელობა, რომელსაც ადამიანი ანიჭებს ქცევას, პირდაპირ უკავშირდება ინდივიდის ერთიანობის, იდენტობის, სულიერების და სელფის სხვა ასპექტების შეგრძნებას.

სწორედ ამიტომ, ტრავმასთან გამკლავების მეთოდები ძირითადად ემოციებზეა ფოკუსირებული და მტკივნეული მოგონებების თავიდან არიდებას უკავშირდება (Briere & Scott, 2006). აქიდან გამომდინარე, მორალური ტრავმის გამოცდილება მოიცავს არამარტო დანაშაულის და სირცხვილის მტკივნეულ აფექტურ კომპონენტებს, არამედ რაც მთავარია მორალური სელფის დარღვეულ კოგნიტურ სტრუქტურას, რასაც ბოდრო „დაზიანებულ სულს“ უწოდებს (Boudreau, 2011).

აღწერილი ემოციური მდგომარეობები მოცემული საკითხისთვის საკვანძოა იმდენად, რამდენადაც „კარგ“, „მორალურ“ ადამიანად ყოფნა მოითხოვს არჩევანის გაკეთებას სწორი საქციელის სასარგებლოდ, ხოლო ამ არჩევანის გაკეთება პირდაპირ

უკავშირდება პიროვნებას. ერთი მხრივ მან შეიძლება დაარღვიოს სავალდებულო, უნივერსალური წესები, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის შეგრძნების გამომწვევი, რომ რაღაც ისე არ შეასრულა როგორც საჭირო იყო, ან რაღაც დააზიანა, მეორე მხრივ ეს შეიძლება იყოს ქმედება, რომელიც აჩენს კითხვას: თუ ამის გაკეთება შემძლია ვინ ვარ მე?, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტად უკავშირდება სირცხვილის შეგრძნებებს. თუმცა ბუნებრივია, ეს ორი სახის ემოციური მდგომარეობა მჭირდოდ არის ერთმანეთთან კავშირში და ვერ მოხდება მათი ერთმანეთისგან მკვეთრი დიფერენცირება.

1.5. მორალური ტრავმის შედეგები და პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა

იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევები ჯერ კიდევ მწირია, თავდაპირველი მცდელობა მდგომარეობდა მორალური ტრავმისა და პოსტტრავმული აშლილობის ერთმანეთისგან დიფერენცირებაში და იმის ჩვენებაში, რომ ეს ორი კონსტრუქტი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. პოსტტრავმული სტრესული აშლილობა ბოლომდე ვერ იჭერს იმ სიმპტომებს და არ გულისხმობს იმ შინაარსს, რაც მორალურ ტრავმაში იგულისხმება.

ბუნებრივია ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ კონსტრუქტს შორის მათ მიერ გამოწვეული შედეგებია. ადამიანის რწმენებსა და მოვლენებს შორის განსვლას შეუძლია გამოიწვიოს „ზოგადი აზრის კარგვა“ (Currier, Holland, Drescher, et al., 2015a), შეიძლება პიროვნების ინტერნალიზებულ მორალურ სქემების ერთიანობა დაარღვიოს (Dombo et al., 2013a). სწორედ ეს აზრის და ერთიანობის კარგვა და არა ფიზიკური საფრთხის შეგრძნება (Currier, Holland, Drescher, et al., 2015a), რაც პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობისას წამყვანია, იწვევს სირცხვილის, დანაშაულის, სიბრაზის განცდას (Dombo et al., 2013b; Kopacz et al., 2016; Litz et al., 2009a; J. Shay & Goerner, 1994b), ასევე სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის მიმართ ნდობის კარგვას (Drescher et al., 2011a).

მორალური ტრავმის გარჩევა სხვა ტრავმული გამოცდილებებიდან მნიშვნელოვანია პირველ რიგში იმისთვის, რომ მოხდეს სწორი და ეფექტური საპასუხო მექანიზმის შემუშავება, რომლის საშუალებითაც მდგომარეობის შემსუბუქება გახდება

შესაძლებელი. კვლევებიდან ჩანს, რომ კლასიკური მეთოდები, რომლებსაც იყენებენ ზოგად ტრავმასთან გასამკლავებლად, არ ამართლებს მორალური ტრავმის შემთხვევაში (Gray et al., 2012; Litz et al., 2009b; J. A. Nieuwsma, 2015), და შესაძლებელია რომ ეს წლების მანძილზე ნარჩუნდებოდეს (Litz et al., 2009b). გარდა ამისა, მორალური ტრავმის დაძლევის სტრატეგიები განსხვავდება ზოგადად ტრავმის დაძლევის სტრატეგიებისგან. მორალური ტრავმა შეიძლება შემსუბუქდეს მიმღებლობის, პატიების ან ღირებულებებთან კავშირის აღდგენით (J. A. Nieuwsma, 2015; Park, 2010a). როდესაც ვსაუბრობთ მორალური ტრავმის დაძლევის განსხვავებულ სტრატეგიებზე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად უნდა განვიხილოთ ემპათია. ავტორები საუბრობენ წარმოსახვის უნარზე (Mentalizing) (Fonagy & Allison, 2014), სადაც იგულისხმება ქცევის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ტერმინებით გაგება. სხვა სიტყვებით, პროცესი, რომლის დროსაც პიროვნება ფოკუსირებას ახდენს არამართო იმაზე თუ რამდენად ამორალურია ქცევა, არამედ მოქმედის მოტივაციებზე და ემოციურ მდგომარეობებზე, მაგალითად შიშის, შფოთვის, დაბნეულობის ან ფსიქიკური აშლილობის დროს. მსგავსი სახის რეფლექსია შესაძლებელია ამ პიროვნებას მომხდარის ახსნის კარგ მიზეზებს აძლევდეს და იწვევდეს თანაგრძნობას და გაგებას, რასაც საბოლოოდ პატიებამდე და ფსიქოლოგიურ შევებამდე მიჰყავს (psychological relief) (Ferrajão & Aragão Oliveira, 2016a; Ferrajão & Oliveira, 2014).

1.6. მორალური ტრავმა და პოსტტრავმული ზრდა

მზარდია იმ კვლევების რაოდენობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ტრავმის პოტენციალზე პიროვნული ზრდის პროცესში (Joseph & Linley, 2005a). ტრავმასთან ერთად ხშირად განიხილავენ პოსტტრავმულ ზრდას, როგორც დადებითი ცვლილებების ერთობლიობას, რომელსაც პიროვნება აღწევს ფსიქოლოგიური და კოგნიტური მცდელობების შედეგად.

სტრესული თუ ტრავმული მდგომარეობის შემდგომ პოზიტიურ ცვლილებებს სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებენ: პოსტტრავმული ზრდა (Tedeschi & Calhoun, 1996), სტრესთან დაკავშირებული ზრდა (Park et al., 1996), აღქმული სარგებელი (McMillen & Fisher, 1998), ტრანსფორმაციული გამკლავება, ამაღლებული

ეგზისტენციალური ცნობიერება (Yalom & Lieberman, 1991), პოზიტიური თანა-პროდუქტი (McMillen & Cook, 2003) და ა.შ. ყველა ამ ტერმინს იყენებენ იმის საჩვენებლად, რომ სხვადასხვა სიძნელეების შემდგომ ადამიანებში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები.

ტრავმის შემდგომ ზრდას სამი ძირითადი ფაქტორით აღწერენ. 1. **ცვლილებები ურთიერთობებში:** ადამიანები, რომ უფრო მეტად აფასებენ მეგობრულ და ოჯახურ ურთიერთობებს, უფრო მეტი თანაგრძნობით უყურებენ სხვა ადამიანებს. 2. **ცვლილებები თვითაღქმაში:** მათ ეცვლებათ შეხედულებები საკუთარ თავზე, მაგალითად, ამბობენ რომ აქვთ უფრო დიდი მედეგობის, სიბრძნის და სიძლიერის შეგრძნება, აღიარებენ საკუთარი თავის სისუსტეებსა და ლიმიტებს და 3. **ცვლილებები ცხოვრების ფილოსოფიაში:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ ეცვლებათ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, აფასებენ თითოეულ დღეს და გააზრებული აქვთ რომ ცხოვრება სასრულია. მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანები საუბრობენ, თუ როგორ დაიწყეს ნამდვილი ცხოვრება და რამდენი რამ ასწავლა ტრავმულმა მდგომარეობამ (Cohen et al., 1998; Joseph, 2009a; Linley, 2003; Tedeschi & Calhoun, 1996).

მოვლენები, რომლის შედეგადაც ზრდაზე საუბრობენ მოიცავს სატრანსპორტო შემთხვევებს, ბუნებრივ კატასტროფებს (ქარიშხალი, მიწისძვრა), ინტერპერსონალურ გამოცდილებებს (ომის, გაუპატიურების, ბავშვზე ძალადობის), სამედიცინო პრობლემებს (კიბო, გულის შეტევა, ნებისმიერი სახის დაავადება) და სხვა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს (ურთიერთობების რღვევა, მშობლების გაცილება, იმიგრაცია) (Joseph, 2009a; Linley & Joseph, 2005). პოსტ-ტრავმული ზრდის კვლევები ძირითადად ორიენტირებულია მოზრდილებზე, თუმცა ბოლო ათწლეულის მანძილზე მკვლევრები აგრეთვე დაინტერესდნენ პროცესებით, რომლებიც ბავშვებსა და მოზარდებში შესაძლოა მიმდინარეობდეს.

პოსტ-ტრავმულ ზრდას არამხოლოდ იმ ადამიანებში აქვს ადგილი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეები არიან ამა თუ იმ მოვლენის, არამედ იმ ადამიანების შემთხვევაშიც, ვინც მომსწრეა სხვა ადამიანის გამოცდილების, მაგალითად, ფსიქოლოგები, დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები, მაშველები, დაავადებული ადამიანების ახლობლები (Joseph & Linley, 2006; Linley et al., 2005; Linley & Joseph, 2005, 2007). ერთ-ერთ კვლევაში ნაჩვენები იყო, რომ მსგავსი სახის ზრდა დაფიქსირდა იმ

ადამიანებში, რომლებიც თვალს ადევნებდნენ 11 სექტემბრის ტერაქტს (Linley et al., 2003). ზრდის ხელშემწყობი სხვადასხვა ფაქტორი განიხილება, მათ შორის სულიერება და რელიგიურობა (A. Shaw et al., 2005), პიროვნული ფაქტორები, გამკლავების მეთოდები და სოციალური მხარდაჭერა (Linley & Joseph, 2004). ემოციების რეგულაციის როლი (ფანჯიკიძე, მ. 2017).


პოსტ-ტრავმული ზრდის მრავალი თეორიდან, ერთ-ერთი თეორია, რომელიც აერთიანებს პიროვნებაზე ცენტრირებულ პერსპექტივას პოზიტიურ ფსიქოლოგიის პარადიგმასთან, ორგანიზმული ღირებულების თეორიაა (Joseph & Linley, 2005a). ორგანიზმული ღირებულების თეორია (The organismic valuing process-OVP) გულისხმობს, რომ ადამიანებს აქვს შინაგანი, თანდაყოლილი უნარი იცოდნენ ის, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის. თეორიის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები შინაგანად არიან მოტივირებულნი ისწრაფონ ზრდისკენ.

თეორია სქემატურად წარმოდგენილია სქემა #1-ზე, სადაც ჩანს როგორ გადამუშავდება ტრავმასთან დაკავშირებული ინფორმაცია - ან ხდება არსებული წარმოდგენების დადასტურება/უარყოფა. თუკი ხდება არსებული ინფორმაციის უარყოფა, მაშინ ახალი ინფორმაცია ან ასიმილირდება არსებულ სქემებთან და მოდელებთან ან ეს უკანასკნელნი უნდა აკომოდირდნენ ახალი ინფორმაციის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ ზრდასთან დაკავშირებულ სხვა თეორიებთან შედარებით ორგანიზმული ღირებულების თეორია უფრო ახალია, კვლევებით მისი დადასტურებაც ბოლო ათწლეულის მანძილზე დაიწყო როგორც თვისებრივი (Payne et al., 2007) ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით (Ransom et al., 2008). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა, განმარტების მიხედვით, მოიაზრებს აკომოდაციას და არა ასიმილაციას, მაგრამ თავის მხრივ აკომოდაცია აუცილებლობით არ გულისხმობს ინფორმაციის დადებითი მიმართულებით გადამუშავებას და შესაძლოა, რომ ადამიანმა უარყოფითი მიმართულებით მოახდინოს არსებული სქემების აკომოდაცია ტრავმული გამოცდილების შედეგად.

საბოლოოდ, მოდელი გვთავაზობს ტრავმის შემდგომი მდგომარეობის თეორიულ ანალიზს, მათ შორის ტრავმის ფსიქოლოგიურ გადაწყვეტას: ა) დაბრუნება ტრავმამდელ მდგომარეობაში, რაც პიროვნებას ტოვებს მოწყვლადს ახალი

ტრავმისადმი ბ) ინფორმაციის უარყოფითი მიმართულებით აკომოდაცია, რისი შედეგიც არის ფსიქოპათოლოგია და დისტრესი და გ) ინფორმაციის დადებით მიმართულებით აკომოდაცია, რაც საბოლოო ჯამში აისახება პიროვნულ ზრდაში.

სქემა 1. ორგანიზმული ღირებულების თეორიის მოდელი (Joseph, 2009a) :



მორალური ტრავმის განმარტებისას ჩვენ ვაჩვენებთ, რომ იგულისხმება როგორც საკუთარი, ასევე სხვების მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება პიროვნების მორალურ იდეალებს, ღირებულებებს, პრინციპებს.

სავარაუდოა, რომ როდესაც ტრავმა გამოწვეულია ქცევით, რომლის მონაწილედ თავად პიროვნებაა, პოსტტრავმული ზრდისას მეტად აისახება თვითაღქმის ცვლილებაზე. ეს ვარაუდი მიჰყვება შემდეგ ლოგიკას: მორალური პრინციპებიდან

გადახვევისას, ირღვევა პიროვნების მორალური იდენტობა და ერთიანობა, შესაბამისად მან უნდა მოახდინოს მისი კონფიგურაცია ისე, რომ ახალ რეალობასთან ადაპტირებადი გახდეს (სქემების მოდიფიცირება, სელფ-კონცეფციაში ცვლილებები).

ტრავმული მდგომარეობის შემდგომი პროცესების გარდა, ასევე აუცილებელია იმაზე საუბარი, თუ რა შეიძლება განსაზღვრავდეს ინდივიდუალურ განსხვავებებს. აქ იგულისხმება ის, თუ რა განაპირობებს მორალური ტრავმისადმი მოწყვლადობას. შემოთავაზებულ თეორიულ მოდელში, მორალური იდენტობის ცენტრალურობა იქნება ტრავმის ძირითადი პრედიქტორი, რაც ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო ცენტრალურია პიროვნებისთვის მორალური იდენტობა, მით უფრო მეტად იქნება მოვლენა ტრავმულად აღქმული.

1.7. ბაზისური რწმენების რყევა

სტრესულ მოვლენებთან გამკლავების მოდელები (Janoff-Bulman, 1992; Parkes, 1971) და ის პროცესები, რომლის საშუალებითაც სტრესული მოვლენები პოსტ-ტრავმულ ზრდაზე აისახება (Park & Ai, 2006; Tedeschi & Calhoun, 2004) ძირითადად ფოკუსირებენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეს მოვლენები პიროვნების წარმოსახულ სამყაროზე/წარმოდგენებზე სამყაროს შესახებ. წარმოსახული სამყარო (assumptive world) წარმოადენს პიროვნების ფუნდამენტურ რწმენებს იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები, როგორ ვითარდებიან მოვლენები და რა კონტროლი აქვს მათ ამ მოვლენებზე. ამ წარმოდგენებს სტრუქტურაში მოჰყავს პიროვნების გარშემო მიმდინარე მოვლენები და საშუალებას აძლევს მას, ახსნას, დაგეგმოს და იწინასწარმეტყველოს მის გარშემო სამყარო. მკვლევარების აზრით, „ტრავმის არსი სწორედ შინაგანი სამყაროს დისინტეგრაციაში მდგომარეობს. გამოცდილებები, რომლებიც აღემატება პიროვნების ემოციურ დაძლევას არღვევენ წარმოდგენებს სამყაროს შესახებ“ (Janoff-Bulman, 1992).

პოსტ-ტრავმული ზრდისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სწორედ ის პროცესია, რომლის დროსაც პიროვნება უმკლავდება ტრავმისშემდგომ ახალ რეალობას (Tedeschi & Calhoun, 2004).

სტრესულ მოვლენებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ წარმოდგენები სამყაროზე, რის დროსაც პიროვნებას უწევს გადახედოს აქამდე არსებულ წარმოდგენებს და რწმენებს, და სწორედ ამ პროცესში აღმოაჩინოს პოზიტიურ ცვლილებები და განიცადოს პოსტტრავმული ზრდა (Calhoun & Tedeschi, 2006; Janoff-Bulman, 1992; Joseph & Linley, 2005a; Linley & Joseph, 2005). ავტორები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს მოვლენა პიროვნების მიერ წარმოსახულ სამყაროზე, სხვა სიტყვებით, პოსტ-ტრავმულ ზრდისთვის მნიშვნელოვანია კოგნიტური პროცესი, რომელიც დარღვეული წარმოდგენების აღდგენას და მოდიფიკაციას ემსახურება და არა ის თუ რამდენად სტრესულია თვითონ მოვლენა.

თავი II - თეორიული მოდელი

2.1. კვლევის თეორიული მოდელი

მიუხედავად იმისა, რომ მორალურად ტრავმული გამოცდილება ნაკვლევი კონკრეტულ კონტექსტში და უფრო მეტად დაკავშირებულია სპეციფიკურ გამოცდილებებთან, წინამდებარე კვლევა მორალურ ტრავმას იკვლევს ზოგად პოპულაციაში და აკეთებს დაშვებას, რომ მსგავსი გამოცდილებების არსებობისთვის აუცილებელ პირობას სპეციფიკური პროფესიის ან გამოცდილების ქონა არ წარმოადგენს.


დაშვება ეფუძნება ლოგიკას, რომლის მიხედვითაც მორალური იდენტობა პიროვნების განუყოფელი ნაწილია და არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები მორალური იდენტობის ცენტრალურობის მიხედვით. იდენტობის თეორიის მიხედვით საწინააღმდეგო ქცევა დაკავშირებულია უარყოფით ემოციებთან და პიროვნება მიმართულია იდენტობის აღდგენისკენ. შესაბამისად, მორალური იდენტობის საწინააღმდეგო ქცევით გამოწვეული ნეგატიური პროცესები მორალურ ტრავმად იწოდება.

კვლევის თეორიული მოდელი ეყრდნობა მორალური იდენტობის სოციალურ-კოგნიტურ კონცეფციას და აჩვენებს მორალური ტრავმის გამოცდილებას არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სეგმენტის, არამედ ზოგადი პოპულაციის შემთხვევაში. კვლევის მთავარი კითხვა ეხება იმას, შესაძლებელია თუ არა მორალურად ტრავმული გამოცდილება, სხვა ტიპის ტრავმის მსგავსად, განვიხილოთ პიროვნული ზრდის კონტექსტში.

თეორიულ მოდელი აღწერს პროცესს, რომელიც პიროვნების ღირებულებების და პრინციპების შეუსაბამო მოვლენის შედეგად დგება. იმ შემთხვევაში თუ მორალური იდენტობა პიროვნებისთვის ცენტრალურია, შესაბამის სიტუაციაში მორალური სქემები გააქტიურდება უფრო სწრაფად, რაც ხელს შეუშლის მორალური გამოთიშვას და მოვლენა შესაბამისად აღიქმება, როგორც მეტად ტრავმული. მოვლენის ტრავმულად აღქმა თავის მხრივ არღვევს სქემებს, რაც ერთი მხრივ ნეგატიურად განიცდება პიროვნების მხრიდან, თუმცა სქემების რესტრუქტურისაციის საშუალებით შესაძლებელია პიროვნული ზრდის მიღწევა.

თეორიული მოდელი წარმოდგენილია სქემა 2 -ში.

სქემა 2. მორალური ტრავმის დინამიკა: თეორიის მოდელი ¹



¹ **შენიშვნა:** მოდელიდან გამომდინარე ჩანს, რომ ვისთვისაც მორალური იდენტობა არ არის ცენტრალური, მისთვის არასასურველი მდგომარეობა, მორალური ტრავმის სახით, არ დგება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქცევები, რომლებიც მორალური გამოთიშვით არის გამართლებული, ხშირ შემთხვევაში სხვებისთვის საზიანოა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სუბიექტურად არ განიცდებოდეს ნეგატიურ მოვლენად (თუმცა აღნიშვნას საჭიროებს მორალური გათიშვის სავარაუდო პოზიტიური შედეგებიც რიგ შემთხვევებში).

თავი III - კვლევის დიზაინი


3.1. კვლევის დიზაინი

კვლევის საკითხის გადასაჭრელად და ჰიპოთეზების გადასამოწმებლად, გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, რომელიც კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომპონენტების გამოყენებას და ინტეგრაციას გულისხმობს. შერეული მეთოდის გამოყენებას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, შედარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებიდან მიღებული შედეგები და გაერთიანდეს ერთ ინტერპრეტაციაში, რომელიც უფრო ვალიდური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. რაოდენობრივი მონაცემები ერთი მხრივ მნიშვნელოვანია კავშირების სტატისტიკური მნიშვნელოვნების დასადგენად და მოდელების შესაქმნელად, თუმცა თვისებრივ მონაცემებში შესაძლებელია პროცესის დანახვა და უშუალოდ გამოცდილებებზე დაყრდნობილი ინფორმაციის მოპოვება, რაც ავსებს და ამყარებს რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელობას (Creswell et al., 2003).

შერეული მეთოდის რამდენიმე ძირითადი მიდგომიდან, წარმოდგენილი კვლევის კითხვებიდან გამომდინარე, შეირჩა მიდგომა, რომელიც ლიტერატურაში ტრიანგულაციური დიზაინის სახელით არის მოხსენიებული (სქემა 3) (Creswell et al., 2003). ტრიანგულაციური დიზაინის მიზანია „ერთ საკითხზე სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელი ინფორმაციის მოპოვებით“ უკეთ გაიგოს და ახსნას საკვლევი პრობლემა (Morse, 1991). ტრიანგულაციური დიზაინი ძირითადად გამოიყენება მაშინ, როდესაც მკვლევარს სურს თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შედარება/შევესება/დაპირისპირება ან როდესაც საჭიროა თვისებრივი მონაცემების გამყარება/ვალიდაცია რაოდენობრივი მონაცემებით. ტრიანგულაციური დიზაინი წარმოადგენს ერთფაზიან დიზაინს, სადაც მკვლევარი თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემებს დროის ერთ მონაკვეთში აგროვებს და სადაც ორივე მეთოდს კვლევის საკითხის გადაჭრაში ერთი და იგივე წონა აქვს (Creswell et al., 2003). მკვლევარი ცდილობს ორი დამოუკიდებელი მეთოდით შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს და შედეგების ინტერპრეტაციის ინტეგრაციას. ტრიანგულაციურ

დიზაინშიც არსებობს რამდენიმე მოდელი, რომელთა შორის სხვაობასაც წარმოადგენს ის, თუ როგორ ახდენენ განსხვავებული მოდელები მიღებული შედეგების გაერთიანებას/ინტეგრაციას. კვლევაში გამოყენებულია ტრიანგულაციის დიზაინის კონვერგენციული მოდელი, რომელიც ტრიანგულაციური დიზაინის ტრადიციულ მოდელს წარმოადგენს და რომელსაც მკვლევარები იყენებენ მაშინ, როდესაც სურთ სხვადასხვა მეთოდით მოპოვებული ინფორმაციის და შედეგების შედარება, რაოდენობრივი მონაცემების ვალიდაცია, დადასტურება და გამყარება თვისებრივი მონაცემების მიგნებებით (Creswell, 1999). საბოლოოდ, ამ მოდელის მიზანს წარმოადგენს კარგად დადასრულებული, სრულყოფილი და ვალიდური შედეგების და დასკვნების მიღება ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო.

სქემა 3. ტრიანგულაციური დიზაინი: კონვერგენციული მოდელი



წინამდებარე კვლევა მოიაზრებს სამ ეტაპს, აქიდან პირველი დაეთმო მოსამზადებელ ნაწილს, რა პერიოდშიც მოხდა საჭირო ინსტრუმენტების გადამუშავება, მოდიფიკაცია და ადაპტირება. მეორე ეტაპი წარმოადგენს კვლევის თვისებრივ ნაწილს, რომელიც მიზნობრივად შერჩეულ მონაწილეებთან სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზს წარმოადგენს. მესამე ეტაპი ეთმობა კვლევის რაოდენობრივ ნაწილს, სადაც სტატისტიკურად გაანალიზებულია ცვლადებს შორის კავშირები და აგებულია მოდელები, რომლებიც მორალურ ტრავმასთან დაკავშირებულ პროცესს ასახავს.

3.2. კვლევის მიზნები, ამოცანები და ჰიპოთეზები:

კვლევის მიზანია მორალური ტრავმის კომპლექსური შესწავლა და მისი ინტეგრირება ტრავმის ზოგად მოდელში. ნაშრომი აგრეთვე მიზნად ისახავს მორალური ტრავმის დინამიური მოდელის შექმნას და მის ემპირიულ გამოცდას, სადაც გათვალისწინებულია აქტორის და დამკვირვებლის პერსპექტივა ისეთ ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად როგორცაა მორალური იდენტობა, მორალური გამოთიშვა, ბაზისური რწმენების რყევა და უარყოფით ემოციური მდგომარეობების განცდა. საბოლოოდ კი ნაშრომის მიზანია დაადგინოს თუ რა ფსიქოლოგიურ პარამეტრებს ეფუძნება მორალური ტრავმა და მოდელის საფუძველზე წარმოაჩინოს მორალური ტრავმის ნეგატიური და პოზიტიური შედეგები.

კვლევის ამოცანები:

1. მორალურ ტრავმასთან დაკავშირებული არსებული თეორიული პარადიგმების შეჯერება და ჰიპოტეტური თეორიული მოდელის ჩამოყალიბება.
2. მორალურ ტრავმასთან დაკავშირებული ისეთი ინდივიდუალური ცვლადების განსაზღვრა, რომლებიც მორალური ტრავმისადმი მოწყვლადობას განაპირობებენ.
3. თვისებრივი კვლევის დაგეგმვა, რომლის მიზანია აღმოაჩინოს მორალური ტრავმის გამოცდილება როგორც აქტორის, აგრეთვე დამკვირვებლის პერსპექტივიდან და დაადგინოს ტრავმასთან დაკავშირებული დინამიკა.
4. თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მორალური ტრავმის ემპირიული მოდელის შექმნა, რომელიც ტრავმასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად აჩვენებს ტრავმის ნარატივის სტრუქტურას და მიმდინარეობას.
5. რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვა, რომლის მიზანია დადგინდეს თეორიული მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება და ამის საფუძველზე აიხსნას მოდელში მოცემული ცვლადების ურთიერთკავშირი.

6. ბოლოს, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეჯერება და გაერთიანება და ანალიზის საფუძველზე მორალური ტრავმის დინამიკის და სტრუქტურის ჩვენება.

ჰიპოთეზები:

1. მორალური ტრავმა წარმოადგენს ზოგად გამოცდილებას და შესაბამისად განიხილება, როგორც ადამიანური გამოცდილებების ნაწილი.
2. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ტრავმისადმი მოწყვლადობის მიხედვით. მორალური იდენტობის ცენტრალურობა განაპირობებს მორალური ტრავმისადმი მოწყვლადობას.
3. მორალური იდენტობის დაბალი ცენტრალურობა მორალური გამოთიშვის შესაძლებლობას იძლევა, რაც მორალური ტრავმისადმი ინდივიდის მდგრადობის წინაპირობას წარმოადგენს.
4. მორალური ტრავმის შედეგები ყალიბდება პოზიტიური და ნეგატიური ფორმით. პოზიტიური შედეგი წარმოდგენილია პოსტტრავმული ზრდის, ხოლო ნეგატიური შედეგები - შფოთვა, სტრესი, დეპრესიის სახით.
5. ბაზისური რწმენების რყევა უარყოფით ემოციურ რეაქციებს უკავშირდება, თუმცა აგრეთვე ქმნის პიროვნული ზრდის საფუძველს, რომელსაც ინდივიდი დარღვეული სქემების რესტრუქტურირებაში საშუალებით აღწევს.

თავი IV - თვისებრივი კვლევა

4.1. თვისებრივი კვლევის დიზაინი

ინსტრუმენტის შემუშავება

თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებული იქნა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავდა ნეშის რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის საფუძველზე (Nash et al., 2013), „მორალური ტრავმის საზომი“. ინსტრუმენტი თერთმეტი დებულებისგან შედგება, საიდანაც თითოეული ეკითხება რესპონდენტს საკუთარი ან სხვის მიერ ჩადენილი ქცევის მიერ გამოწვეული მორალური ტრავმის შესახებ. ინსტრუმენტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ომის გამოცდილების მქონე პირებში, მორალური ტრავმის ხარისხის საზომად. რაოდენობრივი კითხვარის დებულებებზე დაყრდნობით ფორმულირდა კითხვები, რომელიც გარკვეულ სტრუქტურაში იყო მოქცეული. რაოდენობრივ კვლევის ინსტრუმენტში გამოყოფილი სკალების შესაბამისად, ჩარღმავებული ინტერვიუსათვის გამოიყო ორი ძირითადი თემა, საკუთარი და სხვების მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება პიროვნების მორალურ ღირებულებებსა და პრინციპებს. საპილოტე კვლევის შედეგად, ჩარღმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელომ გაიარა მცირედი მოდიფიკაციები, კერძოდ, ცალკეულ თემებად გამოიყო სამსახურეობრივი და პირადი გამოცდილება, ნდობა ადამიანების მიმართ. საბოლოო ვერსია შეჯერდა რაოდენობრივი კვლევის კომპონენტებთან ერთად.

კვლევის მონაწილეები

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ზოგად პოპულაციაში მორალური ტრავმის აღმოჩენა და აღწერა, კვლევის ფარგლებში არ არსებობდა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმი, რის მიხედვითაც თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩნენ. მიუხედავად ამისა, შერჩევის განსაზღვრისას გათვალისწინდა მორალური ტრავმისადმი უფრო მოწყვლადი პროფესიები და საქმიანობის სფეროები. კვლევის თვისებრივ ნაწილში მონაწილეობდნენ სოციალური მუშაკები, რომლებიც ძირითადად ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, ექიმები, სქემატურ სისტემაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი და ფსიქიატრი.

კვლევისთვის სულ შერჩეულ იქნა 12 რესპონდენტი. რესპონდენტების დემოგრაფიული მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1 თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დემოგრაფია:

	<i>პროფესია</i>	<i>სქესი</i>	<i>ასაკი</i>
1	სოციალური მუშაკი	ქალი	22 წელი
2	სოციალური მუშაკი	ქალი	28 წელი
3	სოციალური მუშაკი	კაცი	50 წელი
4	სოციალური მუშაკი	ქალი	36 წელი
5	ექიმი	კაცი	36 წელი
6	ექიმი	კაცი	55 წელი
7	სქემით მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი	ქალი	26 წელი
8	ფსიქიატრი	ქალი	53 წელი
9	სოციალური მუშაკი	ქალი	29 წელი
10	სოციალური მუშაკი	ქალი	35 წელი
11	სოციალური მუშაკი	ქალი	24 წელი
12	სოციალური მუშაკი	ქალი	65 წელი

პროცედურა

კვლევის მონაწილეების შერჩევის შემდგომ, ხდებოდა მათთან დაკავშირება ინდივიდუალურად და კვლევის შინაარსის ზოგადი გაცნობა, თანხმობის მიღების შემდგომ რესპონდენტისთვის სასურველ დროსა და ადგილზე ხდებოდა შეთანხმება ინტერვიუსთვის. ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 1 საათს, შეხვედრა ტარდებოდა რესპონდენტების სამუშაო სივრცეში ან წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. რესპონდენტებს ინტერვიუმდე წინასწარ მიეწოდებოდათ შესაბამისი თანხმობის ფორმა (იხ. დანართი).

თვისებრივი მონაცემების დამუშავების ეტაპები

ტექსტუალური მონაცემები დამუშავდა პროგრამა ნვივოს საშუალებით, რომელიც სოციალურ მეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება ტექსტობრივი ინფორმაციის დამუშავებისას. ქვემოთ წარმოდგენილია საფეხურები, რომლებიც მონაცემებმა დამუშავებამ გაიარა (ცხრილი 2.).

მონაცემების დამუშავებისთვის ოთხეტაპიანი პროცესი ეყრდნობოდა რეფლექსურ თემატურ ანალიზს (Becker, 1992). პირველ რიგში, თითოეული ტრანსკრიპტი მომზადდა სიღრმისეული ანალიზისთვის, რომელიც ფოკუსირებული იყო გამოცდილებაზე, ემოციებზე, სიტყვებზე, მნიშვნელობებზე, შედეგებზე და

სუბიექტურ შეფასებებზე. კვლევის თეორიული ჩარჩოს მიხედვით, მოხდა მოსალოდნელი თემების გამოყოფა და მონიშვნა თითოეულ ტრანსკრიპტში. მეორე ეტაპზე მოხდა გამოყოფილი თემების დაჯგუფება და კატეგორიზება ისე, რომ თემები არ ყოფილიყო ერთმანეთის გადამფარავი და შინაარსი თემების მიღმა ყოფილიყო უნიკალური. მესამე ეტაპზე მოხდა დაჯგუფებულ თემებსა და კვლევაში გამოყოფილი კონცეპტებს შორის კავშირების დადგენა და ბოლოს, დაჯგუფებულ თემებს შორის კავშირების შედარება კვლევის თეორიულ მოდელთან.

ცხრილი 2. თვისებრივი მონაცემების დამუშავების პროცესი

საფეხური	პროცესი
1	აუდიო ჩანაწერების მოსმენა, ტრანსკრიპტების მომზადება.
2	ტრანსკრიპტების თემატური ანალიზი თემების გამოსაყოფად.
3	მოსალოდნელი თემების გამოყოფა და გადამფარავი თემების ძიება.
4	გამოყოფილი ძირითადი თემების გადამოწმება დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ, მონაცემთა ინტერპრეტაციის ვალიდობისთვის.
5	გამოყოფილ თემებს შორის კავშირების ძიება.
6	კონცეფტებისა და თეორიებიდან გამოყოფილი თემების დაკავშირება.
7	დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ არსებული ინტერპრეტაციების და კავშირების გადამოწმება მონაცემთა ვალიდურობისთვის.
8	გამოყოფილი თემების და თეორიული მოდელის შეჯერება, კავშირების აღმოჩენა და მორალური ტრავმიდან პიროვნულ ზრდამდე პროცესის ჩვენება.

4.2. თვისებრივი მონაცემების აღწერა და ანალიზი: თემატური და კონტექსტუალური ანალიზი

თვისებრივი მონაცემების აღწერა

თვისებრივი მასალის დამუშავებამდე გამოიყო ზოგადი კატეგორიები და თემები საკვანძო სიტყვების სახით, რა მიმართულებითაც შემდგომში წარიმართა მონაცემთა ანალიზის პროცესი. ძირითადი სქემა ასახული იყო სიღრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელოშიც, თუმცა ინტერვიუების დამუშავებისას მოხდა სქემის მოდიფიკაცია და უფრო ვიწრო თემების გამოყოფა. ზოგადად მორალურ ტრავმაზე საუბარი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ხდება და თითოეულის მახასიათებელი განსხვავდება ერთმანეთისგან.

ყველაზე ფართო კატეგორიები, რომელიც კვლევის დასაწყისშივე გამოვყავით იყო (1) საკუთარი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება საკუთარ მორალურ პრინციპებს და ღირებულებებს და მოქმედებს ემოციურ მდგომარეობაზე და საბოლოოდ აისახება გარკვეულ ცვლილებებზე და მეორე, (2) მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსული მოვლენების შესწრება, რომელსაც ინტერვიუს ფარგლებში ვუწოდეთ - სხვის მიერ ჩადენილი ქცევა. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩნენ გარკვეული პრინციპით და ეს პრინციპი გულისხმობდა რთულ სამსახურეობრივ გამოცდილებების ქონას, საკუთარი ქცევა ჩაიშალა ორ ქვე-კატეგორიად, საიდანაც ერთი პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებად დიფერენცირდა, ხოლო მეორე - სამსახურეობრივ გამოცდილებად.

ანალიზი ემყარება, როგორც ძირითადი თემების დისკუსიას, აგრეთვე იმ საკვანძო სიტყვების კონტექსტუალურ ანალიზს, რომელიც ყველაზე ხშირად იყო ხსენებული რესპონდენტების მიერ მორალურ ტრავმაზე საუბრისას.

თემატური ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია მორალური ტრავმის ორი ძირითადი კატეგორია, რომლის გარშემოც ჩაშლილია თემები. აღნიშნული კატეგორიების საერთო მახასიათებლები, რაც თვისებრივი ანალიზის პროცესში გამოვლინდა იყო ის, რომ თითოეული მათგანი შედგებოდა:

- მოვლენისგან, რომელიც კატეგორიზდებოდა, როგორც მორალური ტრავმა;
- ემოციური მდგომარეობისგან, რომელიც აღნიშნულ მოვლენას უკავშირდებოდა;
- რეაქციისგან, რომლითაც ესა თუ ის ემოციური მდგომარეობა გამოიხატებოდა;
- მოვლენის შეფასებისგან, რომელის წარმოადგენდა საკუთარი მდგომარეობის სახელდარქმევას;
- ცვლილებებისგან, რომლებსაც იწვევდა მოვლენა და
- ცვლილების სუბიექტური შეფასებისგან.

ჩამოთვლილ ყველა კატეგორია თავის მხრივ აერთიანებს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც შემდგომში დეტალურადაა გაანალიზებული.

საკვანძო სიტყვების კონტექსტუალური ანალიზი

ტრანსკრიპტების პროგრამული დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებსაც რესპონდენტები ყველაზე ხშირად იყენებენ ტრავმულ გამოცდილებაზე საუბრისას.

ასეთ ცნებებს ერთი მხრივ მორალურ ღირებულებებთან დაკავშირებული სიტყვები წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ხდებოდა ემოციური მდგომარეობების სახელდარქმევა და ასევე, ზრდასთან და ცვლილებებთან დაკავშირებული სიტყვების დასახელება.

კვლევის ფარგლებში მოხდა ამ ტერმინების კონტექსტუალური ანალიზი და მათთან დაკავშირებული თემების გამოყოფა.

კონტექსტუალური ანალიზი წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თემების განხილვასთან ერთად.

4.2.1. მორალური ტრავმა დამკვირვებლის პერსპექტივიდან: სხვების მიერ ჩადენილი ქცევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორალური ტრავმის განსაზღვრისას გამოყოფენ არსებულ მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსულ მოვლენებთან შესწრებას, რომელიც ემოციურ ტრავმას იწვევს პიროვნებაში (Litz et al., 2009a). სწორედ პრინციპებთან და მორალურ ღირებულებებთან არსებული კონფლიქტი განასხვავებს მას სხვა ტიპის ტრავმული გამოცდილებებისგან (Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014)

4.2.1.1. მორალური ტრავმის ემოციური განზომილება ღალატი და უსამართლობა

ზოგადად მორალური ტრავმის კონცეპტუალიზაციისას, გარდა უშუალოდ სხვა ადამიანების ჩადენილი ქცევისა, საუბრობენ პიროვნების მიერ სუბიექტურად აღქმულ ღალატს სისტემის მიერ, „ღალატი იმისა, რაც სწორია იმ ადამიანების მიერ, ვისაც აქვს ლეგიტიმური ძალაუფლება მსგავს სიტუაციებში“ (Jonathan Shay, 2014). ამ კვლევის ფარგლებშიც, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისას, ერთ-ერთ თემად, რომელიც სხვადასხვა გამოცდილებებს აერთიანებდა, გამოიკვეთა ზოგადად სისტემის მიერ პიროვნების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც მას უსამართლობის და პროტესტის და მარტოობის შეგრძნებას უჩენს.

„ხო აი ეს განცდა იყო ნუ პირველი რა საკვირველია გიჩნდება პროტესტის გრძნობა, გრძნობ რომ ეს არის საშინელება და ეს არის დანაშაული, ეს არ არის სიმართლე, ეს არ არის სწორი, არ

შეიძლება ჩვენ აქ ადამიანების ბედთან გვაქვს საქმე ... რაღაც სტერეოტიპების გამო, ამან გამოიწვია ჩემში, ეს იყო პირველი რაც მახსოვს“ [სოციალური მუშაკი, ქალი, 65]

„ემოციურად არის ყველაზე რთული და მძიმე და მერე იქიდან გამომდინარე გვაქვს პროტესტი და ბრაზობ რომ რატომ, რით ვერ შეიქმნა ეს სერვისი. კი გაფიქრებს ხშირად, ამოგიტივტივდება, ...სტრესს ღებულობ თავისთავად ემოციურად, არ არსებობს რომ ემოციურად არ დაგტვირთოს ამ ყველაფერმა და ამას მუდმივად ვიღებთ ჩვენ.“ [სოციალური მუშაკი, ქალი 35]

„არცერთ მომენტში არავინ არ იფიქრა ჩემზე, როგორც მნიშვნელოვან ტიპზე. კომპანიას რა სჭირდება, შენ რა გჭირდება არავინ არ აინტერესებს. ვითონ საერთო ინტერესიდან გამომდინარე და ყველას თავზე უნდა გადაიაროს ამ საერთო ინტერესმა.“ [სქემში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, ქალი, 26წ]

მსგავს გამოცდილებებზეა საუბარი პოლიციის თანამშრომლების შემთხვევაშიც (McCormack & Riley, 2016; Tuckey et al., 2012), სადაც საუბარია იმ აღქმულ ღალატზე, (Moral Betrayal), რომელსაც ადამიანები გრძნობენ ორგანიზაციის/ინტიტუციის მხრიდან, საუბარია შეგრძნებაზე, რომ უღალატეს მათ ნდობას და არ შესრულეს პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრათ და რისი შედეგიც უსუსურობის და მარტოობის შეგრძნებაა. კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ღალატი და მარტოობა მორალური ტრავმის კოტექსტის შემადგენელი ნაწილია და ინტერვიუებში ხშირად იკვეთება როგორც მნიშვნელოვანი, საკვანძო ცნებები.

ცხრილი 3 ‘მარტოობა’ და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, ამ ყველაფერთან	მარტო	ხარ ყველაფერში, ეგეთი განცდა რჩები
ის საქალაქო უფროსია, მაგრამ რეალურად		ხარ
ყოველთვის ვგრძნობ იმას, რომ შენზეა ყველაფერი დამოკიდებული		ვარ
5-ნი იყვნენ და შენ		რჩები ამ ყველაფერთან
წინააღმდეგ, ოჯახის წევრები		იყავი
ხოლმე მომენტი, აი იცი		დავრჩი
		ხარ, ასეთ განცდა რეალურად გვაქვს

ინდივიდებს საკუთარ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსული მოვლენების და ქცევების შედეგად უჩნდებათ მარტოობის შეგრძნება, რომელიც ყოვლისმომცველი და

მლიერი ემოციური მდგომარეობაა. ტრავმის შედეგად მარტოობას აძლიერებს მორალური კონტექსტი: პიროვნული პრინციპებისთვის შეუსაბამო მდგომარეობის არსებობა, რაც მათ იზოლაციის და მარტოობის განცდას უფრო ამძაფრებს. არსებულ პრინციპებთან წინააღმდეგობა ერთგვარ კონტრასტის ეფექტს ქმნის ორ საწინააღმდეგო მოცემულობას შორის, რაც პიროვნებას გაუცხოების და საკუთარი თავის გამორჩეულობის ნეგატიურ შეგრძნებას უჩენს, რაც ამ შემთხვევაში მარტოობაში დიფერენცირდება.

4.2.1.2. ღირებულებითი ცვლილებები როგორც მორალური ტრავმის შედეგი

გამომდინარე იქიდან, რომ სხვის მიერ განხორციელებული ქცევა პირდაპირ უკავშირდება წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორები უნდა იყვნენ და როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები და ზოგადად როგორია სამყარო მათ გარშემო, ძირითადი ცვლილებები, რაც ანალიზის პროცესში გამოიყო ერთი მხრივ ეხებოდა სწორედ ადამიანებზე წარმოდგენების ცვლილებებს და ამასთან, ზოგადად, სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის და ინფორმაციის გადამუშავებას.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკითხი უკავშირდება ადამიანების მიმართ ნდობის კარგვას და წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ „რეალურად რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს და რას წარმოადგენს ის სინამდვილეში“. მორალური ტრავმის შედეგებზე საუბრისას, შეი (Jonathan Shay, 2014) საუბრობს სწორედ ნდობის კარგვაზე, ის ახსენებს, რომ მსგავსი ტრავმული გამოცდილება ანგრევს პიროვნების იდეალებს, ამბიციებს და არღვევს მიჯაჭვულობას, რაც საბოლოო ჯამში სოციალური ნდობის კარგვაზე აისახება, სოციალურ ნდობას კი ცვლის ზიანის, დამცირების მუდმივი მოლოდინი.

„ალბათ უფრო ის ვიყავი მიაბიტი ყველასი ყველაფერი მჯეროდა თავიდან თუ ვინმე რამეს მეტყოდა ყველაფერი მეგონა რომ იყო მართალი მივხვდი რომ ასე არ უნდა იყო. ჩვენს პროფესიაში ძალიან მნიშვნელოვანია რომ ნდობაზე დაფუძნებული პრაქტიკა იყოს მაგრამ მერე ხვდები რომ ეს ნდობაც რეალურად ძალიან რთულია [სოციალური მუშაკი, ქალი, 25წ.]

„ნდობა დავკარგე ადამიანების მიმართ“ [სოციალური მუშაკი, 28წ.]

ცნების კონტექსტუალური ანალიზიდან ჩანს, რომ ინდივიდები აღნიშნავენ ადამიანების მიმართ ნდობის კარგვას კონკრეტული გამოცდილებების შედეგად,

ამასთან ერთად ადგილი აქვს ზოგადად წარმოდგენების ცვლილებას ადამიანებზე, რაც ცალსახად ნეგატიურ მოვლენად აღიქმება და უკავშირდება შიშს, დისკომფორტს და საფრთხეს გარემოდან (ცხრილი 4).

ცხრილი 4. 'ნდობა' და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

<p>არ მესმის, მაგრამ იმდენად მიჭირდა ასეთ რაღაცაზე წამსვლელები არიან ახლა რომ ყველას შემთხვევაში დავკარგე იცით როგორი მომენტია, ადამიანების მაგით თავიდან ვიცილებ იმას, რომ შეიძლება იყოს რაღაც ნეგატიური, შიშს ხედავ, უფრო სხვანაირი ხარ დავკარგე ადამიანების მიმართ</p>	<p>ნდობა</p>	<p>და მითუმეტეს მაგ საკითხის ესე მათ მიმართ უფრო განსაკუთრებით აი ბავშვების თემაზე ისედაც მიჭირდა ბავშვობიდან გამიმტყუნოს ან რაღაც მომატყუოს გაგიქრეს ადამიანების მიმართ ან შეგიმცირდეს დავკარგე ადამიანების მიმართ ამ გამოცდილებების გამო</p>
--	---------------------	---

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანებისგან მოულოდნელი და მორალურად შეუსაბამო ქცევების განხორციელება მოქმედებს ზოგადად სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის გადამუშავებაზეც და ხდება სამყაროს უფრო „მუქ“, „ბნელ“ ფერებში აღქმა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კვლევები, რომლებიც აჩვენებენ, რომ არსებულ რწმენებსა და მოვლენებს შორის მსგავსი დისონანსი/წინააღმდეგობა იწვევს „გლობალური საზრისის რყევას“ (Currier, Holland, Rojas-Flores, et al., 2015) და საფრთხეს უქმნის პიროვნების შინაგანი მორალური სქემის ერთიანობას (Dombo et al., 2013c), რამაც შესაძლოა ნდობის, უსაფრთხოების, ინტიმურობის, ძალაუფლების კოგნიტური სქემების ცვლილება განაპირობოს, რაც ზოგადად ნეგატიური მსოფლმედველობის ფორმირებაში მონაწილეობს (Lisa McCann & Pearlman, 1990).

“ალბათ უფრო მეტად საშიში მეჩვენება ვიდრე აქამდე იყო ჩემი გადმოსახედიდან. მანამდეც კარგი წარმოდგენის არ ვიყავი თუმცა უფრო საშიში გახდა და საფრთხისშემცველი მგონია გარემო. [სოციალური მუშაკი, ქალი 29]

„სამყარო ნეგატიურია.“ [სოციალური მუშაკი, ქალი 33]

„ცვლილებები ის არის, რომ უფრო სხვანაირი თვალთ ვუყურებ, ანუ ეს რაში გამოიხატება რომ დავაკონკრეტო, გაზრდით კი გავიზარდე, მაგრამ უფრო რეალური თვალთ ვუყურებ ამ ყველაფერს. მანამდე თუ რაღაცეები არ მეგონა. თუნდაც რომ ესეთი ადამიანები არ არსებობენ, რეალურად დავინახე ცხოვრება, ვცხოვრობდი ცოტა ფანტაზიებში და დღეს რეალურ სამყაროში ვცხოვრობ და ვიცი რა ხდება.“ [სოციალური მუშაკი, ქალი 33]

გარდა ადამიანებსა და სამყაროზე წარმოდგენების ცვლილებისა, იცვლება საკუთარი თავის აღქმა და ხდება მოვლენებამდე და მოვლენების შემდგომ საკუთარი თავის განსხვავება, სადაც ამ ცვლილების სუბიექტური აღქმა უფრო ნეგატიურია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სიძლიერესთან ასოცირდება.

„ძალიან, ხო ვამბობ რომ ძლიერი ხარ და რაღაც მაგრამ ამის ფონზე ხარ უფრო ნერვიული უფრო გაღიზიანებული უფრო ადამიანებს არ ენდობი უკან ეჭვს ხედავ შიშს ხედავ უფრო სხვანაირი ხარ“ [სოციალური მუშაკი, 28წ, ქალი]

*„მამინ ვიყავი გულუბრყვილო, ცოტა სულელი და ეხლა ვარ ვაჟკაცი, შედარება რომ გავაკეთო.“
[სოციალური მუშაკი, 28წ, ქალი]*

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები აღწერით დონეზე არის ნეგატიური, არსობრივად ცვლილება ფასდება როგორც პოზიტიური მოვლენა, გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრებასთან გამკლავებაში „რეალური სამყაროს“ ხედვა უმნიშვნელოვანესია. ეს მიდგომა გარკვეულწილად ემსგავსება მორალურ ტრავმასთან გამკლავების სტრატეგიას იპოვნო აზრი მორალურ გადახრებში (Currier, Holland, Drescher, et al., 2015b; Currier, Holland, Rojas-Flores, et al., 2015; Ferrajão & Aragão Oliveira, 2016b)

4.2.2. მორალური ტრავმა აქტორის პერსპექტივიდან: საკუთარი ქცევა

4.2.2.1. მორალური ტრავმის კოგნიტური და ემოციური განზომილება

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მორალური ტრავმა

მორალური ტრავმის მეორე კატეგორია მოიაზრებს საკუთარ ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ მორალურ პრინციპებს და ღირებულებებს, რაც თავის მხრივ ამ კვლევის ფარგლებში იყოფა ორ ძირითად კატეგორიად, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ზოგადად როგორც სამსახურეობრივი, აგრეთვე ცხოვრებისეული გამოცდილებების შემთხვევაშიც, ტრავმისთვის აუცილებელია ქცევის მიზნების და არსებული

შესაძლებლობების გათვალისწინება. ტრავმული გამოცდილება დგება მაშინ, როდესაც სიტუაცია არის ბუნდოვანი, საკუთარი ქცევის მიზნები არ არის განსაზღვრული ან პიროვნებას უჩნდება შეგრძნება, რომ შესაძლებელი და საჭირო იყო სხვანაირად მოქცევა, „ვერ გააკეთე ისე, როგორც საჭირო იყო“. მნიშვნელოვანია პრიორიტეტების დალაგება და უკეთესი ქცევის, უკეთესი შედეგის განსაზღვრა. (მორალური დილემა) ნაკლებად ტრავმულია გამოცდილება, როდესაც მკვეთრად განსაზღვრულია ქცევის მიზნები და საკუთარი ქცევის სისწორეში დარწმუნებულობის ხარისხი მაღალია.

„მე გამოვდიოდი თუ არა პაციენტის ინტერესიდან. თუ მე გამოვდიოდი პაციენტის ინტერესიდან ყველა დილემაში და ყველაფერი დასრულდა ცუდად, ეს ჩემთვის როგორც ემოციური ტრამვა არ რჩება.“ [ექიმი, 55, კაცი]

ამასთან ერთად, ამ შემთხვევაშიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს სიტუაციის შეფასების უნარი, რაშიც იგულისხმება მოვლენის, ქცევის თუ სიტუაციის განსჯა სისწორე/სიმცდარის მიხედვით. მორალური ტრავმა არ არსებობს მორალური მსჯელობის გარეშე, რომლის მიხედვითაც ფასდება ქცევა.

„უნდა გაგიხარდეს, რომ კიდევ ერთი ტიპი გააცუცურავე და როგორ გერევა იგი შენს თავზე გული, არა მგონია ვინმე ადამიანი არსებობს რომ ერთი წამის მესადი არ ერევა გული მაგ მომენტში, რომ რა გიხარია ვაფშე, რაც უფრო მეტ ზარს ჩამოკრავ მით უფრო მეტ ფულს აიღებ და პახოდუ მით უფრო მეტად რომ გერევა გული, [სქემაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, ქალი, 26წ]“

პირველ რიგში განვიხილოთ ქცევები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურეობრივ გამოცდილებასთან.

ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს საკუთარი პიროვნების ნაწილობრივი დისტანცირება გამოცდილებებისადმი, რის საშუალებასაც განსაზღვრული წესები და რეგულაციები იძლევა. კვლევაში გამოყოფილი ცვლადების ტერმინებით, სწორედ სამსახურეობრივი წესების და რეგულაციების გამოყენება იძლევა „მორალური გამოთიშვის“ გამოყენების შესაძლებლობას, ნაკლებად ხდება ქცევების საკუთარ პიროვნებასთან დაკავშირება და არსებული რეალობა და მოცემულობა საშუალებას აძლევს პიროვნებას, მოახდინოს საკუთარი თავის დისტანცირება ამ ქცევებისგან.

თუმცა, მეორე შემთხვევაში სამსახურეობრივი პრინციპების დაცვა ახალი მორალური პრინციპი ხდება, რომლიც საკუთარ პიროვნულ პრინციპებზე მაღლა დგება და შესაბამისად მათი დაცვა უფრო ღირებულია.

„თუკი მედიცინა ამას გეუბნება, შენ ხარ მორალურადაც გამართლებული, მიუხედავად იმისა როგორ ჩანხარ. ზოგჯერ შეიძლება პაციენტს მოეცე მკაცრად ... ის თუ მთვრალია სიტყვაზე და ჩხუბობს, შენც უნდა ეჩხუბო და დაჩაგრო კიდეც და აიძულო რომ დაიმორჩილო.“ [ექიმი, 55, კაცი]

ნებისმიერ შემთხვევაში, ქცევა, რომელიც პიროვნულ პრინციპებს ეწინააღმდეგება მოქმედებს მის ემოციურ მდგომარეობაზე და მოვლენა აღიქმება ტრავმულ გამოცდილებად. ქცევასთან დაკავშირებული ემოციური მდგომარეობა ფასდება როგორც „მტკივნეული“, „დამთრგუნველი“, „სტრესული“, რაც განმეორებადი ქცევების და მოვლენების შემთხვევაში ემოციების გასადავებაზე აისახება: „გიბლაგვდება ყველანაირი შეგრძნება“.

„თან ცალკე შენ რომ იგრძნობ ამ პასუხისმგებლობას და უშუალოდ შენ რომ გიწევს ამის გადახარშვა ნუ თავიდან ნახევარი წელი მესიზმრებოდა ხოლმე ეს შემთხვევები და დილით მეღვიძებოდა ხოლმე მაგრამ ნუ ახლა ძალიან უცხოა ეს იმიტომ რომ მიეჩვიე თითქოს რაღაც იმუნტიტეტი გაქვს“ [სოციალური მუშაკი, 25]

„ვიცი ექიმის თვითმკვლელობის შემთხვევებიც დეპრესიები, თვითმკვლელობა, ექიმების თავის დანებება, ასევე ეს დაკვირვებაა, ის ექიმები რომლებზეც შეგდება მთელი მასმედია და მიდის სერიული რომ აი იმ ექიმმა რაღაც შეცდომა დაუშვა, იმ ადამიანებს უჩნდებათ კიბო ექიმებს და კვდიებიან შესაბამისად.“ [ექიმი, 55, კაცი]

“სერიოზული სტრესია. 7 წელია არ მიმუშავია და ყველა მკვდარი პაციენტი მახსოვს ... რაღაც კვლევებიც არსებობს, აღარ მახსოვს, სიკვდილიანობა ექიმებში მაღალია.“ [ექიმი, 36, კაცი]

„ერთ შემთხვევაში საერთოდ აზრი აღარ აქვს არაფერს, მეორე შემთხვევაში ამაზე აგრძელებ ფიქრს, საკუთარ თავზე მუშაობ. ჩემს შემთხვევაში ეგრეთა და მერე სტრესი, სევდა და დეპრესია“ [ექიმი, 36, კაცი]

„რათქმუნდა, ვერ ვქენი რა, ობიექტური მიზეზებით, იმიტომ რომ 5-ნი იყვნენ და შენ მარტო იყავი. სწორად მოიქეციე მესმის, მაგრამ ხვალ რომ გათენდება, წარმოიდგინე ტიპი მოკვდა იმიტომ რომ შენ ჩათვალე რომ მკვდარი“ [ექიმი, 36, კაცი]

სტრესი და დეპრესია სწორედ იმ ცნებებს წარმოადგენს, რომლებიც რესპონდენტების მხრიდან სახელდება, როგორც მოვლენის შემდგომი ემოციური მდგომარეობა და

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოადგენდა საკვანძო სიტყვებს, ნვივოს გამოყენებით შევისწავლეთ მათთან მდებარე კონტექსტი, რომლებიც წარმოადგენილია ცხრილში 5 და 6, შესაბამისად.

კონტექსტუალური ანალიზიდან ჩანს, რომ სტრესი პირდაპირი შედეგია იმ მოვლენების, რომლებსაც რესპონდენტები პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსულ ქცევებს უკავშირებენ. სტრესი დაკავშირებულია ნეგატიურ ფიქრებთან, ძლიერ ემოციურ მდგომარეობასთან, სევდასთან და დეპრესიასთან, რომლებსაც საბოლოოდ ქცევითი გამოვლინებები აქვს და ხდება როგორც მდგომარეობასთან შეგუება მოვლენებთან ემოციური დესენსიტიზაციით, აგრეთვე მოვლენებისგან თავის არიდება.

ცხრილი 5. 'სტრესი' და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

<p><i>ოთახიდან არ გამოვედი ჩვეულებრივად</i></p> <p><i>დანარჩენებთან შედარებით, ძალიან დიდი ემოციური</i></p> <p><i>რაც პერიოდი სახლში მიმქონდა ეს</i></p> <p><i>ფსიქოლოგთანაც ვიარე, რომ ამეცილებინა ეს</i></p> <p><i>ვყოფილიყავი ამდენს ვერ ვნახავდი</i></p> <p><i>წარმოიდგინე ამხელა</i></p> <p><i>ნაკლები ნეგატიური ფიქრები და ნაკლები</i></p> <p><i>უკვე ამას ვეჩვევი, მაშინ ძალიან</i></p> <p><i>შემთხვევა მოხდა, ახალი ხალხი, ახალი</i></p> <p><i>ჩემს შემთხვევაში ეგრეა და მერე</i></p> <p><i>ძალიან დიდი ემოციური ის იყო</i></p>	<p>სტრესი</p>	<p><i>მქონდა იმდენი ვინერვიულე</i></p> <p><i>გვაქვს, მითუმეტეს როდესაც</i></p> <p><i>გოყვარს</i></p> <p><i>და ყველაფერი</i></p> <p><i>ჩემი თავისთვის</i></p> <p>ნაკლები მექნებოდა</p> <p><i>5 კილომეტრი რო ფეხით უნდა</i></p> <p><i>იარბინო</i></p> <p><i>გექნებოდა, იღლები, იღლები</i></p> <p>მივიღე.</p> <p><i>ახალი კონფლიქტური</i></p> <p><i>სიტუაციები</i></p> <p>სევდა, დეპრესია უკვე</p> <p><i>სერიოზული</i></p> <p><i>ჩემთვის.</i></p>
---	----------------------	---

მსგავსი ემოციური რეაქციებია დაკავშირებული დეპრესიასთან, თუმცა ამ ტერმინის გამოყენება ძირითადად ხდება უფრო რთული და მძიმე ემოციური მდგომარეობის აღსაწერად, რომელიც სრულად მოიცავს პიროვნებას და გამომდინარეობს საკუთარი თავის ნეგატიური შეფასებიდან, რისი კომპენსირებისთვისაც ხდება ისეთ ქცევებზე ორიენტირება, რაც პიროვნებას საკუთარი თავის ღირებულებაში დაარწმუნებს.

ცხრილი 6. 'დეპრესია' და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

2 წელი მერე მქონდა

მერე სტრესი, სევდა

ნარკოტიკის მიერ გამოწვეული, გინდა

კი, საშინელი

დეპრესია

ვედილობდი ძალიან კარგი გოგო

სერიოზული დიაგნოზია

სუიციდი

სანამ კიბომდე მიხვალ

მსგავსი ემოციური რეაქციებია აღწერილი სამედიცინო პერსონალთან, რომლებიც განიცდიან დანაშაულს, სირცხვილს, მორალურ დისტრესს (Wu, 2000), როდესაც პიროვნებას შეუძლია განსაჯოს რა არის სწორი, თუმცა არ შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ქცევა სხვადასხვა (გარე თუ შიდა) შეზღუდვებიდან გამომდინარე (Huffman & Rittenmeyer, 2012b; McCarthy & Deady, 2008b).

პერსონალური (პირადი ცხოვრებისეული) მორალური ტრავმა

მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილი კატეგორიების მიხედვით, ცხოვრებისეული და სამსახურეობრივი გამოცდილება მსგავსია, მთავარი განსხვავება, რაც პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებაში ერთიანდება, არის ქცევაზე პასუხისმგებლობა, რომელიც პიროვნების შიგნითაა მოთავსებული. ცხოვრებისეული მოვლენა აღიქმება, როგორც საკუთარი პიროვნების ნაწილი, პირდაპირ ეხება წარმოდგენებს საკუთარ თავზე და არღვევს თვით-სქემებს. სწორედ იმიტომ, რომ ქცევა აღიქმება საკუთარი პიროვნების ნაწილად, მოვლენა, ქცევა ხდება „დამანგრეველი“ და იცვლება წარმოდგენები იმის შესახებ თუ „ვინ ვარ და რა შემძლია“.

ქცევის შეფასებისას ხდება საკუთარი თავის ობიექტივაცია და ქცევის შეფასება როგორც არასწორი/ცუდი, რომელიც მის მიერ არსებულ წარმოდგენებს საკუთარი თავის შესახებ არ შეესაბამება და დგება სქემების მოდიფიკაციის საჭიროება. სირცხვილის და დანაშაულის შეგრძნება უფრო მეტად უკავშირდება საკუთარ ქცევას, რომელსაც პიროვნება საკუთარი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგოდ სჩადის და რაც უბიძგებს მას ამ ქცევის გამოსწორებისკენ.

დანაშაულოს გრძნობა მქონდა და მერე ამის გამოსწორებას შევუდექი, ისე არა რომ უფ ესე მოხდა და რა ვქნა, იმის გამოსწორებას, იმის ახსნას შევუდექი, ის რომ მერე ჩემს შვილთან მქონია

გულახდილი საუბარი, რომ მე შენს დროს არ ვიცოდი ეს ყველაფერი, მერე ვისწავლე, ეხლა ვხვდები რომ ასეთ დროს ბავშვს ესე” [სოციალური მუშაკი, ქალი, 35]

ავტორები აღწერენ, რომ სწორედ საზრისისა და მორალური ერთიანობის რღვევა იწვევს ისეთ ემოციურ რეაქციებს როგორცაა დანაშაულის განცდა, სირცხვილი, ბრაზი, დეპრესია (Dombo et al., 2013c; Kopacz et al., 2015; Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014) და საკუთარი თავის ან სხვების მიმართ ნდობის კარგვა (Drescher et al., 2011b).

ემოციური განზომილების შემთხვევაში განსაკუთრებულ კატეგორიად გამოიყო საკუთარი თავის მიმართ ნდობის დაკარგვა, განსხვავებით, სხვის მიერ ჩადენილი ქცევისგან, სადაც მსგავს კატეგორიაში სხვა ადამიანების მიმართ ნდობის კარგვა მოიაზრება. სწორედ ნდობის კარგვას, უკავშირდება მუდმივი მერყეობა საკუთარი ქცევის შეფასებისას და იმის გადაწყვეტის სირთულე, თუ რა არის სწორი და არასწორი და მუდმივი მოლოდინი მსგავსი ქცევების განხორციელებისა.

„მე მეგონა რომ უბრალოდ გადავეწყობოდი და ვფორმირდებოდი და 3-4 წელი რომ გრძელდება ეგ პროცესი ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს და უკვე აღარ მჯერა რომ დასრულდება. ზუსტად ეგრე ვარ, ვერ ვიღებ ვერაფერზე გადაწყვეტილებას, საერთოდ რამის ზღვარი სად გადის ჩემს ცხოვრებაში რამე მოვლენის მიმართ არ ვიცი, აბსოლიტურად ჩაშლილი არის ყველაფერი, ვერ დავახსიათებ ამას როგორც კარგ რაღაცას. ზოგადად ადამიანი ცხოვრების ეტაპებზე ბევრჯერ ფორმირდება, მაგრამ მე არ ვიყავი მზად ეგეთი რაღაცისთვის.“ [ქოლ-ცენტრი, 26, ქალი]

“ნებისმიერი რაღაც შეიძლება მოხდეს რაც ახლა ვერ წარმოვიდგენ რო გავაკეთებ, ზუსტად ის თემა არასდროს თქვა არასდროს, რამაც მაშინ მე იქ და ძალიან დიდი განცდა იყო ვფიქრობ რომ ეგეთი რაღაც არ გავაკეთებ იმან იმხელა ზიანი მომყენა, კი რომ გამახსენდება საშინლად ვგრძნობ თავს შინაგანად რომ იტყვიან გული მტკივა” [სოციალური მუშაკი, ქალი, 28]

საკუთარი თავის მიმართ ნდობის კარგვასთან ერთად იკვეთება საკუთარი თავის მიმართ შიში, რომ შესაძლებელია მსგავსი ან სხვა მორალურად გაუმართლებელი ქცევის განხორციელება ნებისმიერ მომენტში, შესაბამისად ნაკლებად ხდება მოვლენის და ცვლილების პოზიტიურად აღქმა.

„არა არ არის კარგი იმიტომ რომ ნებისმიერ სიტუაციაში ვიცი რომ შეიძლება რაღაც მსგავსი სადაც მე გავაკეთე ის ერთხელ 5 წლის წინ შეიძლება 10 წლის მერეც გავაკეთო იმ მომენტში იმდენად , თან მაშინაც ვიცოდი რომ საშინელებას ვაკეთებდი განა არ ვიცოდი მაგრამ მაინც გავაკეთე“ [სოციალური მუშაკი, ქალი, 28წ]

“კი მაგრად, მაშინ თუ ეგ ვქენი ეგეთმა შებოჭილმა, ეხლა აწყვეტილი რომ ვარ ყველანაირად, ეხლა ვაფშე ვინ იცის რას ვიზამ. საშიში ვარ.” [სექტაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, 26, ქალი]

თუმცა ავტორების ნაწილი აღნიშნავს, რომ საკუთარი ქცევისგან გამოწვეული ნეგატიური ემოციები და შედეგები, რაც საკუთარი თავის მიმართ ნდობის კარგვას, შიშს, გაურკვევლობას უკავშირდება არა იმდენად ქმედების პირდაპირი შედეგია, არამედ იმის, რომ ეს გამოცდილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზოგადად მორალის მნიშვნელობას. აქ არ არის ყურადღება გამახვილებული იმაზე, თუ ვინ არის მოქმედი, არამედ იმაზე, რომ მოვლენა/ქცევა არყევს არსებულ წარმოდგენებს სწორსა და არასწორზე, და სწორედ ეს არის ტრავმის გამომწვევი მიზეზი (McDonald, 2017; Jonathan Shay, 2014).

4.2.2.2. ღირებულებათა ცვლილებები როგორც მორალური ტრავმის შედეგი

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტრავმა

მიუხედავად იმისა, რომ მორალური ტრავმის ყველა კატეგორიაში ცვლილებების ერთი და იგივე ტიპები გამოყო თემებად, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში ის განზომილებები, სადაც ცვლილებები ხდება, მსგავსია, საკუთარი ქცევის შედეგად დამდგარი ტრავმული გამოცდილება უკავშირდება საკუთარ თავზე წარმოდგენების და აღქმების ცვლილებებს.

ამ შემთხვევაშიც, ცვლილებები აღწერით დონეზე ნეგატიურია და აღქმულია, როგორც დანაკარგი საკუთარ თავში, თუმცა ცვლილება მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა მიმდევლობის ზრდა და მოვლენებთან გამკლავების და ადაპტაციის უკეთესი უნარები.

„რადაც დავკარგე იმიტომ რო მე საერთოდ აი გაჩერებული სულ ვცქმუტავდი სულ ვმხიარულობდი სულ სადაც წავიდოდი ახლა ეგრე აღარ ვარ.“ [სოციალური მუშაკი, ქალი, 28]

„ვიცი, რომ ამ პერიოდში რაღაცეების მიმართ მიმდებლობა გამიჩნდა, ვიცი რომ ვიცვლები, ჩემს თავზე შეფასება მიქვეითდება უფრო მეტად.“ [სოციალური მუშაკი, ქალი 29]

პერსონალური (პირადი ცხოვრებისეული) მორალური ტრავმა

მსგავსად, ქცევის შედეგად ხდება საკუთარ თავზე წარმოდგენების რყევა: „*მორალურად გავნადგურდი, ჩამომექცა წარმოდგენა ჩემს თავზე, კარგი 1-2 კვირა ვიტირე*” [სქემაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, 26, ქალი]

სწორედ სქემების რღვევის შედეგია ცვლილებები, რომლებიც ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდება და ამ შემთხვევაში ცვლილების ყველაზე დიდი კატეგორია განუსჯელობაა - იგულისხმება სხვისი ქცევებისადმი მეტი ემპათია და ნაკლები განსჯა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის, რომ ზოგადად მორალურ ტრავმასთან გამკლავებისას საუბრობენ მიმღებლობის ზრდაზე, პატიებაზე და საკუთარ ღირებულებებთან დაბრუნებაზე (გადაფასების - განახლებული ღირებულებებისადმი მიჯაჭვულობის გაჩენაზე) (J. Nieuwsma et al., 2015; Park, 2010b).

„არა საერთოდ არ ვუყურებ არავის უარყოფითად აი მაშინ ვუყურებდი სანამ მაგას გავაკეთებდი, იმის მერე არა სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე და ბოდიში და სანამ დებილობა და დეგენერატობა ისეთი საშინელება არ გავაკეთე იმის მერე აღარ მაქვს ეგ“
[სოციალური მუშაკი, ქალი, 28]

„კი, მე ხომ ჩემი თავი მე გავზარდე და მე ჩამოვყალიბე. მე თუ ვიცი, რომ მეც კი ესეთი რაღაც შეიძლება დამემართოს ანუ ყველას აქვს საპატიებელი და მისატოვებელი, იმიტომ რომ მე ჩემს თავზე მკაცრად ვერავის ვერ მოვექცევი. ჩემი თავის მიმართ ყოველთვის მკაცრი ვიყავი. მიმტვევებელი გავხდი სხვების მიმართ მეტად და ჩემი თავის მიმართ არა. ჩემს თავს დღემდე ვსჯი.“ ვარ.“ [სქემაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, 26, ქალი]

ამასთან ერთად, ცვლილებებში პერსპექტივების გაფართოვება, პიროვნული სიძლიერეების აღმოჩენა და განსხვავებული გამოცდილებების მიღებაც ერთიანდება, თუმცა საბოლოო ჯამში ცვლილების შეფასება ამ შემთხვევაშიც არ ხდება პოზიტიურად და არ აღიქმება სასურველ ცხოვრებისეულ გაკვეთილად, გამომდინარე იქიდან, რომ ემოციურად დღემდე მოქმედი მოვლენაა.

„ვაფშე შეიცვალა ცხოვრება, ადამიანები შეიცვალნენ ჩემს ცხოვრებაში უკეთესობისკენ. იმ რაღაცა გადაწყვეტილებამ ამაწყობინა პირადი ცხოვრება, ვაფშე სხვანაირად გახსნილ ადამიანთან.“ [სქემაში მომუშავე ქოლ-ცენტრის თანამშრომელი, ქალი, 26,]

“რადაცის გაკეთებას რომ გადავწყვეტ, აი მაგაზე მოქმედებს, რომ შეიძლება მაგან დამაბრკოლოს, შეიძლება რადაც არ გავაკეთო.” [სოციალური მუშაკი, ქალი, 29]

„კი, მაგრამ თუმცა ყოველ შემთხვევაზე გახსენება ეხლაც სტრესულია ძალიან.“ [სოციალური მუშაკი, ქალი, 29]

ცვლილებებზე საუბრისას რესპონდენტები გამოკვეთდნენ საკუთარ თავთან დაკავშირებულ სიძლიერებს, რასაც გადატანილ გამოცდილებებს და მათ შედეგად ჩამოყალიბებულ უნარებს უკავშირებდნენ.

ცხრილი 7. ‘სიძლიერე’ და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

<p>აი რომ ამბობენ, რაც შეიძლება ბოლომდე, იმიტომ რომ ალბათ ძალიან ისეთია, რომ საკუთარ თავში</p> <p>ამ შემთხვევაში როგორ ვთქვა</p> <p>მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტად რადაცეების არ მეშინია და მორალურად მორალურად</p> <p>გავლენა მოახდინა?ძალიან, ხომ ვამბობ, რომ</p> <p>შეიძლება პირიქით, ჩემს თავში აღმოვაჩინე, რომ</p> <p>ვარ რთული ემოციების მიმართ, უფრო უფრო ძლიერი ტიპი ვარ, უფრო</p> <p>ბევრი მეტყოდა მაგაზე, რომ უფრო მორალურად საკმარისად</p>	<p>ძლიერი</p>	<p>იყო ეგეთად ჩამოყალიბდი</p> <p>უნდა იყო რომ ეს შეძლო</p> <p>მხარეების აღმოჩენა ხომ შეგძლება თურმე</p> <p>უნდა იყო, რომ სხვადასხვა სისტემებთან</p> <p>ვიქნებოდი ვიდრე ეხლაც ვარ</p> <p>ვარ</p> <p>უნდა იყო ამ შემთხვევაში</p> <p>ხარ და რადაც, მაგრამ</p> <p>ვარ</p> <p>აღამიანი, აი რომ ამბობენ</p> <p>გავხდი და ამასთან ემოციური დამოკიდებულება</p> <p>ტიპი ვარ, უფრო ძლიერი გავხდი</p> <p>არ ვარ, მაგას ვფიქრობ</p>
---	----------------------	---

იქიდან გამომდინარე, რომ სიძლიერე პირდაპირ სახელდება ცვლილებებზე საუბრისას, ამ ტერმინის კონტექსტუალური ანალიზიდან ჩანს, რომ პიროვნებები სიძლიერეს უკავშირებენ საკუთარ მორალურ მდგომარეობას და აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მორალური სიძლიერე ზოგადად საჭიროა იმისთვის, რომ პიროვნება მსგავს მოვლენებს გაუმკლავდეს. სიძლიერე აგრეთვე სახელდება რთულ ემოციურ

მდგომარეობებთან გამკლავების კონტექსტში. მნიშვნელოვანია ის, რომ ინდივიდებისთვის აუცილებელია საკუთარი თავის 'ძლიერად' აღქმა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდწილად საკუთარი თავის და მოვლენის შემდგომი ცვლილების ნეგატიურად შეფასება ხდება სწორედ იმიტომ, რომ ინგრევა წარმოდგენები საკუთარ სიძლიერეზე.


ცხრილი 8. 'სწავლა' და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

<p><i>ადამიანის კეთილდღეობაში ცვლილებას ნაკლებად შეიტანს</i></p> <p><i>არის, როგორც ჩემმა ძველმა თავმა</i></p> <p><i>ვეხები, მაგრამ დიდებისგან გამომდინარე</i></p> <p><i>ეგ ძალიან მცირეა რაც</i></p> <p><i>რადაცეები თუ ხდებოდა, ამ სამსახურმა</i></p>	<p>მასწავლა</p>	<p><i>ის რომ, უნდა იყო ფრთხილად</i></p> <p>ვერ იქნები <i>სულ ისეთი იდეალური</i></p> <p><i>ამ სამსახურმა და მასწავლა ის.</i></p> <p><i>უბრალოდ პირველი ეგ გამახსენდა</i></p> <p><i>ეს ყველაფერი.</i></p>
---	------------------------	--

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილების სუბიექტური შეფასება იყო უფრო ნეგატიური, სიძლიერეების აღმოჩენასთან ერთად, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ტრავმული გამოცდილები იყო ერთგვარი გაკვეთილი, რომლის შედეგადაც მათ ისწავლეს მდგომარეობასთან გამკლავება. 'სწავლა' უკავშირება იმის აღმოჩენას, თუ როგორია რეალური სამყარო, როგორები არიან ადამიანები, როგორები ვერ ან არ უნდა იყვნენ თვითონ და როგორ უნდა გაუმკლავდნენ სიტუაციას, მიუხედავად იმისა ახერხებენ თუ არა ამას ყველა შემთხვევაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სქემა 4, რომელიც წარმოადგენს თეორიის ემპირიულ მოდელს.

სქემა 4. თეორიის ემპირიული მოდელი



4.2.3. მორალური ტრავმის ბუნება: ზოგადი სპეციფიკურის საპირისპიროდ

საინტერესოა ის, თუ როგორ უკავშირდება თავდაპირველად განსაზღვრული მორალური ტრავმა - ომის კონტექსტში - იმ გამოცდილებებს, რასაც ადამიანები შესაძლოა ყოველდღიური მოვლენების დროს აწყდებოდნენ და მათ მორალურ პრინციპებთან მოდიოდნენ წინააღმდეგობაში. მსგავსი შედარების გაკეთება საჭიროა გამომდინარე იქიდან, რომ აღწერილი და განხილული მონაცემები და მოვლენები განვსაზღვროთი როგორც მორალური ტრავმა.

მოსაზრება, რომ მორალური ტრავმა არ არის მხოლოდ სპეციფიკური, უფრო კონკრეტულად, ომის გამოცდილების მქონე, ჯგუფების გამოცდილება და მსგავსი პროცესები ზოგადად ადამიანური გამოცდილების ნაწილია, გამყარებულია ტრავმის რამდენიმე მახასიათებლით.

მორალური ტრავმა, როგორც საკუთარი ან სხვის მიერ ჩადენილი მორალური ღირებულებების და პრინციპების საწინააღმდეგო ქცევის შედეგი (Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014), შესაძლებელია განხილული იყოს ზოგად პოპულაციაშიც, გამომდინარე იქიდან, რომ მორალური მახასიათებლები და ნიშნები საკუთარი თავის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია (Fernandez-Duque & Schwartz, 2016; Strohminger et al., 2017; Strohminger & Nichols, 2014), შესაბამისად, საკუთარ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსვლა არ არის მხოლოდ ერთი სპეციფიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი.

მოცემული კვლევა ადასტურებს ამ მოსაზრებას რადგან სიტყვა 'პრინციპი', როგორც საკვანძო სიტყვა ნვივოს პროგრამის გამოყენებით იდენტიფიცირებული იქნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ცნება რესპონდენტების მიერ. მნიშვნელოვანად მივიჩნიეთ შესწავლილიყო ის თანხმლები კონტექსტი, რომელიც პრინციპის ცნებასთან ერთად იყო ინტერვიუებში წარმოდგენილი ტრავმულ მდგომარეობაზე საუბრისას.

ქვემოთ მოცემულია ის ვერბალური შინაარსები, რასაც პიროვნება პრინციპებთან აკავშირებს (ცხრილი 9)

ცხრილი 9. 'პრინციპი' და მასთან დაკავშირებული კონტექსტი

<i>ჩემთვის გაწერილი მკაცრად ეს</i>		<i>რასაც მე ვემზრობოდი მე არასდროს დამირღვევია.</i>
<i>მკურნალობის სქემა და გადაწყვეტილების მიღების</i>		<i>შედგენილია მილიონ პაციენტზე დაკვირვებით</i>
<i>მორალური ღირებულებაა დაიცვა შენი სამსახურეობრივი</i>	პრინციპები	<i>შენ თვითონ არ ეთანხმები, შენი პრინციპები არ ეთანხმება,</i>
<i>საჭირო იყო, მაგრამ რეალურად რო ითქვას, შენი</i>		<i>დაარღვიე</i>
<i>უნდა დათრგუნო ეს შენი მორალური</i>		

პრინციპი, რომელზეც რესპონდენტები საუბრობენ მორალური პრინციპების შინაარს ატარებს და წარმოადგენს წესებს, რაც მკაცრად გაწერილი და ღირებულებებთან შეჭიდებულია. ცნების კონტექსტუალური ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მორალური ტრავმა ამ პრინციპების დათრგუნვის და მის საწინააღმდეგოდ ქცევის შედეგად ჩნდება. პრინციპებთან დაკავშირებული კონტექსტი მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ შინაარსი, რომელიც მორალურ ტრავმაში იგულისხმება თანხვდება იმ შინაარს, რომელსაც რესპონდენტები გულისხმობენ საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას.

ამასთან ერთად, შესაძლებელია კვლევაში მოცემული ნატარივის სტრუქტურის შედარება სწორედ ომის ნატარივის სტრუქტურასთან (Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014), სადაც მკვეთრად ჩანს ანალოგიური პროცესი და კერძოდ იკვეთება:

მორალურ ტრავმასთან დაკავშირებული მოვლენის შემდგომი ემოციური რეაქციები -

მარტოობა, დანაშაულის გრძნობა, ფიქრი (რუმინაცია), სახელმწიფოს მხრიდან

„ღალატი“, უიმედობა, სასოწარკვეთა.



მდგომარეობის შეფასება - დეპრესია, სტრესი, რუმინაცია, არსებული ცოდნის და

წარმოდგენების გადამოწმება, რწმენების რყევა



ცვლილება - ადამიანების დაფასება, სამყაროზე წარმოდგენების ცვლილება,

საკუთარ თავზე წარმოდგენების ცვლილება

მსგავსია არა მხოლოდ ტრავმული გამოცდილების სტრუქტურა და პროცესი, არამედ ემოციური შინაარსები და სქემები, რომელსაც საბოლოო ჯამში ცვლის აღნიშნული გამოცდილება. დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნება, რომელიც რწმენების რყევითაა გამოწვეული და რომელიც თან სდევს მორალურ ტრავმას (Bryan et al., 2018; Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014).

„იქ ბევრი დაიხოცა და გადავრჩით სამი და რასაც ამბობთ თემაზე, სულ გამყვა ეს უფრო ადრე რომ დამემდგარიყავი იქ, სხვანაირად მოვეცეულიყავი და ეს სიზმრებშიც გადამდიოდა, რომ რაღაცა სხვანაირად უნდა მექნა. რაღაცა სხვანაირად რომ ვერ ვქენი, ამიტომ მოხდა ის, რომ ბევრი ქართველი დაიღუპა. მეც მსხვერპლი ვიყავი პოტენციური. მაგრამ ეს შეგრძნება მაინც დამრჩა, რომ მე იმათ მიმართ ვარ პასუხისმგებელი კი არა, სხვანაირად რომ მოვეცეულიყავი იქნებ სულაც მე მოვმკვდარიყავი და არ დასრულებულიყო ასე. ეს დამრჩა.“ [ექიმი, 55]

„ყველაზე ცუდი იყო უსუსურობის განცდა ვერაფერს რომ ვერ ცვლი რა. ხან ბრაზდები, ხან გეტირება, რაღაცის გაკეთება გინდა და ვერ აკეთებ, მერე ეს ყველაფერი გალიზიანებს. ... მერე დაჭრილების სორტირებას რომ ვაკეთებდით ... საკუთარ მორალსაც ეწინააღმდეგები, ლაპარაკი უნდა, ვერ ელეპარაკები, ... ეგ არის რა უსუსურობის განცდაა ყველაზე რთული. მერე ამ ყველაფერს რომ უყურებ იმაზე ბრაზდები, მერე გეტირება.“ [რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი, 36, კაცი]

“I თვე. მერე მულტიფილმები ჩამოვიწერე დისკზე, ტელევიზორს აღარ ვრთავდი, ესე ვიჯექი პროსტა მულტიფილმებს ვუყურებდი ხოლმე. საინფორმაციოს მოსმენაც აღარ შემეძლო.“ [რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი, 36, კაცი]

და საბოლოოდ არსებული წარმოდგენების და სქემების გადამუშავება, და ახალი აზრის გამოტანა მომხდარიდან (Ferrajão & Aragão Oliveira, 2016b; Litz et al., 2009a; J. Nieuwsma et al., 2015)

“შეცვალა ბევრი კუთხით ჯერ ერთი შენში ცვლის ბევრ რაღაცას, უფრო მეტად აფასებ ადამიანებს შენს გარშემო, სიცოცხლეს ზოგადად და არსებობას. ... ჩემს ძმას რომ ვურეკავდი ჩამოდი, რომ ჩამოსულიყო მართლა და რაღაც მომხდარიყო, მერე მთელი ცხოვრება ეს უნდა გქონდეს ლოდად. ... მერე ეს ყველაფერი რომ ვნახე კი დავაფასე ყველაფერი, მაგრამ შეცდომებს და იმ გაუბედურებულ ხალხს, სახელმწიფოს მიერ ყურადღებას და იმ ცუდ რაღაცეებს რომ ვუყურებ მერე ფიქრობ რომ ღირს ვაფშე ამის გაკეთება, ეხლა რომ დაიწყოს კიდევ ომი არ ვიცი გამოვიქცევი თუ არა.“ [რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი, 36, კაცი]

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის ტიპი და ინტენსივობა შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვადასხვა კონტექსტის და სიტუაციის შესაბამისად, იქ სადაც საუბარია მორალურ ღირებულებებსა და პრინციპებზე და ამის შესაბამის ან საწინააღმდეგო ქცევებზე, აგრეთვე დასაშვებია იმ ზოგად პროცესებზე საუბარი, რომელიც შესაძლებელია, რომ თან სდევდეს მას. სწორედ ამ პროცესების და მისი სტრუქტურის თანხვედრიდან გამომდინარე არის შესაძლებელი დაშვება იმისა, რომ მორალური ტრავმა არ არის მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტთან მიჯაჭვული ფენომენი და შესაძლებელია მისი ზოგად ადამიანურ ფენომენად განხილვა.

4.2.4. მორალური ტრავმა: დინამიკა, შეფასება, შედეგები

საბოლოოდ, თვისებრივი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა ტიპის მორალურ ტრავმასა და მასთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის, ძირითადი პროცესი, რომელიც ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდება მსგავსია. პროცესის ვიზუალიზაცია მოცემულია სქემაზე #5.

პროცესი მოკლედ აღწერს ძირითად მიმდინარეობას ტრავმული მოვლენიდან საბოლოო შედეგებამდე. კერძოდ, მორალური ტრავმისთვის, მოვლენასთან ერთად აუცილებელია ქცევის განსჯა მოხდეს არსებული მორალური პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქცევა ფასდება, როგორც სწორი ან არასწორი. თუმცა, ქცევის მიერ გამოწვეული ემოციური რეაქციები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოახდენს პიროვნება ამ ქცევის გამართლებას, სხვა სიტყვებით მორალურად „გამოთიშავს“ თუ არა ის საკუთარ თავს ქცევიდან.

ნეგატიური ემოციური რეაქცია მოყვება არსებული სქემების რღვევას სამყაროს, ადამიანებისა და საკუთარი თავის შესახებ, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს ქცევისგან, რომელიც საკუთარი მორალური პრინციპების და ღირებულებების წინააღმდეგაა მიმართული და ვერ ხდება სხვადასხვა ფაქტორების და სიტუაციების გათვალისწინებით მისი გამართლება (ვერ ხდება მორალური „გამოთიშვა“).

ნეგატიურ ემოციებთან გამკლავება კი ერთი მხრივ ხდება, მათთან ადაპტაციით და მოვლენებზე ემოციური რეაქციების დესენსიტიზაციით, ხოლო მეორე მხრივ

დარღვეული სქემების რესტრუქტურით, რასაც განახლებული წარმოდგენები, ღირებულებები და ფასეულობები წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში როდესაც, საუბარია საკუთარ ქცევაზე, ადამიანები, სქემების მოდიფიკაციასთან ერთად, ცდილობენ პოზიტიური თვით-კონცეფციის შენარჩუნებას და აღდენას კომპენსატორული ქცევების საშუალებით.

სქემა 5. მორალური ტრავმის დინამიკა: ემოციური და კოგნიტური კომპონენტები.



ძირითადი სხვაობა, რაც ორი ტიპის (აქტორის და დამკვირვებლის) მორალურ ტრავმას განასხვავებს ერთმანეთისგან არის ის, თუ სად არის ცვლილების ფოკუსი მოთავსებული. ერთი მხრივ, როდესაც საუბარია სხვა ადამიანების მიერ განხორციელებულ ქცევებზე და ზოგადად მოვლენებზე, რომელიც დისონანსში მოდის არსებულ მორალურ ღირებულებებთან, ჩნდება პროტესტის, მარტოობის, უმწეობის და უსამართლობის შეგრძნება, რაც საბოლოო ჯამში ადამიანებზე და სამყაროზე წარმოადგენს ცვლილებაზე აისახება და ამასთან ერთად ხდება სამყაროსთან გამკლავებისას საკუთარ უნარებში დარწმუნება.

მეორე მხრივ, როდესაც გამოცდილება უშუალოდ საკუთარ ქცევას ეხება, ინგრევა საკუთარ თავზე აქამდე არსებული წარმოდგენები, ჩნდება თვითდადანაშაულების, სირცხვილის შეგრძნება, რასაც ერთი მხრივ მოყვება საკუთარი თავის ნეგატიურად შეფასება, ნდობის კარგვა, შიში, თუმცა მეორე მხრივ იზრდება ემპათიის უნარი და სხვა ადამიანების ქცევების მიმდებლობა.

საბოლოოდ, თვისებრივი მონაცემების თემატური და კონტექსტუალური ანალიზიდან გამომდინარე რამდენიმე ძირითადი დაკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: (1) მორალურად ტრავმული გამოცდილებები არსებობს ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებებში და მას მხოლოდ სპეფიციკური კონტექსტი არ განსაზღვრავს. (2) მორალური ტრავმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქცევის განსჯა არსებული მორალური პრინციპების და ღირებულებების მიხედვით, რის შედეგადაც ქცევა ან მოვლენა აღიქმება როგორც არასწორი და (3) რომლისგანაც არ/ვერ დისტანცირდება პიროვნება, სხვა სიტყვებით, არ ხდება მორალური გამოთიშვის გამოყენება. (4) ქცევის/მოვლენის, როგორც არასწორის დიფერენცირება ეჭვ ქვეშ აყენებს აქამდე არსებულ წარმოდგენებს ადამიანების და სამყაროს შესახებ, რაც (5) უარყოფით ემოციურ რეაქციებს უკავშირდება, თუმცა (6) ღირებულებების გადაფასების და ახალი აღმოჩენების საფუძველს ქმნის, რასაც პიროვნულ ზრდად მოიხსენიება.

თავი V - რაოდენობრივი კვლევა

5.1. რაოდენობრივი კვლევის დიზაინი

მოსამზადებელი ეტაპი

კვლევის მოსამზადებელი ეტაპის მიზანს მორალური ტრავმის, მორალური იდენტობის ცენტრალურობის და მორალური „გამოთიშვის“ საკვლევი ინსტრუმენტების ფინალური ვერსიების შექმნა წარმოადგენდა. ამისთვის პირველ რიგში მოდიფიცირდა მორალური ტრავმის საკვლევი ინსტრუმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის მოდიფიკაციის და სხვა კონტექსტზე გამოყენების პრენცენდენტი უკვე არსებობს (Haight et al., 2016), კვლევის მოსამზადებელ საფეხურზე პროცედურები იდენტური იყო. დამოუკიდებელ მკვლევართან ერთად, ორიგინალ ინსტრუმენტში წარმოდგენილი დებულებები დაიცალა სპეციფიკური შინაარსებისგან და მოერგო ზოგად გამოცდილებებს. საბოლოო მიზანს ინსტრუმენტის ზოგად პოპულაციაზე მორგება წარმოადგენდა.

ასევე, მოსამზადებელ ეტაპზე მოდიფიცირდა მორალური იდენტობის ცენტრალურობის და მორალური გამოთიშვის საკვლევი ინსტრუმენტები მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. კითხვარი ითარგმნა ორი დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ, მცირე ვერბალური მოდიფიკაციების შემდეგ გაკეთდა უკუთარგმანი, ორიგინალ ვერსიასთან შინაარსობრივი თანხვედრის მიზნით.

მოდიფიცირებული ინსტრუმენტების გამოყენებით, შეგროვდა მონაცემები და მომზადდა შემდგომი დამუშავებისთვის.

კვლევაში მონაწილე პირები

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანს არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული სემენტის კვლევა და მოდელი აგებულია ჰიპოთეზაზე, რომ მორალური ტრავმა შესაძლებელია ყოველდღიური ადამიანური გამოცდილების შედეგადაც დადგეს, შესაბამისად კვლევაში მონაწილე პირების შერჩევა არ მოხდა მათი პროფესიის და დასაქმების მიხედვით. კვლევაში გამოვიყენეთ ხელმისაწვდომობის პრინციპი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 450-მა მონაწილემ, საიდანაც 27%-ს კაცები, ხოლო 73%-ს ქალები შეადგენდნენ. ასაკობრივი გადანაწილება კვლევაში 18 დან 82

წლამდე იყო, თუმცა რესპონდენტთა უმრავლესობა 18-25 წლამდე კატეგორიაში მოხვდა (M = 24; SD= 9).

რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები

მორალური იდენტობის ცენტრალურობა - მორალური იდენტობის ცენტრალურობის დასადგენად, გამოვიყენეთ აქუინო და რიდის (Aquino & Reed, 2002b) შექმნილ მორალური იდენტობის საზომი ინსტრუმენტი, რომელიც მუშაობს ორ ფაქტორზე: 1. ინტერნალიზაცია და 2. სიმბოლიზაცია. პირველში იგულისხმება ის, თუ რამდენად ცენტრალურია პიროვნების თვით-კონცეფციისთვის მორალური მახასიათებლები, ხოლო სიმბოლიზაციაში იგულისხმება ის, თუ რამდენად აჩვენებს პიროვნება ქცევაში ამ მახასიათებლებს, სხვა სიტყვებით, რა ხარისხით ცდილობს ის ამ მახასიათებლების წარმოჩენას. დებულებები ლაიკერტის 7 ბალიან სკალაზე აფასებს პიროვნების მიერ მორალური მახასიათებლების სასურველობას და ქცევაში გამოვლენის ხარისხს, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 7 – „სრულიად ვეთანხმები“

მორალური ტრავმა - The MIES (Nash et al., 2013) წარმოადგენს თვით-ადმინისტრირებად საკვლევ ინსტრუმენტს, რომელიც ომის ვეტერანების გამოცდილების საკვლევად შეიქმნა. ინსტრუმენტის ორიგინალი ვერსია შედგება თერთმეტი დებულებისგან, საიდანაც თითოეული ეკითხება რესპონტენტს აღქმული ტრავმის (მის ან სხვის მიერ ჩადენილი), ან ადამიანების მიერ ღალატის შესახებ. მოგვიანებით, ომის მორალური ტრავმის სხვა კონტექსტში საკვლევად, ინსტრუმენტი გადამუშავდა, დებულებების შინაარსი დაიცალა სპეციფიკური შინაარსებისგან და საკუთარი და სხვების მიერ ჩადენილი ქცევა ცალკე ფაქტორებად გამოიყო (Haight et al., 2017). ინსტრუმენტი შედგება ცხრა დებულებისგან, საიდანაც რესპონდენტმა უნდა მიუთითოს რამდენად ეთანხმება ან არ ეთანხმება თითოეულ დებულებას 1 დან (სრულიად ვეთანხმები) 6-მდე (სრულიად არ ვეთანხმები). წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, გაკეთდა ფაქტორების სტრუქტურების ანალიზი და გამოიყო ორი ფაქტორი: საკუთარი და სხვისი ქცევა, რომელიც მორალურ ტრავმასთან არის დაკავშირებული.

ბაზისური რწმენების რყევა - CBI წარმოადგენს თვითადმინისტრირებად საკვლევ ინსტრუმენტს, რომელიც შედგება 9 დებულებისგან, საიდანაც თითოეული ზომავს მოვლენის შემდგომ არსებული რწმენების და წარმოდგენების რღვევას (Cann et al.,

2010). კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, გაიხსენონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სტრესული გამოცდილება მათ ცხოვრებაში და მასთან მიმართებაში შეაფასონ თითოეულ დებულება ლიკერტის ფორმატის ხუთქულიან სკალაზე, რომელზეც „1“ აღნიშნავს პასუხს „საერთოდ არ ვეთანხმები“ და „5“ მიუთითებს პასუხზე „სრულიად ვეთანხმები“. ამ შემთხვევაში, მოვლენა რომლსაც რესპონდენტები იხსენებდნენ, იყო მათი ან სხვის მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც მათი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგო იყო.

ნდობა - ნდობის სკალა წარმოადგენს თვითადმინისტრირებად საკვლევ ინსტრუმენტს, რომელიც შედგება 6 დებულებისგან, საიდანაც თითოეული ზომავს ზოგად წარმოდგენებს ადამიანის პატიოსნების და სანდობის შესახებ (Yamagishi & Yamagishi, 1994). რესპონდენტებს სთხოვეს შეაფასონ თითოეული დებულება ლიკერტის ხუთქულიან სკალაზე, სადაც „1“ ნიშნავს პასუხს „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო „5“ ნიშნავს - „სრულიად ვეთანხმები“.

დეპრესია, შფოთვა სტრესი - დეპრესია, შფოთვა, სტრესის სკალა DASS (Lovibond & Lovibond, 1995) - შედგება 42 დებულებისგან და აფასებს სამ ურთიერთდაკავშირებულ ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობას, რომელთაგან თითოეულს აფასება 14 დებულება. რესპონდენტი 4 ბალიან ლიკერტის სკალაზე აფასება კონკრეტული მდგომარეობის განცდის დონეს/სიხშირეს, სადაც „0“ ნიშნავს „საერთოდ არ მახასიათებდა“, ხოლო „3“ - „უმეტესწილად მახასიათებდა“. ინსტრუმენტმა აჩვენა შინაგანი შეთანხმებულობის მაღალი დონე და სამ ფაქტორიანი მოდელის ვალიდობა მოგვიანებით მისი გადამუშავებისას (Imam, 2008).

პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია (PTGI-Geo) შექმნილია ხეჩუაშვილის მიერ (ხეჩუაშვილი, ლ., 2015). პოსტტრავმული ზრდა სამ სფეროზე შეიძლება შეინიშნებოდეს: 1) თვითაღქმა - დამოკიდებულების ცვლილება საკუთარი თავის მიმართ 2) სხვებისადმი დამოკიდებულება - ურთიერთობების ახლებური აღქმა 3) წარმოდგენები სამყაროს შესახებ - ცხოვრების ახალი ფილოსოფია, მოვლენების ახლებული შეფასება (Joseph, 2009b) ეს სამივე მიმართულება, ასახულია ავტორების მიერ შექმნილ 21 დებულებიანი კითხვარის ხუთ ფაქტორში, რომლებიც მიმართულია ცვლილებების დასადგენად, ეს ფაქტორებია: 1. სხვებთან ურთიერთობა, 2. ახალი შესაძლებლობები, 3. პიროვნული სიძლიერე, 4. სპირიტუალური ცვლილებები და 5.

ცხოვრების დაფასება. კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, დაასახელონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სტრესული გამოცდილება მათ ცხოვრებაში და მასთან მიმართებაში შეაფასონ თითოეულ დებულებაში აღწერილი ცვლილების ინტენსივობა ლიკერტის ფორმატის ექვსქულიან სკალაზე, რომელზეც „0“ აღნიშნავს პასუხს „საერთოდ არ მომხდარა ეს ცვლილება“ და „5“ მიუთითებს პასუხზე „ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა“ (Jayawickreme & Blackie, 2014; ციტირებულია ხეჩუაშვილი, 2015-ში). ამ შემთხვევაში, მოვლენა რომლსაც რესპონდენტები იხსენებდნენ, იყო მათი ან სხვის მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც მათი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგო იყო.

მორალური გამოთიშვა - მორალური გამოთიშვის საზომად გამოყენებულია მურის (Moore et al., 2012b) მიერ გადამუშავებული ვერსია, რომელიც ბანდურას (Bandura et al., 1996) მორალური გამოთიშვის საკვლევი ინსტრუმენტის ორიგინალ ვერსიას ეყრდნობა. კითხვარი შედგება 24 დებულებისგან, რომლებიც მორალური გამოთიშვის რვა მექანიზმს ზომავენ. თითოეული მექანიზმის გამოყენების მიმდებლობა სამი დებულებით ფასდება, სადაც რესპონდენტები თითოეულ დებულებას, ლიკერტის 7 ბალიან სკალაზე, აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან მოცემულ დებულებას.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისთვის გამოვიყენეთ სტატისტიკური დამუშავების პროგრამები IBM - SPSS21, AMOS.

5.2. რაოდენობრივი მონაცემების აღწერითი სტატისტიკა

მორალური იდენტობის ცენტრალურობის სკალის ფაქტორული სტრუქტურა და პირველადი კომპონენტების ანალიზი

მორალური იდენტობის ცენტრალურობის 10 დებულებაზე ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი. პირველ რიგში შემოწმდა მონაცემების შესაბამისობა. კორელაციურმა ცხრილმა აჩვენა დებულებების .3 ზე ნაკლები კორელაცია, რაც ფაქტორების აღმოჩენის საშუალებას იძლეოდა. ბრუნვის მეთოდად შეირჩა კაიზერის ნორმალიზაციის მეთოდი (Oblimin with Kaiser Normalization). კაიზერ-მეიერ-ოლკინის ინდექსი (Kaiser-Meyer-Olkin (KMO)) .068-ია, რაც რეკომენდირებულ მაჩვენებელს (0.6) სცდება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ბარტლეტის გაბნეულობის მაჩვენებელი

(Bartlett's test for sphericity) ($\chi^2(45) = 815.489, p < .01$), რაც ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობას ადასტურებს. ფაქტორების რაოდენობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად დავეყრდენით კაიზერის კრიტერიუმს (Kaiser's criterion eigenvalues 1 - ზე მაღალი).

ცხრილი 10. მორალური იდენტობის ცენტრალურობის სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) (1. მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია, 2. მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია. ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად)

	Pattern Matrix		Structure Matrix	
	1	2	1	2
ამ მახასიათებლების მქონე ადამიანი რომ ვიყო თავს კარგად ვიგრძნობდი.	.124	.666	.213	.682
ამ მახასიათებლების ფლობა ჩემი პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია.	.209	.652	.296	.680
ჩემი ჩაცმულობა ხშირად გამოხატავს ამ მახასიათებლების ქონას.	.555	.012	.557	.087
შემრცხვებოდა ეს მახასიათებლები რომ მქონდეს.	-.216	.580	-.138	.552
ის, რასაც თავისუფალ დროს ვაკეთებ (ჰობი, გამოხატავს იმას, რომ ამ თვისებებს ვფლობ.	.594	.096	.606	.175
იმაზე, რომ ამ მახასიათებლებს ვფლობ, მეტყველებს ის წიგნები და ჟურნალები, რომლებსაც ვკითხულობ.	.615	.093	.627	.175
ამ მახასიათებლების ფლობა სულაც არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი.	-.098	.623	-.014	.610
ის, რომ ამ მახასიათებლებს ვფლობ გამოიხატება ჩემი ჩართულობით სხვადასხვა ორგანიზაციებში.	.762	-.113	.747	-.011
ჩართული ვარ ისეთ აქტივობებში, საიდანაც ჩანს რომ ამ მახასიათებლებს ვფლობ.	.779	-.060	.772	.045
ძალიან დიდი სურვილი მაქვს რომ ამ მახასიათებლებს ვფლობდე.	.133	.671	.223	.689

ექსტრაქციის მეთოდი: პრინციპული კომპონენტის ანალიზი
 როტაციის მეთოდი : ობლიმინი კაიზერის ნორმალიზაციით

ორფაქტორიანი გადაწყვეტა, რომელიც მონაცემების 44% ხსნიდა, ყველაზე შესაფერისი აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზის გამო. 1) მისი თეორიული საფუძვლის 2) გაბნევის ბადეზე მესამე ფაქტორის ბუნდოვანების 3) ფაქტორებზე არასაკმარისი წონა და ინტერპრეტაციის სირთულის გამო.

მორალური ტრავმის სკალის ფაქტორული სტრუქტურა და პირველადი კომპონენტების ანალიზი

მორალური ტრავმის საკვლევი ინსტრუმენტის გადამუშავებულ ვერსიაში, რომელიც 9 დებულებისგან შედგებოდა, ქართულ ვერსიაში ორი დებულების შინაარსობრივი იდენტობის მიზეზით ამოვიღეთ 1 დებულება. 8 დებულებაზე ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი. პირველ რიგში შემოწმდა მონაცემების შესაბამისობა კორელაციურმა ცხრილმა აჩვენა დებულებების .3 ზე ნაკლები კორელაცია, რაც ფაქტორების აღმოჩენის საშუალებას იძლეოდა. ბრუნვის მეთოდად შეირჩა კაიზერის ნორმალიზაციის მეთოდი (Oblimin with Kaiser Normalization). კაიზერ-მაიერ-ოლკინის (Kaiser-Meyer-Olkin (KMO)) ინდექსი .66 - ია, რაც რეკომენდირებულ მაჩვენებელს (0.6) სცდება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ბარტლეტის ტესტის დონე (Bartlett's test for sphericity) ($\chi^2(28) = 1401.730, p < .01$), რაც ფაქტორული ანალიზის მიზანშეწონილობას ადასტურებს.

ახსნითი ფაქტორული ანალიზის ჩატარების შედეგად, გაბნევის ბადემ აჩვენა მონაცემების სამფაქტორიანი განაწილება, რაც ჯამში მონაცემების 76% ხნიდა.

ცხრილი 11. მორალური ტრავმის სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) (1. მორალური ტრავმა - დამკვირვებლის პერსპექტივა, 2. მორალური ტრავმა - აქტორი, 3. ღალატი სხვების მხრიდან; ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად)

	Pattern Matrix			Structure Matrix		
	1	2	3	1	2	3
ცხოვრებაში შემსწრე ვყოფილვარ ისეთი რაღაცეების რაც მორალურად გაუმართლებელია.	.027	.002	.894	.226	.128	.901
შევუწუხებდევარ სხვისი ამორალური ქცევის დანახვას.	-.024	.022	.903	.180	.139	.900

მოვეცეულვარ ჩემი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგოდ.	.664	-.132	.058	.651	.005	.187
მაწუხებს ის, რომ მოვეცეულვარ ჩემი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგოდ.	.823	.069	.050	.848	.237	.242
მე ვთვლი რომ უარვყავი ჩემი მორალური პრინციპები, რადგან არ გავაკეთე ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდი	.839	.042	-.021	.843	.203	.170
განვიცდი იმას, რომ წავედი ჩემი მორალური პრინციპების საწინააღმდეგოდ და არ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა.	.867	.082	-.088	.863	.239	.115
თავი მოტყუებულად მიგრძვნია იმ ადამიანების გამო ვისიც ერთ დროს მჯეროდა და ვენდობოდი	.050	.940	.012	.236	.951	.150
ვგრძნობ იმედგაცრუებას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ერთ დროს ვენდობოდი	-.030	.961	.019	.162	.958	.142

ექსტრაქციის მეთოდი: პრინციპული კომპონენტის ანალიზი
 როტაციის მეთოდი : ობლიმინი კაიზერის ნორმალიზაციით

ორიგინალ ვერსიაში გამოყოფილი ორი ფაქტორი წარმოადგენდა (1) საკუთარი ან სხვების მიერ ჩადენილ ქცევას და (2) აღქმულ ღალატს სხვების მხრიდან. გადამუშავებული ვერსია საკუთარი და სხვების მიერ ჩადენილ ქცევას დამოუკიდებელ ფაქტორებად განიხილავს და სამ ფაქტორზე საუბრობს, რაც ახსნითი ფაქტორული ანალიზის შემდეგ გაბნევის ბადემ აჩვენა (screen plot).

სხვების მიერ ჩადენილი ქცევა, რომელიც პიროვნების მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, შინაარსობრივად მსგავსია სხვების მხრიდან ღალატის, რადგან ორივე შემთხვევაში სხვების ქცევაზეა ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად, კვლევის თეორიული ჩარჩოდან გამომდინარე შევამოწმეთ მონაცემების ორ ფაქტორზე განაწილების მაჩვენებლები.

კორელაციურმა ცხრილმა აჩვენა დებულებების .3 ზე ნაკლები კორელაცია, რაც ფაქტორების აღმოჩენის საშუალებას იძლეოდა. ბრუნვის მეთოდად შეირჩა Oblimin with Kaiser Normalization. კაიზერ-მაიერ-ოლკინის (Kaiser-Meyer-Olkin (KMO)) ინდექსი .66 - ია, რაც რეკომენდირებულ მაჩვენებელს (0.6) სცდება. სტატისტიკურად

მნიშვნელოვანია ბარტლეტის ტესტის დონე (Bartlett's test for sphericity) ($\chi^2(28) = 1401.730, p < .01$), რაც ფაქტორული ანალიზის მიზანშეწონილობას ადასტურებს.

ცხრილი 11. მორალური ტრავმის სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) (1. მორალური ტრავმა - დამკვირვებლის პერსპექტივა, 2. მორალური ტრავმა - აქტორი, ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად)

	Pattern Matrix		Structure Matrix	
	1	2	1	2
ცხოვრებაში შემსწრე ვყოფილვარ ისეთი რაღაცეების რაც მორალურად გაუმართლებელია.	.219	.364	.332	.432
შევუწუხებივარ სხვისი ამორალური ქცევის დანახვას.	.167	.388	.287	.439
მოვქცეულვარ ჩემი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგოდ.	.691	-.109	.657	.105
მაწუხებს ის, რომ მოვქცეულვარ ჩემი მორალური პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგოდ.	.817	.085	.843	.338
მე ვთვლი რომ უარგყავი ჩემი მორალური პრინციპები, რადგან არ გავაკეთე ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდი	.822	.030	.831	.284
განვიცდი იმას, რომ წავედი ჩემი მორალური პრინციპების საწინააღმდეგოდ და არ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა.	.829	.041	.842	.298
თავი მოტყუებულად მიგრძვნი იმ ადამიანების გამო ვისიც ერთ დროს მჯეროდა და ვენდობოდი	-.086	.927	.201	.900
ვგრძნობ იმედგაცრუებას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ერთ დროს ვენდობოდი	-.167	.951	.128	.899

ექსტრაქციის მეთოდი: პრინციპული კომპონენტის ანალიზი
 როტაციის მეთოდი : ობლიმინი კაიზერის ნორმალიზაციით

ახსნითი ფაქტორული ანალიზის ჩატარების შედეგად, გაზნევის ბადემ აჩვენა, რომ მონაცემების ორ ფაქტორზე განახილება მისი ვარიაბელობის 58% ხსნის, რაც მონაცემების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და სამუალებას იძლევა ინსტრუმენტი ორი ფაქტორის საზომად გამოვიყენოთ.

შერჩევითვის სანდოობის მაჩვენებელი ცალკეული სკალებისა და საერთო მაჩვენებლისთვის შემდეგია:

ცხრილი 12. სკალების სანდოობის მაჩვენებელი

	Cronbach's a	M	SD	N of items
მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია	0.69	19.25	6.19	5
მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია	0.65	30.26	4.65	5
მორალური ტრავმა-შემსწრე	0.68	21.66	5.38	4
მორალური ტრავმა-მოქმედი	0.82	17.16	7.00	4
მორალური ტრავმა-ჯამი	0.77	38.92	9.98	8
მორალური გამოთიშვა	0.85	71.79	20.70	28
ბაზისური რწმენების რყევა	0.87	25.26	10.76	9
ნდობა	0.79	17.21	4.15	6
დეპრესია	0.93	12.95	11.19	14
შფოთვა	0.91	10.66	9.64	14
სტრესი	0.92	18.36	11.31	14
სხვებთან ურთიერთობა	0.78	18.11	9.07	7
ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა	0.8	14.19	6.66	5
პიროვნული სიძლიერე	0.66	12.13	6.05	4
სპირიტუალური ცვლილებები	0.66	5.21	2.97	2
ცხოვრების დაფასება	0.65	9.52	4.31	3
პოსტ-ტრავმული ზრდა	0.92	59.43	26.17	21

კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა ჯამში 450-ს შეადგენს. შერჩევაში სქესის და ასაკის გადანაწილება მოცემულია ცხრილში 13.

ცხრილი 13. აღწერითი სტატისტიკა: სქესის და ასაკის მიხედვით

	პროცენტი
სქესი	
კაცი	27%
ქალი	73%
ასაკი	
18-25	84%
26-35	7%
36-45	3%
46-55	3%
56-	3%
N	450

5.2.1. სქესთა შორის განსხვავებები

სქესთან შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები მოცემულია ცხრილში 14.

როგორც აღმოჩნდა, ქალების მაჩვენებელი კვლევაში გამოყოფილი ცვლადების მიხედვით აღემატება კაცების მაჩვენებელს.

მორალური იდენტობის კომპონენტებიდან, ქალები ($M=19.57$, $SD=6.04$) აჩვენებენ მორალური იდენტობის სიმბოლიზაციის უფრო მაღალ მაჩვენებელს ($t_{(450)}=-2.94$, $p<.004$) ვიდრე კაცები ($M=17.55$, $SD=5.99$).

ცხრილი 14. სქესთა შორის განსხვავებები

ცვლადები	კაცი		ქალი		t	p
	M	SD	M	SD		
რელიგიურობა	4.00	1.77	4.54	1.46	-3.03	.003
მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია	17.55	5.99	19.57	6.04	-2.94	.004
მორალური გამოთიშვა	79.28	21.40	69.01	19.51	4.12	.000
მორალური ტრავმა - შემსწრე	20.69	5.78	22.26	4.96	-2.56	.011
მორალური ტრავმა - მოქმედი	17.21	3.80	18.89	4.12	-3.64	.000
ბაზისური რწმენების რყევა	21.55	9.82	26.34	10.83	-3.34	.001
დეპრესია	10.83	9.50	13.50	11.60	-1.99	.049
შფოთვა	8.10	8.37	11.34	9.88	-2.85	.005
სტრესი	14.38	10.64	19.37	11.28	-3.40	.001
პტზ-სხვებთან ურთიერთობა	2.15	1.17	2.68	1.33	-3.17	.002
პტზ-ახალი შესაძლებლობები	2.56	1.37	2.94	1.32	-2.17	.031
პტზ-პიროვნული სიძლიერე	2.58	1.39	3.16	1.57	-2.88	.004
პტზ-სპირიტუალობა	2.19	1.49	2.67	1.49	-2.43	.016
პოსტ-ტრავმული ზრდა	2.44	1.27	2.94	1.24	-2.95	.003

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა მორალური გამოთიშვის მიხედვითად ($t_{(450)}=4.12, p=.000$), სადაც ქალების მაჩვენებელი ($M=69.01, SD=6.04$) ნაკლებია კაცების მაჩვენებელზე ($M=79.28, SD=21.40$).

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქალების მაჩვენებელი მორალური ტრავმის ორივე კომპონენტზე კაცებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია (მორალური ტრავმა - შემსწრე - ქალები ($M=22.26, SD=4.96$), კაცები ($M=20.69, SD=5.78$), მორალური ტრავმა-მოქმედი - ქალები ($M=18.89, SD=17.21$), კაცები ($M=17.21, SD=3.80$).

ნეგატიურ შედეგებზე, ისეთებზე, როგორცაა დეპრესია შფოთვა, სტრესი, ქალების მაჩვენებელი აგრეთვე აღემატება კაცების მაჩვენებელს და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ქალების მაჩვენებელი აგრეთვე აღემატება კაცების მაჩვენებელს პოსტ-ტრავმული ზრდის მიხედვითაც, როგორც მის ცალკეულ სკალებზე, აგრეთვე მთლიანი ქულის მიხედვით ($M=2.94, SD=1.24; M=2.44, SD=1.27$)

5.2.2. კვლევის ცვლადების კავშირი რელიგიურობასთან

გამომდინარე იქიდან, რომ მორალურ განზომილებებს შინაარსობრივი კავშირი აქვთ რელიგიურობასთან, შევამოწმეთ მისი კავშირი კვლევაში არსებულ ცვლადებთან და როგორც აღოჩნდა, რელიგიურობა დადებითად უკავშირდება მორალური იდენტობის ორივე კომპონენტს ($r=172, p<0.01$ მორალური იდენტობის ცენტრალიზაციას, $r=268, p<0,01$ მორალური იდენტობის სიმბოლიზაციას).

აგრეთვე, ის ადამიანები, რომელებიც უფრო რელიგიურად აღიქვამენ თავს, აჩვენებენ მაღალ ქულას მორალურ ტრავმასა და ბაზისური რწმენების რყევაზეც. (მორალურ ტრავმასთან, $r=.274, p<0.01$, ბაზისური რწმენების რყევასთან $r=.242, p<0.01$).

რელიგიურობასა და ნეგატიურ შედეგებთან კავშირი მოცემული შერჩევის ფარგლებში არ გამოვლენილა, თუმცა შედეგებიდან ჩანს, რომ არსებობს რელიგიურობასა და პოსტ-ტრავმული ზრდის დადებითი ურთიერთკავშირი, როგორც მის ცალკეულ ფაქტორებთან, აგრეთვე მის საერთო ქულასთან.

ცხრილი 15. კორელაციური ცხრილი რელიგიურობისთვის

	რელიგიურობა
მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია	.172**
მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია	.268**
მორალური ტრავმა - ქმედება	.274**
ბაზისური რწმენების რყევა	.242**
პასუხისმგებლობის დიფუზია	-.132**
ნდობა	.200**
პტზ-სხვებთან ურთიერთობა	.392**
პტზ-ახალი შესაძლებლობები	.311**
პტზ-პიროვნული სიძლიერე	.206**
პტზ-სპირიტუალობა	.370**
პტზ-მოვლენის შეფასება	.176**
პოსტ-ტრავმული ზრდა	.333**

*p<0.05; **p<0.01

5.3. დასკვნითი სტატისტიკა

ნაშრომის რაოდენობრივ ნაწილში მონაცემები გაანალიზებულია სამი ძირითადი თავის მიხედვით:

1. პირველ ნაწილში განხილულია მორალური განზომილებების და ნეგატიური შედეგების - შფოთვა, სტრესი, დეპრესიის სახით - კავშირები;
2. მეორე ნაწილში ნაჩვენებია მორალური განზომილებების და დადებითი შედეგების - პოსტტრავმული ზრდის სახით - კავშირები.
3. შექმნილია დინამიური მოდელი, რომელიც აერთიანებს პირველ ორ ნაწილს და ერთიანობაში ქმნის მოდელს, რომელიც ხსნის მორალურ ტრავმასთან დაკავშირებულ პროცესებს.

5.3.1. დეპრესია, შფოთვა, სტრესი: მორალური განზომილებები და ნეგატიური შედეგები

ცხრილში 16. ნაჩვენებია, რომ მორალური იდენტობის სხვადასხვა კომპონენტები მნიშვნელოვან კავშირშია სხვადასხვა ნეგატიურ შედეგებთან.

ცხრილი 16. მორალური განზომილებების და უარყოფითი შედეგების კორელაციური მატრიცა

	1	2	3	4	5	6	7	8	9
1. ინტერნალიზაცია	-								
2. სიმბოლიზაცია	.187**	-							
3. მორალური ტრავმა - შემსწრე	.326**	.131**	-						
4. მორალური ტრავმა - ქმედება	.337**	.822**	.201**	-					
5. მორალური ტრავმა	.670**	.809**	.266**	.852**	-				
6. ბაზისური რწმენების რყევა	.224**	.225**	.373**	.292**	.279**	-			
7. ნდობა	.075	.112*	-.053	.089	.106*	.014	-		
8. დეპრესია	-.034	.076	.138**	.050	.051	.223**	-.096	-	
9. შფოთვა	-.032	.117*	.063	.104*	.081	.275**	-.020	.790**	-
10. სტრესი	.121*	.069	.194**	.079	.121*	.310**	-.116*	.767**	.793**

* $p < 0.05$; ** $p < 0.01$

მორალური ინტერნალიზაცია დადებით კავშირშია სტრესთან $r = .121$, $p < 0.05$, მაშინ როდესაც მორალური იდენტობის სიმბოლიზაციას მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი აქვს შფოთვისთან $r = .117$, $p < 0.05$.

რაც შეეხება, მორალურ ტრავმას, მისი ორივე ფაქტორი უკავშირდება ნეგატიურ შედეგებს, ტრავმა, რომელიც მოვლენის შესწრებასთანაა დაკავშირებული მნიშვნელოვან დადებით კავშირშია დეპრესიასთან $r = .138$, $p < 0.01$ და სტრესთან $r = .194$, $p < 0.01$, ხოლო მოქმედებასთან დაკავშირებული ტრავმა შფოთვისთან $r = .104$, $p < 0.05$.

მორალური იდენტობის, ისევე როგორც მორალური ტრავმის კომპონენტები დადებით კავშირშია ბაზისური რწმენების რღვევასთან, (მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია $r = .224$, $p < 0.01$, მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია $r = .225$, $p < 0.01$, მორალური ტრავმა-მოწმე $r = .373$, მორალური ტრავმა-მოქმედი $r = .292$, $p < 0.01$)

შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ბაზისური რწმენების რყევა დადებითად უკავშირდება სამივე უარყოფით კომპონენტს, დეპრესიას $r = .223$, $p < 0.01$, შფოთვისას $r = .275$, $p < 0.01$ და სტრესს $r = .310$, $p < .01$.

რაც უფრო მაღალია ნდობა ადამიანების მიმართ, მით ნაკლები მაჩვენებელია სტრესზე $r = -.116$, $p < 0.05$

5.3.1.1. მორალური ტრავმის როლი მორალური იდენტობის ინტერნალიზაციის ნეგატიურ შედეგებთან კავშირისას

მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია, როგორც მორალური ტრავმის საფუძველი კორელაციური ანალიზიდან გამომდინარე გამოვყავით ცვლადები, რომლის მიხედვითაც ავაგეთ რეგრესული მოდელი. კერძოდ, კორელაციურ მატრიცაში ნაჩვენებია, რომ ბაზისური რწმენების რყევას, კვლევაში გამოყოფილ სამივე ნეგატიურ შედეგთან აქვს კავშირი, ისევე როგორც მორალურ იდენტობასა და მორალურ ტრავმასთან, თუმცა მორალური იდენტობის ინტერნალიზაციას და მორალურ ტრავმას, რომელიც მოვლენის შესწრებასთან არის დაკავშირებული, საერთო კორელატი მხოლოდ სტრესი აქვს. შესაბამისად მოდელში შევიყვანეთ აღნიშნული ცვლადები ლოგიკური თანმიმდევრობით.

ცხრილი 17. მორალური კომპონენტების იერარქიული რეგრესია სტრესზე

	B	SE	β	R	R ²	ΔR	sig ΔR
პირველი საფეხური				.158	.025	.021	.008
ინტერნალიზაცია	.398	.148	.158**				
მეორე საფეხური				.229	.052	.046	.005
ინტერნალიზაცია	.273	.153	.108				
მორალური ტრავმა-შემსწრე	.376	.132	.173**				
მესამე საფეხური				.323	.104	.095	.000
ინტერნალიზაცია	.215	.149	.085				
მორალური ტრავმა-შემსწრე	.187	.137	.086				
ბაზისური რწმენების რყევა	.261	.065	.247***				

*p<0.05; **p<0.01

აღმოჩნდა, რომ პირველ საფეხურზე, მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია სტრესის ქულების 3% ვარიაბელობას ხნის ($R^2 = .025$, $F(1, 285) = 7.22$, $p \leq 0.01$), ხოლო მეორე საფეხურზე, მას შემდეგ რაც მოდელში მორალური ტრავმის ცვლადი შევიყვანეთ, მოდელი შედეგის დამატებით 3% ვარიაბელობას ხსნის ($R^2 = .52$, $F(2, 285) =$


7.77, $p \leq 0.001$) და ეს ცვლილება სტატისტიკურად სანდოა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორალური იდენტობის ინტერნალიზაციამ, ცალკეულად, დაკარგა პრედიქციის ღირებულება.

შემდეგ საფეხურზე, ბაზისური რწმენების რყევის დამატებამ, მოდელს დამატებით კიდევ 5% ვარიაბელობის ახსნა შესძინა ($R^2 = .104$, $F(3, 285) = 10.88$, $p \leq 0.001$), და ამასთან, აჩვენა, რომ მოდელში არსებული ცვლადებიდან, მხოლოდ ბაზისური რწმენების რყევა არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სტრესის პრედიქტიისას.

მორალური ტრავმის მედიაციური ძალა მორალურ იდენტობასა და სტრესს შორის კავშირისას

მედიაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია დადებითად უკავშირდება სტრესს ($B = .30$, $p < 0.05$), ეს კავშირი სრულად გაშუალებულია ტრავმის მიერ, რომელიც მოვლენის შესწრებასთან არის დაკავშირებული (პირდაპირი ეფექტი $B = .19$, $p = .17$) (მოდელი #1).

მოდელი 1. მორალური ტრავმა, როგორც მორალური იდენტობის და სტრესის მედიატორი



Total effect = .30, $p < 0.05$


Direct effect = .19 $p = .17$

1. $F(1, 342) = 29.65$, $R^2 = .07$, $p < 0.01$
2. $F(1, 342) = 7.28$, $R^2 = .04$, $p < 0.01$
3. $F(1, 342) = 5.24$, $R^2 = .01$, $p < 0.05$

მას შემდეგ, რაც მოდელში ვაკონტროლეთ ბაზისური რწმენების რყევა, მოცემული მოდელი აღარ არის სტატისტიკურად სანდო, მიუხედავად იმისა, რომ

ინტერნალიზაციასა და მორალურ ტრავმას შორის კავშირი ისევ სტატისტიკურად სანდო რჩება, ბაზისური რწმენების კონტროლის ფონზე, სტრესთან მათი კავშირი არ გამოვლინდა.

მოდელი 2. მორალური ტრავმა, როგორც მორალური იდენტობის და სტრესის მედიატორი ბაზისური რწმენების კონტროლის ფონზე



5.3.1.2. მორალური ტრავმის როლი მორალური იდენტობის სიმბოლიზაციის ნეგატიურ შედეგებთან კავშირისას

მსგავსი პრინციპით, კორელაციური ცხრილის მიხედვით, იერარქიულ რეგრესულ მოდელში შევიყვანეთ შფოთვისასთან დაკავშირებული საერთო დამოუკიდებელი ცვლადები, მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია და მორალური ტრავმა, რომელიც ქმედებასთან არის დაკავშირებული.

აღმოჩნდა, რომ პირველ საფეხურზე, მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია შფოთვის მაჩვენებლის მხოლოდ 1% ვარიაბელობას ხსნის ($R^2 = .025$, $F(1, 295) = 3.81$, $p \leq 0.05$), ხოლო მეორე საფეხურზე, მას შემდეგ რაც მოდელში მორალური ტრავმის, როგორც მოქმედის ცვლადი შევიყვანეთ, მოდელმა დაკარგა პრედიქციის ღირებულება ($R^2 = .52$, $F(2, 295) = 1.90$, $p = .894$) და დამოუკიდებლად არცერთი ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი არ აღმოჩნდა. მესამე საფეხურზე, მას

შემდეგ, რაც ბაზისური რწმენების რყევა შევიტანეთ, მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გახდა და შფოთვის საერთო ქულების 8% ვარიაბელობას ხსნის ($R^2 = .025$, $F(3, 295) = 8.57$, $p \leq 0.001$)

ცხრილი 18. მორალური კომპონენტების იერარქიული რეგრესია შფოთვაზე

	B	SE	β	R	R ²	ΔR	sig ΔR
პირველი საფეხური				.114	.013	.013	.05
სიმბოლიზაცია	.188	.097	.114*				
მეორე საფეხური				.114	.013	.000	.8
სიმბოლიზაცია	.169	.173	.103				
მორალური ტრავმა-მოქმედი	.035	.260	.014				
მესამე საფეხური				.287	.082	.069	.000
სიმბოლიზაცია	.172	.167	.104				
მორალური ტრავმა-მოქმედი	-.144	.254	-.058				
ბაზისური რწმენების რყევა	.244	.052	.272***				

* $p < 0.05$; ** $p < 0.01$

მრავალმხრივი იერარქიული რეგრესიისას აღმოჩნდა, რომ ბაზისური რწმენების რყევა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დასახელებული ცვლადებიდან ერთადერთი პრედიქტორია შფოთვის წინასწარმეტყველებისას. მედიაციური მოდელი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიუხედავად იმისა, რომ მოდელში წარმოდგენილი ცალკეული ცვლადები მნიშვნელოვანი პრედიქტორია შფოთვისთვის.

კორელაციურ ცხრილში აგრეთვე, ნაჩვენებია, რომ მორალური ტრავმა, რომელიც მოვლენის შესწრებასთან არის დაკავშირებული კავშირშია დეპრესიასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს არ აქვს კავშირი მორალური იდენტობის არცერთ კომპონენტთან. შესაბამისად ავაგეთ მოდელი, რომლის პირველ საფეხურზე შევიყვანეთ მხოლოდ მორალური ტრავმა ($R^2 = .031$, $F(1, 293) = 9.28$, $p \leq 0.01$) და ეს მოდელი სანდოდ წინასწარმეტყველებდა შედეგს, თუმცა მას შემდეგ რაც მოდელში

დავამატეთ ბაზისური რწმენების რყევა, მორალურმა ტრავმამ დაკარგა ცალკეული პრედიქტორული ძალა, თუმცა მოდელი დარჩა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დეპრესიის წინასწარმეტყველებისას ($R^2 = .025$, $F(2, 292) = 8.89$, $p \leq 0.01$)


ცხრილი 19. მორალური კომპონენტების რეგრესია დეპრესიაზე

	B	SE	β	R	R ²	ΔR	sig ΔR
პირველი საფეხური				.175	.031	.027	.003
მორალური ტრავმა-შემსწრე	.376	.123	.175**				
მეორე საფეხური				.240	.057	.051	.004
მორალური ტრავმა-შემსწრე	.227	.132	.106				
ბაზისური რწმენების რყევა	.182	.063	.177**				

* $p < 0.05$; ** $p < 0.01$

რეგრესული ანალიზიდან გამომდინარე აიგო მედიაციური მოდელი, რომლის მიხედვითაც ბაზისური რწმენების რყევა მორალურ ტრავმასა და დეპრესიას შორის კავშირის სრული მედიატორი აღმოჩნდა.

მოდელი 3. ბაზისური რწმენების რყევა, როგორც მორალური ტრავმის და დეპრესიის მედიატორი



Total effect = .38, $p < 0.01$

Direct effect = .23, $p = .08$

1. $F(1, 293) = 52.62$, $R^2 = .15$, $p < 0.001$
2. $F(2, 292) = 8.88$, $R^2 = .06$, $p < 0.01$
3. $F(1, 293) = 5.24$, $R^2 = .03$, $p < 0.01$

5.3.2. პოსტტრავმული ზრდა: მორალური განზომილებები და დადებითი შედეგები

სტატისტიკური ანალიზის მეორე ნაწილში შემოწმდა მორალური იდენტობის, მორალური ტრავმისა და ბაზისური რწმენების დადებით შედეგებთან კავშირი.

ცხრილში 20. წარმოდგენილია ცვლადების პოსტ-ტრავმული ზრდის საერთო ქულასა და ნდობასთან კავშირები.

მორალური იდენტობა, ისევე როგორც მორალური ტრავმა კავშირშია პოსტ-ტრავმულ ზრდასთან. კერძოდ, მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია, ისევე როგორც მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია მნიშვნელოვან დადებით კავშირშია პოსტ-ტრავმულ ზრდასთან ($r=.167, p<0.01$; $r=.225, p<0.01$, შესაბამისად).

ცხრილი 20. მორალური განზომილებების და პოსტ ტრავმული ზრდის კორელაციური მატრიცა

	1	2	3	4	5	6	7
1. ინტერნალიზაცია	-						
2. სიმბოლიზაცია	.187**	-					
3. მორალური ტრავმა - შემსწრე	.326**	.131**	-				
4. მორალური ტრავმა - ქმედება	.337**	.822**	.201**	-			
5. მორალური ტრავმა	.670**	.809**	.266**	.852**	-		
6. ბაზისური რწმენების რყევა	.224**	.225**	.373**	.292**	.279**	-	
7. ნდობა	.075	.112*	-.053	.089	.106*	.014	-
8. პოსტ-ტრავმული ზრდა	.167**	.225**	.055	.216**	.218**	.422**	.184**

* $p<0.05$; ** $p<0.01$

მორალური ტრავმის კომპონენტებიდან, მხოლოდ ქმედებასთან დაკავშირებული ტრავმა აჩვენებს დადებით მნიშვნელოვან კავშირს პოსტ-ტრავმულ ზრდასთან $r=.216, p<0.01$. ზრდას უკავშირდება აგრეთვე ბაზისური რწმენების რღვევაც $r=.422, p<0.01$.

5.3.2.1. მორალური იდენტობის ინტერნალიზაციიდან პოსტ-ტრავმულ ზრდამდე

ბაზისური რწმენების რყევა, როგორც მაკავშირებელი მორალურ იდენტობასა და პოსტ-ტრავმული ზრდისა

გამომდინარე იქიდან, რომ მორალური იდენტობის ორივე კომპონენტს კავშირი აქვს პოსტ-ტრავმული ზრდის საერთო ქულასთან, ისევე როგორც ბაზისური რწმენების

რყევასთან, გაკეთდა მრავალმხრივი იერარქიული რეგრესია თითოეულ მათგანზე დამოუკიდებლად.

პირველ მოდელში, პრედიქტორ ცვლადად შევიყვანეთ მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია, რომელიც სანდოდ წინასწარმეტყველებს პოსტ-ტრავმულ ზრდას ($R^2 = .035$, $F(1, 275) = 10.08$, $p \leq 0.01$), თუმცა მეორე საფეხურზე, მორალური ტრავმის დამატების შემდეგ, მორალური ინტერნალიზაციის პრედიქციის უნარი დაიკარგა და მხოლოდ მორალური ტრავმა დარჩა სანდო პრედიქტორად ($R^2 = .083$, $F(2, 274) = 12.37$, $p \leq 0.01$). ($R^2 = .221$, $F(3, 273) = 25.87$, $p \leq 0.01$). მესამე საფეხურზე, მოდელში ბაზისური რწმენების რყევის შეტანის შემდეგ მოდელის პრედიქციის ღირებულება 22% მდე გაიზარდა, თუმცა რაც შეეხება ცალკეული ცვლადების ღირებულებას, მოდელის მიხედვით მორალურ ტრავმას, ისევე როგორც ბაზისური ღირებულებების რყევას პრედიქციის უნარი აქვთ პოსტ-ტრავმული ზრდის საერთო ქულის წინასწარმეტყველებისას. (ცხრილი 21)

ცხრილი 21. მორალური კომპონენტების რეგრესია პოსტ-ტრავმულ ზრდაზე


	B	SE	β	R	R ²	ΔR	sig ΔR
პირველი საფეხური				.188	.035	.032	.002
ინტერნალიზაცია	.053	.017	.188**				
მეორე საფეხური				.288	.083	.047	.000
ინტერნალიზაცია	.026	.018	.094				
მორალური ტრავმა-მოქმედი	.075	.020	.237***				
მესამე საფეხური				.470	.221	.139	.000
ინტერნალიზაცია	.013	.016	.048				
მორალური ტრავმა-მოქმედი	.046	.019	.145*				
ბაზისური რწმენების რყევა	.045	.006	.391**				

* $p < 0.05$; ** $p < 0.01$

მორალური ტრავმა, როგორც მედიატორი მორალური იდენტობის ინტერნალიზაციასა და პოსტ-ტრავმულ ზრდას შორის.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ავაგეთ მედიაციური მოდელი, სადაც ჩანს, რომ მორალური იდენტობის ინტერნალიზაციასა და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი სრულად გაშუალებულია მორალური ტრავმის მიერ, რაც ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მორალურ იდენტობასა და პოსტ-ტრავმულ ზრდას შორის არსებობს დადებითი კავშირი, ეს კავშირი განპირობებულია მორალურ ტრავმასთან მათი ინდივიდუალური კავშირებით.

მოდელი 4. მორალური ტრავმა, როგორც მორალური იდენტობის და პოსტ-ტრავმული ზრდის მედიატორი



Total effect = .38, $p < 0.01$


Direct effect = .23, $p = .08$

1. $F(1, 329) = 44.81, R^2 = .12, p < 0.001$
2. $F(2, 328) = 9.43, R^2 = .05, p < 0.001$
3. $F(1, 329) = 7.55, R^2 = .02, p < 0.01$

იმისათვის, რომ გვეჩვენა აქვს თუ არა მორალურ ტრავმას დამოუკიდებელი პრედიქტორული ღირებულება პოსტ-ტრავმული ზრდის წინასწარმეტყველებისას, მედიაციურ მოდელში ვაკონტროლეთ ბაზისური რწმენების რყევა. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ბაზისური რწმენების რყევა მორალური ტრავმისა და პოსტ-ტრავმული ზრდის ნაწილობრივი მედიატორია, რაც ნიშნავს იმას, რომ მორალურ ტრავმას ბაზისური რწმენების კონტროლის ფონზე აქვს დამოუკიდებელი

პრედიქტორული ღირებულება პოსტ-ტრავმული ზრდის წინასწარმეტყველებისას.
(მედიაციური მოდელი 5)

მოდელი 5. მორალური ტრავმა, როგორც მორალური იდენტობის და პოსტ-ტრავმული ზრდის მედიატორი, ბაზისური რწმენების რყევის კონტროლის ფონზე



Total effect = .38, $p < 0.01$

Direct effect = .23, $p = .08$

1. $F(2, 274) = 34.12, R^2 = .20, p < 0.001$
2. $F(3, 273) = 25.86, R^2 = .22, p < 0.001$
3. $F(2, 274) = 35.22, R^2 = .20, p < 0.001$

5.3.2.2. მორალური იდენტობის სიმბოლიზაციიდან პოსტ-ტრავმულ ზრდამდე

იერარქიული რეგრესიის მეორე მოდელში, პირველ საფეხურზე პრედიქტორ ცვლადად შევიყვანეთ მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია, რომელიც პოსტ-ტრავმული ზრდის ქულების 6% ვარიაბელობას ხნის ($R^2 = .061, F(1, 280) = 18.27, p \leq 0.001$), თუმცა მეორე საფეხურზე მორალური ტრავმის შეყვანის შემდეგ მორალურმა იდენტობამ დაკარგა ცალკეული პრედიქტორული ღირებულება ($R^2 = .074, F(2, 279) = 11.15, p \leq 0.001$).


ცხრილი 22. მორალური კომპონენტების იერარქიული რეგრესია პოსტ-ტრავმულ ზრდაზე

	B	SE	β	R	R ²	ΔR	sig ΔR
პირველი საფეხური				.247	.061	.058	.000
სიმბოლიზაცია	.052	.012	.247***				
მეორე საფეხური				.272	.074	.067	.051
სიმბოლიზაცია	.017	.022	.081				
მორალური ტრავმა-მოქმედი	.064	.033	.201*				
მესამე საფეხური				.448	.201	.192	.000
სიმბოლიზაცია	.024	.020	.114				
მორალური ტრავმა-მოქმედი	.022	.031	.069				
ბაზისური რწმენების რყევა	.043	.006	.372***				

*p<0.05; **p<0.01

მიუხედავად ამისა, მესამე საფეხურზე ბაზისური რწმენების მოდელში შეყვანის შემდეგ მორალურმა ტრავმამ დაკარგა ცალკეული პრედიქტორული ღირებულება და მხოლოდ ბაზისური რწმენების რყევა აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი მოდელში ($R^2 = .201$, $F(3, 278) = 23.32$, $p \leq 0.001$).

მოდელი 6. ბაზისური რწმენების რყევა, როგორც მორალურ ტრავმასა და პოსტ-ტრავმულ ზრდის კავშირის მედიატორი.



Total effect = .09, p<0.05

Direct effect= .05, p<0.01

1. $F(1, 280) = 24.85$, $R^2 = .08$, $p < 0.001$
2. $F(2, 279) = 34.23$, $R^2 = .20$, $p < 0.001$
3. $F(1, 280) = 21.70$, $R^2 = .07$, $p < 0.001$

მედიაციური მოდელში მორალური იდენტობის სიმბოლიზაციას არ შეჰქონდა წვლილი მოდელის სტატისტიკურ მნიშვნელობაში, შესაბამისად, ავაგეთ მოდელი, რომელიც ეხმიანება ინტერნალიზაციასთან დაკავშირებულ მედიაციურ მოდელს და დამოუკიდებლად აჩვენებს ბაზისური რწმენების რყევის მნიშვნელობას პოსტ-ტრავმული ზრდის მაჩვენებლის პრედიქციისას. მიუხედავად იმისა, რომ ბაზისური რწმენების რყევა მედიატორის ფუნქციას ასრულებს ტრავმულ გამოცდილებასა და პოსტ-ტრავმულ ზრდას შორის, მორალური ტრავმას, რომელიც ქმედებასთან არის დაკავშირებული აქვს პიროვნული ზრდის პრედიქციის უნარი დამოუკიდებლად.

ერთი მხრივ მორალური იდენტობის და მორალური ტრავმის კავშირი უარყოფით შედეგებთან, ხოლო მეორე მხრივ პოსტ-ტრავმულ ზრდასთან. თუმცა, როგორც კორელაციური ცხრილიდან ვხედავთ, კვლევის ფარგლებში გამოყოფილი ნეგატიური ცვლადები კავშირშია პოსტ-ტრავმულ ზრდასთან.

5.3.3. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი: მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია

მონაცემთა დამუშავების პირველ ეტაპზე ვნახეთ, რომ მორალური იდენტობის სხვადასხვა კომპონენტები მორალური ტრავმის პრედიქტორია, რაც ბაზისური რწმენების რყევაზე აისახება და საბოლოო ჯამში ნეგატიურ შედეგებზე გადის.

მეორე ეტაპზე, ასევე ნაჩვენებია მსგავსი პროცესი, რომელიც შედეგად პოსტ-ტრავმულ ზრდაზე სრულდება.

ამასთან ერთად, კორელაციურ ცხრილში ნაჩვენებია, რომ ნეგატიური შედეგებიდან, მხოლოდ შფოთვა უკავშირდება პოსტ-ტრავმულ ზრდას.


ეს ნიშნავს იმას, რომ შფოთვა პირდაპირ არ გადის პოსტ-ტრავმულ ზრდაზე, და ბაზისური რწმენების რყევა არის სრულად გამაშუალებელი გზა შფოთვიდან პოსტ-ტრავმულ ზრდამდე.

ორივე ანალიზის საფუძველზე ავაგეთ მოდელები, რომლებიც სრულყოფილად აჩვენებს ცვლადებს შორის ურთიერთმიმართებას.

პირველი მოდელი (მოდელი 7) აჩვენებს გზას მორალური იდენტობის სიმბოლიზაციიდან ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოდელში მოცემული თითოეული ცვლადი ერთმანეთთან დაკავშირებულია, ისევე როგორც მედიაციისას, რიგმა კავშირებმა დაკარგა სტატისტიკური სანდოობა.

მოდელი 7. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი - მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია



			β	S.E.	P
მორალური ტრავმა -ქმედება	<---	სიმბოლიზაცია	.545	.018	***
მორალური ტრავმა - შესწრება	<---	სიმბოლიზაცია	.109	.040	.006
ბაზისური რწმენების რყევა	<---	ტრავმა - შესწრება	.638	.078	***
ბაზისური რწმენების რყევა	<---	მორალური ტრავმა -ქმედება	.460	.100	***
პტზ	<---	ბაზისური რწმენების რყევა	.049	.005	***
პტზ	<---	სიმბოლიზაცია	.025	.008	.001
შფოთვა	<---	ბაზისური რწმენების რყევა	.257	.042	***

Model fit:

ჰიპოთეტურმა მოდელმა არსებულ მონაცემების საფუძველზე კარგი მორგება აჩვენა : $X^2(7) = 8.035$, $CMIN/DF = 1.14$; $p=329$, $RMSEA = .018$, $CFI = .999$, $GFI = .994$, $AGFI = .982$, $PCLOSE = .331$.

როგორ მოდელიდან ვხედავთ, მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია წინასწარმეტყველებს მორალური ტრავმის ორივე კომპონენტს, როგორც ქმედებასთან დაკავშირებულს, აგრეთვე მოვლენის შესწრებასთან დაკავშირებულს და ეს ორივე აისახება ბაზისური რწმენების რყევაზე, თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლიზაციასა და ბაზისური რწმენების რყევას შორის კავშირი გაშუალებულია მორალური ტრავმით და არ არსებობს მათ შორის პირდაპირი კავშირი.

მხოლოდ ბაზისური რწმენების რყევის მედიაციით უკავშირდება მორალური ტრავმა პოსტ-ტრავმულ ზრდას, ისევე როგორც შფოთვას, ხოლო შფოთვა თავის მხრივ, მხოლოდ ბაზისური რწმენების რყევის გავლით უკავსირდება პოსტ-ტრავმულ ზრდას. ეს ნიშნავს, იმას, რომ ბაზისური რწმენების რყევის გარეშე მორალურ ტრავმასა და შფოთვას შორის კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო, ისევე როგორც შფოთვასა და პოსტ-ტრავმულ ზრდას შორის.

5.3.4. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი: მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია


მსგავსად აიგო, მეორე მოდელი, რომელშიც დამოუკიდებელ ცვლადად შევიყვანეთ მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია და მორალური ტრავმისა და ბაზისური რწმენების რყევის გავლით ნაჩვენებია გზა ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებამდე.

როგორც მოდელიდან (#8) ჩანს, მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია წინასწარმეტყველებს მორალური ტრავმის ორივე კომპონენტს, რომელიც თავის მხრივ აისახება ბაზისური რწმენების რყევაზე და ინტერნალიზაციასა და ბაზისური რწმენების რყევას შორის კავშირის სტატისტიკურად მნიშვნელოვნება იკარგება.

ამ შემთხვევაშიც მორალური ტრავმა ბაზისური რწმენების რყევის გავლით მიდის პოსტ-ტრავმულ ზრდამდე. საინტერესოა, რომ მორალური ტრავმა რომელიც მოვლენათა შესწრებით არის გამოწვეული აგრეთვე უკავშირდება სტრესს, თუმცა რწმენების რყევის გარეშე მათ შორის პირდაპირი კავშირი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. რაც შეეხება მორალურ ტრავმას, რომელიც ქმედებასთან არის

დაკავშირებული, ბაზისური რწმენების რყევა ნაწილობრივი მედიატორია მისი პოსტ-ტრავმულ ზრასთან კავშირში, თუმცა მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირიც.

მოდელი 8. სტრუქტურული გათანაბრების მოდელი - მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია



			β	S.E.	Sig.
მორალური ტრავმა -შესწრება	<---	ინტერნალიზაცია	.387	.051	***
მორალური ტრავმა-ქმედება	<---	ინტერნალიზაცია	.306	.039	***
ბაზისური რწმენების რყევა	<---	მორალური ტრავმა -შესწრება	.638	.077	***
ბაზისური რწმენების რყევა	<---	მორალური ტრავმა-ქმედება	.460	.099	***
სტრესი	<---	ბაზისური რწმენების რყევა	.361	.048	***
პტზ	<---	ბაზისური რწმენების რყევა	.053	.005	***
პტზ	<---	მორალური ტრავმა-ქმედება	.024	.012	.050
პტზ	<---	ინტერნალიზაცია	.024	.011	.030
პტზ	<---	მორალური ტრავმა -შესწრება	-.028	.010	.004

Model fit:

ჰიპოთეტურმა მოდელმა არსებულ მონაცემების საფუძველზე კარგი მორგება აჩვენა :
 $X^2(6) = 10.727$, $CMIN/DF = 1.78$; $p = .097$, $RMSEA = .042$, $CFI = .987$, $GFI = .992$, $AGFI = .973$,
 $PCLOSE = .284$.

თავი VI - შედეგების განხილვა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მორალურად ტრავმული გამოცდილების და მასთან დაკავშირებული პროცესების შესწავლა. კვლევის მთავარი ჰიპოტეზის მიხედვით, მორალური ტრავმა სხვა ტიპის ტრამულ გამოცდილებების მსგავსად, პოსტ-ტრავმული ზრდის პრედიქტორს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ვვარაუდობდით, რომ მორალური ტრავმა დადებით კავშირში უნდა ყოფილიყო მორალურ იდენტობასთან, კერძოდ პიროვნების მორალური იდენტობის ცენტრალურობასთან.

კვლევის თეორიული მოდელი შემდეგნაირია: მორალური ტრავმა უკავშირდება უარყოფით ემოციურ მდგომარეობებს - შფოთვა, სტრესი, დეპრესია - ცვლის წარმოდგენებს სამყაროს და ადამიანების შესახებ, შესაბამისად უკავშირდება ბაზისური რწმენების რყევას, რაც არსებული სქემების გადამუმავებას და მოდიფიკაციას საჭიროებს და რაც თავის მხრივ, პიროვნულ ზრდაში აისახება.

უშუალოდ მორალური ტრავმის და მასთან დაკავშირებული პროცესების განხილვამდე მნიშვნელოვანია კვლევის იმ შედეგებზე შეჩერება, სადაც სოციო-დემოგრაფიულ ცვალდებთან კავშირში რამდენიმე საინტერესო დინამიკა გამოვლინდა. ქვემოთ მიმოვიხილავთ მორალური კომპონენტების, სქესის და რელიგიურობის მიხედვით განსხვავებებს.

მოცემულ ქვეთავში ეტაპობრივად განვიხილავთ სოციო-დემოგრაფიულ მაჩვენებლებისა და მორალური კომპონენტების კავშირებს. შემდეგ მიმოვიხილავთ მორალური იდენტობის, მორალური ტრავმის და უარყოფითი შედეგების - შფოთვა, სტრესი, დეპრესიის - ურთიერთკავშირს, რასაც მოჰყვება მორალური კომპონენტების და პოსტ-ტრავმული ზრდის ურთიერთმიმართების განხილვა.

ბოლოს, განვიხილავთ თეორიულ მოდელს, რომელიც აერთიანებს წინა ქვეთავებს და აჩვენებს მორალური კომპონენტების, ბაზისური რწმენების რყევის, უარყოფითი შედეგების და პოსტ-ტრავმული ზრდის ურთიერთკავშირს.

6.1. სქესთა შორის განსხვავებები მორალური იდენტობის, მორალური ტრავმის, ბაზისური რწმენების რყევის და პოსტ-ტრავმული ზრდის მიხედვით.

კვლევაში გამოყოფილი ძირითადი ცვლადების მიხედვით - მორალური იდენტობა, მორალური ტრავმა, ბაზისური რწმენების რყევა, პოსტ-ტრავმული ზრდა, შფოთვა, სტრესი, დეპრესია - ქალების და კაცების ჯგუფი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქალები აჩვენებენ რელიგიურობის უფრო მაღალ დონეს კაცებთან შედარებით. მიღებული შედეგები თანხვდება რელიგიურობასთან დაკავშირებულ კვლევებს, სადაც სქესთა შორის განსხვავება ერთ-ერთი ყველაზე კონსისტენტური და კარგად დოკუმენტირებული განსხვავებაა ჯგუფებს შორის (Holman & Podrazik, 2018; Miller & Hoffmann, 1995; Trzebiatowska & Bruce, 2012).

ქალებს აგრეთვე უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ მორალურ იდენტობაზე და კერძოდ მორალური იდენტობის სიმბოლიზაციაზე. ეს შედეგები ავსებს არსებულ გენდერულ განსხვავებას ეთიკური ქცევაში (Kish-Gephart et al., 2010), თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სიმბოლიზაცია მორალური იდენტობის სოციალური მხარეა, სადაც იგულისხმება ის, თუ როგორ ჩანს პიროვნება სხვა ადამიანებთან, შესაბამისად როგორ ქცევას ახორციელებს პიროვნება საკუთარ თავზე ინფორმაციის მისაწოდებლად.

ერთ-ერთი თეორია, რომელიც სქესთა შორის მორალური იდენტობის მიხედვით განსხვავებას ხსნის, ქალების და კაცების მიერ საკუთარი თავის განსხვავებულ სელფ-კონსტრუირებას ეხება (Cross & Madson, 1997). თეორიის მიხედვით ქალები უფრო მეტად აღწერენ საკუთარ თავს, როგორც სხვებთან კავშირში მყოფს და დამოკიდებულს, მაშინ როდესაც კაცები საკუთარ თავს სხვებისგან დამოუკიდებლად აღიქვამენ (Cross et al, 2000; Cross & Madson, 1997). ქალები საკუთარ თავს აღწერენ უფრო მეტად ურთიერთობების ჭრილში, განიცდიან ურთიერთობებთან დაკავშირებულ ემოციებს და მეტად არიან ორიენტირებულები სხვასთან ურთიერთობაზე და სხვის ემოციებზე (Cross & Madson, 1997). გამომდინარე იქიდან, რომ მორალურობა ხელს უწყობს სხვებთან ურთიერთობის დაწყებას და შენარჩუნებას (J. Haidt, 2007; Schwartz, 2007), ქალები უფრო მეტად ითვისებენ იმ მიზნებსა და ღირებულებებს, რომლებიც სხვების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

შედეგებს მხარს უჭერს გენდერული განსხვავებები შვარცის ღირებულებათა სისტემებში (Schwartz, 2007), რომლის მიხედვითაც, კაცები საკუთარ თავს უფრო მეტად აღიქვამენ იმ ღირებულებათა ტერმინებში, რომლებიც თვით-ინტერესს ეხმიანება (მაგ: ძალაუფლება, მიღწევა), და უფრო ნაკლებად მორალთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემებით (უნივერსალიზმი, კეთილმოსურნეობა) (Aquino et al., 2009).

მიღებული შედეგები აგრეთვე თანხვედრაშია კვლევასთან, რომელშიც მორალური იდენტობა სოციალურ-კოგნიტური პარადიგმიდანაა განხილული და ნაჩვენებია, რომ ქალები კაცებთან შედარებით უფრო მეტად ახდენენ მორალური ნიშნების ინტერნალიზაციას (Kennedy et al., 2017).

მაღალი მორალური სიმბოლიზაციის და ზოგადად მორალური იდენტობის ფონზე, ბუნებრივია, რომ შედეგების მიხედვით, ქალები კაცებთან შედარებით, უფრო ნაკლებად იყენებენ მორალური გამოთიშვის ტექნიკებს. მიღებული შედეგები ლოგიკურ ბმაშია აქამდე განხილულ შედეგებთან. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ქალებისთვის მორალური იდენტობა უფრო ცენტრალურია, მორალური იდენტობა კი თვით-რეგულაციის მექანიზმს წარმოადგენს და მორალური ქცევის განხორციელებაში იღებს მონაწილეობას (Aquino & Reed, 2002a). სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად მორალური იდენტობის ცენტრალურობა ნიშნავს, მორალური სქემების მუდმივ ხელმისაწვდომობას და შესაბამისად მეტ სენსიტიურობას სიტუაციის მორალური ასპექტებისადმი (Lapsley & Narváez, 2004). ისინი ვინც საკუთარ იდენტობას მორალური ნიშნებით განსაზღვრავენ, მორალურ გამოთიშვას უფრო ნაკლებად იყენებენ, ვიდრე ისინი, ვისაც მორალური მახასიათებლები ნაკლებად აქვს ინტერნალიზებული (Aquino et al., 2007; Detert et al., 2008).

რაც შეეხება ტრავმას და პოსტ-ტრავმულ ზრდას, კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ ქალების მიერ აღქმული მორალური ტრავმა, ისევე როგორც პოსტ-ტრავმული ზრდა აღემატება კაცების მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ რთულია უშუალოდ მორალური ტრავმის მიხედვით აქამდე არსებულ გენდერულ სხვაობებზე საუბარი, შესაძლებელია სხვა ტიპის ტრავმულ გამოცდილებებთან პარალელის გავლება. შედეგები ეხმიანება და ავსებს აქამდე არსებულ კვლევებს. პოსტ-ტრავმულ ზრდაზე ჩატარებული კვლევების მეტაანალიზიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ

ტრავმული მოვლენების თვალსაზრისით კაცები და ქალები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, აღქმული ტრავმა და პოსტ-ტრავმული სიმპტომების გამოხატულება ქალებში უფრო დიდია (Irish et al., 2011).

ქალები და კაცები განსხვავდებიან არა მხოლოდ მოვლენების კოგნიტური შეფასებით, არამედ ტრავმაზე მწვავე რეაქციითაც (Olf et al., 2007). ქალები მეტად არიან მიდრეკილები დანაშაულის და სირცხვილის განცდისკენ (Else-Quest et al., 2012) და თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მორალური ტრავმის თანმდევ ემოციებს სირცხვილი და დანაშაულის შეგრძნება წარმოადგენს (Farnsworth et al., 2014; J. P. Tangney et al., 2007), ქალების მიერ მეტად აღქმული მორალური ტრავმა უფრო ლოგიკური ხდება.

არსებული კვლევების თანახმად ქალებს აგრეთვე უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ სირცხვილსა და დანაშაულის შეგრძნებასთან დაკავშირებულ შფოთვისთან (J. P. Tangney et al., 2007) და დეპრესიასთან (Orth et al., 2010).

მიღებული შედეგები თანხვდება სქესთა შორის განსხვავებებს პოსტ-ტრავმული ზრდის მიხედვით აქამდე არსებულ კვლევებში, სადაც ნაჩვენებია, რომ ქალები აჩვენებენ პოსტ-ტრავმული ზრდის უფრო მაღალ დონეს კაცებთან შედარებით (Vishnevsky et al., 2010).

6.2. მორალური კომპონენტების, ბაზისური რწმენების და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი რელიგიურობასთან

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა მორალური კომპონენტების და მორალური ტრავმის რელიგიურობასთან კავშირების ძიება, რელიგიურობისა და მორალური განზომილებების ზოგადი შინაარსობრივი მსგავსება ბადებდა კითხვას მათი კავშირების შესახებ.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რელიგიურობა კავშირშია მორალური იდენტობის ორივე განზომილებასთან, ისევე როგორც მორალურ ტრავმასთან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კვლევები უშუალოდ მორალურ იდენტობასა და რელიგიურობასთან კავშირზე მწირია, რელიგიურობის და მორალურობის მჭიდრო

კავშირზე საუბარი არ არის ახალი, და ნაჩვენებია მორალური განზომილებების და რელიგიურობის თანაკვეთა (Duriez & Soenens, 2006), სადაც რელიგიას მორალური დირექტივების და წესების წყაროდ განიხილავენ.

თუმცა მაინც არსებობს რამდენიმე კვლევა, რომელიც მორალურ იდენტობასა და რელიგიურობას შორის კავშირს აჩვენებს (Maclean et al., 2004; Vitell et al., 2009).

რაც შეეხება მორალურ ტრავმას, რელიგიურობასა და ტრავმულ გამოცდილების პირდაპირი კავშირები ნაკლებად დადასტურებულია კვლევების მიხედვით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიურობასა და მორალურ იდენტობას შორის არსებობს მჭირდრო კავშირი და თავის მხრივ, მაღალი მორალური იდენტობა კავშირშია აღქმულ მორალურ ტრავმასთან, რელიგიურობის და მორალური ტრავმის კავშირიც ლოგიკური ხდება. გარდა, ამისა, პოსტ-ტრავმულ ზრდასთან დაკავშირებულ კვლევებში ნათლად დადასტურებულია, რომ ზოგადად ტრავმული გამოცდილების ადამიანებს რელიგიურობა ეხმარება პოსტ-ტრავმული ზრდის მიღწევაში (Helgeson et al., 2006; A. Shaw et al., 2005). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მორალური ტრავმის შემთხვევაში პოსტ-ტრავმული ზრდისთვის რელიგიურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (Ames et al., 2019b; Dombo et al., 2013c; Koenig et al., 2018).

შედეგები ცხადყოფს, რომ პიროვნების მიერ აღმქული საკუთარი რელიგიურობის დონე კავშირშია მორალური მახასიათებლების როგორც ინტერნალიზაციასთან, აგრეთვე სიმბოლიზაციასთან და იმასთან, თუ მორალურად რამდენად ტრავმული იქნება მოვლენა ადამიანებისთვის, სხვა სიტყვებით, რელიგიური ადამიანებისთვის (იგულისხმება აღქმული რელიგიურობა) საკუთარი იდენტობის განსაზღვრისას მორალური მახასიათებლები უფრო მნიშვნელოვანია და შესაბამისად მოვლენებს, რომლებიც მათ მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება უფრო ტრავმულად აღიქვამენ.

6.3. მორალური კომპონენტების და შფოთვა, სტრესი, დეპრესიის ურთიერთკავშირი

ზოგადად მორალური იდენტობის, მორალური ტრავმის და ნეგატიური შედეგების - შფოთვა, სტრესი, დეპრესიის - კავშირი ეფუძნება სელფის მოდელის თეორიას (Blasi, 1980), რომ ადამიანებს აქვთ ბუნებრივი სურვილი და ტენდენცია მოიქცნენ საკუთარი

თვით-კონცეფციის მიხედვით და იმ შემთხვევაში თუ ეს თვით-კონცეფცია მორალური მახასიათებლების გარშემოა კონსტრუირებული, მათ ექნებათ მორალური პრინციპების შესაბამისად მოქცევის სურვილი და მოთხოვნილება (Aquino et al., 2009). აქიდან გამომდინარე, მოვლენები და ქცევები, რომლებიც მათ მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, აღიქმება უფრო მძაფრად და საკუთარი თვით-კონცეფციის საწინააღმდეგოდ, რაც საბოლოოდ დისკომფორტზე და ნეგატიურ ემოციურ რეაქციაზე აისახება.

ზოგადად მორალური ტრავმის თანმდევ ემოციურ რეაქციებად სირცხვილს და დანაშაულის შეგრძნებას გამოყოფენ, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობამდე შეიძლება მიდიოდეს. კვლევაში გამოყოფილი ნეგატიური ცვლადების მიხედვით, მორალური იდენტობის ცენტრალურობა სტრესს და შფოთვის უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, ადამიანები, რომლებსაც მორალური მახასიათებლები და ნიშნები უფრო მეტად აქვთ ინტერნალიზებული განიცდიან უფრო მეტ სტრესს, ხოლო მორალური იდენტობის სიმბოლიზაციის მაღალი მაჩვენებელი შფოთვის უკავშირდება. ეს განსხვავება შესაძლებელია აიხსნას მორალური იდენტობის ორი ტიპის თავისებურებებით. კერძოდ:

ავტორები, მორალური იდენტობის ორი ტიპის დახასიათებისას გამოყოფენ **პერსონალურ** (ინტერნალიზაცია) და **საზოგადო** (სიმბოლიზაცია) განზომილებებს (Aquino & Reed, 2002a). სიმბოლიზაციის შემთხვევაში, საკუთარი თავი აღქმულია როგორც სოციალური არსება, და მორალურად მოქცევის მოტივაცია მომდინარეობს საზოგადოებიდან მათთვის სასურველი უკუკავშირის მისაღებად. შესაბამისად, მაღალი მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია უფრო მეტად არის დამოკიდებული საზოგადოების და გარემოს შეფასებაზე, რაც ზოგადად უფრო მეტად შფოთვის უკავშირდება (საზოგადო სელფის მაღალი დონე ზოგადად უკავშირდება უფრო მეტად შფოთვის) (George & Stopa, 2008; Hope & Heimberg, 1988) ამისგან განსხვავებით, ინტერნალიზაცია გულისხმობს მორალური მახასიათებლების და ნიშნების გაშინაგნებას და ნაკლებად არის დამოკიდებული მორალურობის საზოგადოებრივ გამოხატულებაზე და შეუსაბამობა საკუთარ თავზე წარმოდგენასა და ქცევას შორის შესაძლოა განიცდებოდეს უფრო მეტად სტრესულად.

კვლევის შედეგებმა აგრეთვე აჩვენა, რომ მორალური იდენტობის და მორალური ტრავმის უარყოფით შედეგებთან კავშირი ბაზისური რწმენების ნგრევით მიიღწევა.

ბაზისური რწმენები წარმოადგენს ადამიანის ზოგად ცოდნებს და ვარაუდებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები, როგორ უნდა ვითარდებოდეს მოვლენები მათ გარშემო და როგორ შეუძლიათ მათ მოვლენებში ჩარევა და მათი კონტროლი (Cann et al., 2010), შესაბამისად, როგორც კი ადამიანები ამ წარმოდგენების საწინააღმდეგო საკმარისად ინტენსიური მოვლენების შემსწრე ხდებიან, ინგრევა სწორედ ბაზისური რწმენების სისტემები.


ამ შემთხვევაში მორალური პრინციპები წარმოადგენს ზოგად წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები მორალურ განზომილებაში და როგორი უნდა იყოს ზოგადად სამყარო მათ გარშემო, მორალური ტრავმა კი წარმოადგენს სწორედ ამ არსებულ წარმოდგენებთან და პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსულ მოვლენებს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ წარმოდგენების რღვევა და ტრავმული მოვლენები რჩება მხოლოდ მორალურ სფეროში. ბაზისური რწმენების რყევა ჩანს რესპონდენტების ინტერვიუებიდან, სადაც ადამიანები საუბრობენ მოვლენებამდე არსებული წარმოდგენების რღვევაზე სამყაროზე, ადამიანებზე და საკუთარ თავზე.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზიდან, ჩანს, რომ მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია სტრესს უკავშირდება მორალური ტრავმის გავლით, რაც ნიშნავს, იმას, რომ ინტერნალიზაცია უშუალოდ, დამოუკიდებლად არ აისახება სტრესის მაღალ მაჩვენებელზე და მხოლოდ მოვლენები, რომლებიც ინტერნალიზებულ მორალურ სტანდარტებს და ღირებულებებს სცდება, განაპირობებს სტრესულ მდგომარეობას.

გარდა ამისა, როგორც მრავალმხრივ იერარქიულ რეგრესიაში, აგრეთვე მედიაციურ მოდელშიც, ჩანს, რომ მორალურად ტრავმული მოვლენა, რომელიც გამაშუალებელი ცვლადია მორალურ იდენტობასა და სტრესს შორის, ბაზისური რწმენების რყევაზე აისახება და მხოლოდ ამის გავლით უკავშირდება სტრესს. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალურად სტრესის გამომწვევი პიროვნების ბაზისური რწმენების რყევაა.

სხვა სიტყვებით, მაღალი მორალური იდენტობის ინტერნალიზაცია გარკვეულწილად განაპირობებს იმას, თუ როგორ იქნება აღქმული მოვლენა, რომელიც ინტერნალიზებულ მორალურ მახასიათებლებთან მოდის წინააღმდეგობაში, ანგრევს ბაზისურ წარმოდგენებს და სწორედ ბაზისური რწმენების რყევის შედეგად აისახება სტრესზე.

სქემა 5. თეორიის ემპირიული მოდელი



მორალური იდენტობის ტიპებსა და სხვადასხვა ნეგატიურ შედეგებს შორის კავშირების დადასტურებას და აღმოჩენას დამატებითი კვლევები ესაჭიროება და ეს საკითხი ცალკეულ, უფრო სიღრმისეულ გამოკვლევას საჭიროებს.

ზოგადად ორივე ტიპის მორალური იდენტობა კავშირშია მორალური ტრავმის აგრეთვე ორივე ტიპთან. თუმცა სიმბოლიზაცია განსაკუთრებით ძლიერ კავშირშია ტრავმულ მოვლენასთან, რომელიც ქმედებასთან არის დაკავშირებული, რაც კიდევ ერთხელ, შესაძლოა მორალური იდენტობის სიმბოლიზაციის ბუნებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, მორალური იდენტობის სიმბოლიზაცია მიმართულია გარემოზე და იმაზე, თუ როგორ პოზიციონირდება პიროვნება გარემოში. მორალური იდენტობის სიმბოლიზაციისთვის სწორედ მორალურობის ქცევაში გამოხატვაა აუცილებელი, რადგან ის უნდა დაინახოს მეორე ადამიანმაც - მხოლოდ ქცევაში გამოხატვით არის შესაძლებელი სხვისთვის საკუთარ თავზე ინფორმაციის მიწოდება. შესაბამისად, მორალურ პრინციპებთან და ღირებულებებთან კონფლიქტში მოსული საკუთარი ქცევა უფრო მძაფრად და მტკივნეულად აღიქმება.

6.4. მორალური კომპონენტების და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი

პოსტ-ტრავმულ ზრდასთან დაკავშირებულ კვლევებში ნათლად დადასტურებულია პოსტ-ტრავმული სტრესის და პოსტ-ტრავმული ზრდის ურთიერთკავშირი (Baker et al., 2008; Barrington & Shakespeare-Finch, 2013; Helgeson et al., 2006), და არა მხოლოდ, პოსტ-ტრავმულ ზრდაზე საუბრობენ ომის კონტექსტში მორალური ტრავმის შემთხვევაშიც (Farnsworth et al., 2017; Koenig et al., 2018; Litz et al., 2009a; J. Nieuwsma et al., 2015), თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ფარგლებში მორალური ტრავმა განხილულია, როგორც ზოგადი გამოცდილება, კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს მორალური ტრავმიდან პოსტ-ტრავმულ ზრდამდე პროცესის ჩვენება წარმოადგენდა.

რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებიდან ჩანს, რომ მორალური იდენტობის ორივე კომპონენტი კავშირშია პოსტ-ტრავმულ ზრდასთან, თუმცა ისევ და ისევ მორალური ტრავმის გავლით. ეს ნიშნავს იმას, რომ თავისთავად მოცემული მორალური იდენტობა არ მოიაზრებს უფრო მაღალ მაჩვენებელს პოსტ-ტრავმულ ზრდაზე და მხოლოდ ტრავმული მოვლენის შემდგომ არის შესაძლებელი ზრდაზე საუბარი.

ამ შემთხვევაშიც პოსტ-ტრავმული ზრდის აუცილებელ პირობას ბაზისური რწმენების რყევა წარმოადგენს. მრავალმხრივი იერარქიული რეგრესიის და მედიაციური მოდელიდან ჩანს, რომ მორალური ტრავმა კავშირშია ბაზისური რწმენების რყევასთან, რაც თავის მხრივ პოსტ-ტრავმულ ზრდაზე აისახება.

ზოგადად ბაზისური რწმენების რყევა აიძულებს ადამიანს გადახედოს თავის არსებულ წარმოადგენებს და კოგნიტურად გადაამუშაოს არსებული სქემები, სწორედ ამ საფრთხესთან გამკლავების პროცესში აღმოაჩენენ ადამიანები პოზიტიურ ცვლილებებს და განიცდიან პიროვნულ ზრდას (Calhoun & Tedeschi, 2006).

მსგავს პროცესებზე საუბრობენ აგრეთვე მორალური ტრავმის შემთხვევაშიც, სადაც აღნიშნავენ, რომ არა უშუალოდ კონკრეტული ქცევა არამედ სწორსა და არასწორზე წარმოდგენების რღვევა იწვევს ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს და შემდგომ ცვლილებებს (McDonald, 2017; Jonathan Shay, 2014).

საბოლოოდ, მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ მორალური ტრავმა, სხვა ტრავმულ გამოცდილებებთან ერთად შესაძლოა განხილული იყოს, როგორც პიროვნული ზრდის წინაპირობა და არა როგორც მხოლოდ მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული გამოცდილება არამედ ზოგადად, ადამიანური გამოცდილების ნაწილი.

6.5. სტრუქტურული გათანაბრების მოდელები

საბოლოო მოდელების შესამუშავებლად, გაკეთდა სტრუქტურული გათანაბრების ორი მოდელი, რომელიც მორალური იდენტობის თითოეული კომპონენტიდან პოსტ-ტრავმულ ზრდამდე გზას უჩვენებს.

მოდელები მსგავსია იმ კუთხით, რომ ორივე მათგანი უკავშირდება მორალური ტრავმის სხვადასხვა ტიპებს, როგორც მოვლენის შესწრებას, აგრეთვე უშუალოდ საკუთარი ქმედებით გამოწვეულ ტრავმას, რაც თავის მხრივ აისახება ბაზისური რწმენების რყევაზე და სწორედ ამ გზით ერთ შემთხვევაში ნეგატიურ შედეგებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში პოსტ-ტრავმულ ზრდაზე გადის.

კვლევის თეორიულ ნაწილში, ტრავმის მოდელი თავდაპირველად ეფუძნებოდა ორგანიზმული შეფასების თეორიას (Joseph & Linley, 2005b), რომლის მიხედვითაც, ტრავმული მოვლენიდან არსებობს სამი ძირითადი გამოსავალი, სადაც ერთი უარყოფით შედეგებს გულისხმობს, მეორე ღირებულებების და სქემების გადამუშავებით - პოზიტიურ შედეგებს (პოსტ-ტრავმული ზრდა), ხოლო მესამე - დაბრუნებას საწყის, ტრავმამდელ მდგომარეობასთან. ეს სქემა წარმოდგენილია სტრუქტურული გათანაბრების მოდელში.

მორალური იდენტობის ინტერნალიზაციისას ნეგატიურ შედეგებს ამ კვლევის შემთხვევაში სტრესული მდგომარეობა წარმოადგენს, მაშინ როდესაც მორალური იდენტობის სიმბოლიზაციისას ეს შედეგები შფოთვის სახით გამოიხატება.

მოდელში მთავარ პრედიქტორს მორალური იდენტობის ცენტრალურობა წარმოადგენს, რაც მორალურ ტრავმაზე საუბრისას ინდივიდუალურ განსხვავებებზე აკეთებს აქცენტს. მორალური იდენტობის ცენტრალურობა თავის მხრივ კავშირშია


მორალური ტრავმის ორივე ტიპთან, რაც ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების იდენტობისთვის მორალური მახასიათებლები, მით უფრო მეტად აღიქვამს მოვლენას/ქცევას ტრავმულ გამოცდილებად.

ეს პროცესი გრძელდება ბაზისური რწმენების რყევით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მორალურ სფეროსთან დაკავშირებული მოვლენები და წინააღმდეგობები საკმარისად ინტენსიურია იმისთვის, რომ დაარღვიოს აქამდე არსებული წარმოდგენები სამყაროზე და ადამიანებზე.

ბაზისური რწმენების რყევა მოდელში ცენტრალური ხასიათისაა, რაც მორალური ტრავმის, ნეგატიური ემოციური შედეგების და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირში მის როლზე მეტყველებს. სხვა სიტყვებით, მორალური ტრავმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადის ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებზე, თუკი ის არღვევს არსებულ წარმოდგენებს სამყაროზე და ადამიანებზე. ეს ერთგვარად, ინტენსივობას სძენს მორალურად ტრავმულ გამოცდილებას, და სწორედ ამ ინტენსივობის ტრავმა იწვევს ნეგატიურ ემოციურ შედეგებს.

ანალოგიური ეხება პოსტ-ტრავმულ ზრდასაც, რომლის მიღწევაც მორალური ტრავმის შემთხვევაში ბაზისური რწმენების რყევით არის შესაძლებელი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორალური ტრავმა, რომელიც პიროვნების ქმედებასთან არის დაკავშირებული, ბაზისური რწმენების რყევის გარეშეც აისახება პიროვნულ ზრდაზე - პიროვნება სწავლობს, იზრდება საკუთარი ქცევის შედეგად, ზოგადი რწმენების და წარმოდგენების რყევის გარეშეც (სქემა 6).

სქემა 6. მორალურ ტრავმასთან დაკავშირებული პროცესი



მთავარი, რაც ამ მოდელებიდან ჩანს, არის ის, რომ მორალური ტრავმა, რაც კონცეპტუალიზირებულია, როგორც საკუთარი მორალური ღირებულებების და პრინციპების საწინააღმდეგო ქცევა ან სხვის მიერ მსგავსი ქცევასთან შეჯახება (Litz et al., 2009a; Jonathan Shay, 2014), შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ადამიანური გამოცდილების ნაწილი, რომელიც არ ეკუთვნის კონკრეტულ, სპეციფიკურ ჯგუფს და ზოგად-პოპულაციური ხასიათისაა. ეს დაშვება გამომდინარეობს მორალური იდენტობის და ზოგადად სელფ-თეორიებიდან, რომლის მიხედვითაც მორალური მახასიათებლები ზოგადად პიროვნების (სელფის) მახასიათებლებია (Strohminger & Nichols, 2014), სადაც იგულისხმება ის, რომ ადამიანები უმეტესწილად საკუთარ თავს (სელფს) აღწერენ მორალური მახასიათებლებით და მათი პიროვნების განუყოფელ ნაწილად მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები საკუთარ თავს მორალურ განზომილებებში აღწერენ, ინდივიდუალური განსხვავებები შესაძლებელია არსებობდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ცენტრალური, მნიშვნელოვანი, იქნება კონკრეტულად ეს იდენტობა მათი პიროვნებისთვის (Aquino et al., 2009).

შესაბამისად, მორალური იდენტობის საწინააღმდეგო ქცევები შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მორალური ტრავმის გამომწვევი, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ნეგატიურ ემოციურ რეაქციებთანაა დაკავშირებული და როგორც სხვა ტიპის ტრავმული გამოცდილებები, აისახება ბაზისური რწმენების რყევაზე - ამ შემთხვევაში სწორსა და არასწორზე წარმოდგენების რყევაზე - რისი აღდგენისთვისაც

საჭიროა სქემების და ღირებულებების გადამუშავება და მოდიფიკაცია და რაც პოსტ-ტრავმულ ზრდაში ერთიანდება.

საბოლოოდ, კვლევის შედეგებმა დაადასტურა დაშვება, რომ მორალური ტრავმა შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ზოგადად პიროვნების ნაწილი და შესაძლებელია არსებობდეს ინდივიდუალური განსხვავებები ამ კონსტრუქტის მიხედვით.

დამატებითი ცვლადი, რომელიც მორალური იდენტობის და მორალური ტრავმის ურთიერთკავშირს ეფექტურად ახსნიდა, პიროვნების მიერ მორალური გამოთიშვის ტექნიკების გამოყენებაა. დაშვება ეფუძნებოდა მორალური იდენტობის სოციალურ-კოგნიტურ თეორიას და იმას, რომ მორალური იდენტობის ცენტრალურობა სელფ-სქემების მუდმივ ხელმისაწვდომობას გულისხმობს (Blasi, 1980), სხვა სიტყვებით, მორალურ განზომილებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში ეს სქემები სწრაფად აქტიურდება და პიროვნებას „სწორი“ ქცევისკენ უბიძგებს იმ მიზნით მოხდეს საკუთარ თავზე დადებით წარმოდგენის შენარჩუნება (Bandura, 1990b). მორალური გამოთიშვა კი ემსახურება, ქცევის დისტანცირებას მორალური სფეროდან, სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს პიროვნებას განახორციელოს საკუთარ მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსული ქცევა ისე, რომ შეინარჩუნოს მორალური, დადებითი თვით-კონცეფცია. იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც მორალური სელფ-სქემები მუდმივად ხელმისაწვდომია, მორალური გამოთიშვის ტექნიკების გამოყენება მეტი რესურსის და ენერჯის ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული, შესაბამისად ნავარაუდევია იყო მათი ნეგატიური ურთიერთკავშირი.

მორალური გამოთიშვის ტექნიკების გამოყენება, ტრავმის არიდების მიზნით, ჩანს თვისებრივი მონაცემების ანალიზში, სადაც რესპონდენტები კონტექსტთან შესაბამის ასპექტებს ითვალისწინებენ ქცევის თუ მოვლენის გასამართლებლად და შესაბამისად, ირიდებენ ტრავმულ გამოცდილებას. თუმცა მეორე მხრივ, ეს კავშირი რაოდენობრივ მონაცემების ანალიზში არ დასტურდება. შესაძლებელია, რომ მორალური გამოთიშვა მუშაობდეს კონტექსტთან და კონკრეტულ ქმედებასთან შეჭიდულად და მისი ზოგადი ღირებულებებით გაზომვა არ იძლეოდეს სასურველ შედეგს. ეს დაშვება გამომდინარეობს იქიდან, რომ თვისებრივი მონაცემების შემთხვევაში ადამიანები

საუბრობდნენ კონკრეტულ ქცევასთან და მოვლენასთან დაკავშირებულ ასპექტებზე, რომლებიც ამართლებდა ამ ქცევას ან მოვლენას.

გარდა ამისა, მორალური ტრავმა, სხვა ტიპის ტრავმის მსგავსად, დაკავშირებულია ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებთან და უკავშირდება ბაზისური რწმენების რყევას, რაც თავის მხრივ სქემების გადამუშავებას და სრულ მოდიფიკაციას საჭიროებს, რომელ პროცესშიც პიროვნება ახალ საზრისებს პოულობს.

6.6. სინთეზი: ზოგადი დასკვნები

თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეჯერება რამდენიმე ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

მორალური ტრავმა არ არის სპეციფიკური და კონკრეტული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ფენომენი და ერთიანდება ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებაში. თვისებრივი ანალიზიდან ჩანს, რომ საკუთარი მორალური პრინციპების და ღირებულებების წინააღმდეგ ქცევასთან დაკავშირებული პროცესის სტრუქტურა და შინაარსი თანხვდება ომის კონტექსტში განსაზღვრულ მორალური ტრავმის სტრუქტურას და შინაარსს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მორალურ ტრავმის და მასთან დაკავშირებული პროცესების შეჯამებისთვის საჭიროა რამდენიმე ძირითად საკითხზე გამახვილდეს ყურადღება:

- 1. არსებობს ინდივიდუალური განსხვავებები მორალური იდენტობის ცენტრალურობის მიხედვით. რაც უფრო ცენტრალურია მორალური იდენტობა პიროვნებისთვის, მით უფრო მოწყვლადია იმ მოვლენებისადმი/ქცევებისადმი, რომლებიც მის მორალურ პრინციპებთან და ღირებულებებთან მოდის წინააღმდეგობაში.*

მოვლენის ტრავმულად აღქმა გარკვეულწილად დამოკიდებულია პიროვნების მორალურ იდენტობაზე და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ცენტრალურია პიროვნებისთვის საკუთარი იდენტობის განსაზღვრისას მორალური მახასიათებლები.

თუკი პიროვნება საკუთარ იდენტობას აგებს მორალური მახასიათებლების გარშემო და ის მისთვის ცენტრალურია, შესაბამისად მისი სელფ-სქემაც მორალური შინაარსების მატარებელი იქნება და მისი ფუნქციონირების მთავარ განზომილებას სწორედ მორალური სფერო წარმოადგენს. ლოგიკურია, რომ ქცევები, რომლებიც ამ მორალურ განზომილებას ეწინააღმდეგება განიცდება უფრო ტრავმულად, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სფერო პიროვნებისთვის ცენტრალური არ არის. ეს შედეგები დადასტურდა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზში, სადაც ჩანს, რომ მორალური იდენტობის ცენტრალურობას პრედიქციის უნარი აქვს მორალური ტრავმის წინასწარმეტყველებისას.

2. მორალურ ტრავმა უკავშირდება ნეგატიურ ემოციურ რეაქციებსა და მდგომარეობებს, რაც მოცემულ კვლევაში დეპრესია, შფოთვა, სტრესის სახით იზომება, და რაც თავის მხრივ ბაზისური რწმენების რყევით არის განპირობებული.

მორალურად ტრავმული გამოცდილება, მისი თავდაპირველი კონცეპტუალიზაციიდან გამომდინარე, უკავშირდება ისეთ ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს როგორცაა, უსამართლობის განცდა, ბრაზი, სირცხვილი, დანაშაულის შეგრძნება და ა.შ., თვისებრივი მონაცემების შედეგები ზუსტად იმეორებს და ადასტურებს ამ დაშვებებს და კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მორალური ტრავმა არ არის სპეციფიკური გამოცდილებით განსაზღვრული.

ამას ლოგიკურად ავსებს რაოდენობრივ ნაწილში წარმოდგენილი შედეგები, სადაც მორალური ტრავმის და შფოთვა, სტრესი, დეპრესიის ურთიერთკავშირი ჩანს, რაც ტრავმით გამოწვეული ემოციური რეაქციების შედეგად უნდა აიხსნას. მიღებული შედეგები თავის მხრივ თავსებადია თვისებრივ მონაცემებთან, სადაც რესპონდენტები საკუთარი ემოციური მდგომარეობის აღსაწერად სტრესსა და დეპრესიაზე საუბრობენ.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მექანიზმი, რომელიც მორალურად ტრავმულ მოვლენას და ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს ერთმანეთთან აკავშირებს ბაზისური რწმენების რყევა წარმოადგენს.

თვისებრივი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ არსებულ წარმოდგენებს და რწმენებს სწორედ საკუთარ მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოსული

მოვლენები და ქცევები ანგრევს. ეს კავშირი დასტურდება რაოდენობრივი მონაცემების ანალიზითაც, სადაც, გარდა ამისა, ნაჩვენებია, რომ მორალურად ტრავმული მოვლენა, თუკი ის არ არღვევს ბაზისურ რწმენებს სამყაროს და ადამიანების შესახებ, არ უკავშირდება ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებს. აქ საგულისხმოა აღინიშნოს ის, რომ მოვლენები და ქცევები თავისთავად არ გულისხმობს მის ტრავმულად აღქმას ინდივიდის მიერ, თუკი ის არ მოქმედებს და არ აისახება წარმოდგენების რყევაზე.

ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს და შედეგებს სწორედ სამყაროზე და ადამიანებზე წარმოდგენების ნგრევა განაპირობებს. ეს პროცესი კარგად ჩანს თვისებრივი მონაცემების ანალიზში, სადაც ადამიანები პირდაპირ საუბრობენ არსებულ წარმოდგენებთან კონფლიქტზე და მისგან გამოწვეულ უარყოფით ემოციურ რეაქციებზე. სამყაროზე და ადამიანებზე წარმოდგენებთან ერთად, ეს ასევე ეხება საკუთარ თავზე წარმოდგენებს, და იმას, თუ როგორ ანგრევს სელფ-სქემებს საკუთარი ქცევა.

რაოდენობრივ მონაცემებში არ ჩანს უშუალოდ პროცესი, თუმცა ნაჩვენებია, რომ ბაზისური რწმენების რყევა დაკავშირებულია შფოთვისთან, სტრესთან და დეპრესიასთან. შესაბამისად, კეთდება დაშვება, რომ სწორედ ბაზისური რწმენების რყევა განაპირობებს ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებს.

3. მორალური ტრავმა, სხვა ტრავმული გამოცდილებების მსგავსად, პოსტ-ტრავმული ზრდის პრედიქტორია.

კვლევის მთავარი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: შესაძლებელია თუ არა მორალური ტრავმა, სხვა ტრავმული მდგომარეობების მსგავსად, განვხილოთ პოსტ-ტრავმული ზრდის პრედიქტორად?

თვისებრივი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მორალურ პრინციპების საწინააღმდეგო მოვლენები ანგრევს ბაზისურ წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორია და როგორი უნდა იყოს სამყარო და ადამიანები მათ გარშემო, რაც თავის მხრივ უარყოფით ემოციურ შედეგებზე აისახება. თუმცა ამასთან ერთად, ადამიანები საუბრობენ გადაფასებულ ღირებულებებზე, ახალ აღმოჩენებზე და სამყაროს ხედვის ცვლილებაზე, რაც ეხმარებათ მათ ეფექტურად და ადეკვატურად ფუნქციონირებაში,

მიუხედავად იმისა, რომ მათი სუბიექტური შეფასება ამ ცვლილების ნეგატიურია. როგორც პოსტ-ტრავმული ზრდის და ბაზისური რწმენების რყევის კავშირზე საუბრისას აღნიშნავენ, დანგრეული სქემების მოდიფიკაციის და რეკონსტრუირების პროცესში ადამიანები აღმოაჩენენ ახალ საზრისებს და სწორედ აქ დგება პიროვნული ზრდა (Cann et al., 2010).

მიღებული შედეგები თანხვედრაშია რაოდენობრივი მონაცემების ანალიზთან, სადაც ნაჩვენებია მორალური ტრავმისა და პოსტ-ტრავმული ზრდის კავშირი ბაზისური რწმენების რყევის გავლით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზისური რწმენების რყევა ნეგატიურ ემოციურ მდგომარეობებზე აისახება, სწორედ ეს ნეგატიური ემოციები წარმოადგენს სქემების რესტრუქტურისა და მოდიფიკაციის ბიძგის მიმცემს, რაც საბოლოო ჯამში პიროვნულ ზრდაში ერთიანდება.

სტრუქტურული გათანაბრების მოდელში, ნაჩვენებია მორალური ტრავმის და პოსტ-ტრავმული ზრდის ურთიერთკავშირი და მასთან დაკავშირებული სრული პროცესი, თუმცა ამ მოდელის მიხედვით ბაზისური რწმენების რყევა, რომელიც მორალური ტრავმითაა განპირობებული, ერთი მხრივ პოსტ-ტრავმულ ზრდაზე გადის, ხოლო მეორე მხრივ ნეგატიურ შედეგებზე აისახება.

კვლევაში გამოყოფილი ნეგატიური ცვლადები - შფოთვა, სტრესი - დამოუკიდებლად, კავშირშია პოსტ-ტრავმულ ზრდასთან, თუმცა მოდელში მათი ურთიერთკავშირი სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას კარგავს. ეს შესაძლოა მიუთითებდეს დამხმარე მექანიზმზე, რომლის საშუალებითაც ადამიანები ნეგატიურ გამოცდილებას და ემოციურ მდგომარეობას დადებით შედეგებად გადაქმნიან. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული მოდელი ეხმიანება ორგანიზმული ღირებულების თეორიას (Joseph & Linley, 2005b), რომლის მიხედვითაც ტრავმული გამოცდილების შედეგები ერთი მხრივ შესაძლოა პიროვნული ზრდის ტერმინებით აღიწეროს, ხოლო მეორე მხრივ ნეგატიურ, უარყოფით ცვლილებებზე გადიოდეს - მესამე შედეგად საწყის მდგომარეობასთან დაბრუნება განიხილება, რისი გაზომვაც კვლევის მიზნებს სცდება.

6.7. შეჯამება

ბოლოს, როგორც თვისებრივი, აგრეთვე რაოდენობრივი კვლევის ანალიზიდან იკვეთება, რომ მორალური ტრავმა შესაძლებელია ფსიქოლოგიური ტრავმის ზოგად მოდელში განვიხილოთ.

მორალური ტრავმის გადამუშავების სტრუქტურა იმეორებს ტრავმის გადამუშავების ზოგადი მოდელის სტრუქტურას (Joseph & Linley, 2005c), სადაც მკვეთრად განსაზღვრულია მოვლენა, მოვლენასთან დაკავშირებული უარყოფითი ემოციური რეაქციები და მდგომარეობები, რომლებიც ბაზისური რწმენების რყევის შედეგია და რაც საბოლოოდ, პიროვნული ზრდის საფუძველია.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სტრუქტურა არის საერთო, განსხვავდება ამ სტრუქტურაში არსებული კომპონენტების შინაარსები და პროცესები.

სქემა 7. მორალური ტრავმის დინამიკა: ემოციური და კოგნიტური კომპონენტები.



სქემა 8. ორგანიზმული ღირებულების თეორიის მოდელი (Joseph, 2009a) :



პირველ რიგში აღვნიშნოთ პროცესთან დაკავშირებული სპეციფიკური მახასიათებლები: მორალური ტრავმისთვის აუცილებელია მოვლენის/ქცევის განსჯა

მოხდეს არსებული მორალური სტანდარტების და პრინციპების შესაბამისად, სხვა სიტყვებით, თუკი მორალურ მსჯელობას არ ექნება ადგილი, არ დადგება ტრავმა.

ქცევის განსჯის შემთხვევაშიც კი პიროვნებას შეუძლია დისტანცირდეს ქცევისგან/მოვლენისგან მორალური გამოთიშვის საშუალებით, რაც აგრეთვე ტრავმის თავიდან არიდებას განაპირობებს, თუმცა თუკი ის ვერ დისტანცირდება გამოცდილებისგან, აქამდე არღებულ წარმოდგენები სწორსა და არასწორზე დგება ეჭვ ქვეშ, რასაც შესაბამისად უარყოფითი ემოციური რეაქციები სდევს თან.

მორალური ტრავმის გადამუშავების წარმოდგენილი მოდელი თავის თავში აინტეგრირებს და არ ეწინააღმდეგება ორგანიზმული ღირებულების თეორიის მოდელის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დარღვეული წარმოდგენების/სქემების გადამუშავებით, მიიღწევა ის ცვლილებები, რომლებიც პიროვნულ ზრდად არის მოხსენიებული.

როგორც ვახსენეთ, გარდა პროცესისა, განსხვავდება ტრავმასთან დაკავშირებული კომპონენტების შინაარსები (ცხრილი 23).

პირველ რიგში განსხვავება მდგომარეობს იმ მოვლენის მახასიათებლებში, რომლებიც წინ უსწრებს ტრავმას. მორალური ტრავმის დროს, განსხვავებით ზოგადი ტრავმისგან, მოვლენა არ შეიცავს სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ კომპონენტებს და საუბარია არსებული მორალური ღირებულებების და პრინციპების საწინააღმდეგო შინაარსებზე.

მორალური ტრავმის შემთხვევაში ასევე სპეციფიკურია უარყოფითი ემოციების შინაარსი, რომელიც ძირითად შემთხვევაში დანაშაულის, სირცხვილის და პროტესტის შეგრძნებით გამოიხატება. საკუთარი ქცევით გამოწვეული უარყოფითი ემოციები საკუთარ თავთან დაკავშირებულ ისეთ ემოციურ რეაქციებს უკავშირდება, როგორცაა დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნება და ცვლილებებიც შესაბამისად საკუთარ თავზე წარმოდგენებს მიემართება. სხვების მიერ ჩადენილი ქცევა ბადებს პროტესტის, მარტოობის და უსამართლობის შეგრძნებას და ცვლილებების შესაბამისად ადამიანებზე და ზოგადად სამყაროზე წარმოდგენას უკავშირდება.

აგრეთვე, ბაზისური რწმენების რყევაში ნაგულისხმევი შინაარსი მიემართება აქამდე არსებულ წარმოდგენებს სწორსა და არასწორზე, იმაზე თუ როგორი მორალური

პრინციპები არსებობს სამყაროში, და არა ზოგადად არსებული ცოდნების და წარმოდგენების რყევას, როგორც სხვა ტიპის ტრავმის შემთხვევაში გვაქვს.

ცხრილში შედარებულია მორალური და ზოგადი ტრავმის კომპონენტების შინაარსები.

ცხრილი 23. მორალური ტრავმისა და ზოგადი ტრავმის სპეფიციკური შინაარსები.

	მორალური ტრავმა	ზოგადი ტრავმა
მოვლენა/ქცევა	მოვლენა ან ქცევა, რომელიც შეიცავს ინდივიდია მიერ არსებული მორალური ღირებულებების და პრინციპების საწინააღმდეგო შინაარსებს.	მოვლენა, რომელიც საფრთხეს უქმნის პიროვნების ან მისი ახლობლის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას.
ემოციური რეაქციები	დანაშაულის, სირცხვილის შეგრძნება, პროტესტის და უსამართლობის განცდა, ადამიანების და ინსტიტუციების მხრიდან ღალატის შეგრძნება	შიში, საფთხის შეგრძნება, ფლემბეკები,
ზაზისური რწმენების რყევა	მორალური ღირებულებების და სისტემების ნგრევა; სწორსა და არასწორზე წარმოდგენების რყევა;	სამყაროზე არსებული წარმოდგენების რყევა, აქამდე არსებული ცოდნის ეჭვ ქვეშ დაყენება
	წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანებსა და საკუთარ თავზე	
ემოციური მდგომარეობები	შფოთვა, სტრესი, დეპრესია, ემოციური გათიშვა (numb)	
	საკუთარი თავის, ადამიანების მიმართ ნდობის კარგვა, მორალური სტანდარტების არ ქონა.	
ცვლილება	საკუთარი თავის, ადამიანების და რეალური სამყაროს მიმართ წარმოდგენების ცვლილება.	

ის ნეგატიური შედეგები, რასაც ტრავმული მოვლენა იწვევს, საერთოა ორივე ტიპის ტრავმისთვის, თუმცა საგულისხმოა, რომ ნეგატიური ემოციური მდგომარეობების მიზეზი შინაარსობრივად აქაც განსხვავდება ერთმანეთისგან, მორალური ტრავმის შემთხვევაში სტრესი, შფოთვა, დეპრესია უკავშირდება საკუთარ თავის და ადამიანების მიმართ ნდობის კარგვას, იმას, რომ აღარ არსებობს ცხადი და გარკვეული

მორალური სისტემები, რის მიხედვითაც შესაძლებელია ქცევის განსჯა, საკუთარი თავის მიმართ წარმოდგენების ჩამოშლას და ა.შ.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის ზოგადი მოდელის ძირითადი სტრუქტურა მსგავსია, განსხვავდება პროცესთან დაკავშირებული შინაარსები, რაც მორალურ ტრავმას სპეციფიკური სახის ტრავმად აიდენტიფიცირებს.

თავი VII - ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ტრავმის მახასიათებლები, მასთან დაკავშირებული პროცესები, შედეგები და მიდგომები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტრავმული მოვლენის პიროვნებისთვის პოზიტიურ შედეგებად გარდაქმნა. მიუხედავად ამისა, არსებობს სპეციფიკური სახის ტრავმული გამოცდილებები, რომლებიც იდენტურად არ იმეორებენ ზოგად ტრავმასთან დაკავშირებულ პროცესებს და საჭიროა იმ მახასიათებლების იდენტიფიცირება და კვლევა, რაც გამოარჩევს მას ზოგადი ტრავმისგან. ეს პირველ რიგში საჭიროა იმისთვის, რომ მოხდეს მასთან დაკავშირებული სპეციფიკური პროცესების, მახასიათებლების შესწავლა, რაც ახალი თეორიული და ემპირიული მოდელების შექმნას უდებს საფუძველს და ტრავმის განსხვავებულ გაგებას გვთავაზობს.

მორალური ტრავმის დიფერენცირება და კონრეტული გამოცდილების სახელდარქმევა და მისი შესწავლა მნიშვნელოვანია აგრეთვე პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე. დღესდღეობით უამრავი სფერო არსებობს, სადაც ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ საზოგადოების მიერ მიწოდებული და პიროვნების მიერ ინტერნალიზებული მორალური სტანდარტების და ღირებულებების საწინააღმდეგო ქცევების განხორციელება ან მათთან შესწრება, რაც რეალურად ნაკლებად განიხილება, როგორც პიროვნებისთვის ზიანის მომტანი. იქნება ეს სოციალური თუ საგანმანათლებლო სამსახურები, სამედიცინო, მართლმსაჯულების თუ პენიტენციალური დაწესებულებები და ა.შ. სადაც ყურადღების ქვეშ არ ექცევა ის პიროვნული პროცესები, რაც ამ საქმიანობაში ჩართულ ადამიანებთან შეიძლება მიმდინარეობდეს.

ადამიანური ფუნქციონირების დიდი ნაწილი მორალურ განზომილებას უკავშირდება და შესაბამისად, მორალის ფსიქოლოგიის კვლევის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა, როგორც პიროვნების, აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობის ერთერთი მთავარი საფუძვლის - მორალური განსჯისა და ქცევის მექანიზმების შესწავლა. თუმცა, მორალთან დაკავშირებული კომპონენტებისა და პროცესების შესწავლასთან ერთად, აუცილებელია იმ შედეგების შესწავლაც, რაც მორალურ ღირებულებებთან და პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის და რაც ადამიანური გამოცდილების ნაწილი

შეიძლება იყოს. მორალური ტრავმა, განიხილება, როგორც გამოცდილება, რომელსაც პიროვნებისთვის რთული და კომპლექსური პროცესები სდევს თან, რისი გაგებაც თერაპიულ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

თავი VIII - კვლევის ლიმიტები და მომავალი კვლევითი პერსპექტივები

კვლევის ლიმიტად პირველ რიგში შეიძლება ჩაითვალოს კვლევის რაოდენობრივ ნაწილში რესპონდენტების არათანაბარი გადანაწილება ასაკის და სქესის მიხედვით. ასაკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. კვლევაში მონაწილეთა ძირითად ნაწილს სტუდენტები შეადგენდნენ (დაახ. 25 წლამდე ადამიანები), ხოლო მორალურ იდენტობაზე და მორალურ ტრავმაზე საუბარი პოსტ-ტრავმული ზრდის კონტექსტში საუბრისას, სასურველი და რეკომენდირებულია სხვადასხვა ასაკის და განსაკუთრებით შუახნის ასაკის ადამიანების კვლევა, გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრებისეული გამოცდილება და ინფორმაციის გადამუშავება ცხოვრების მანძილზე თეორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვლევაში წარმოდგენილი ცვლადების ურთიერთკავშირზე.

წინამდებარე კვლევა სამომავლო კვლევებს კარგ საფუძველს უქმნის მორალური ტრავმა განიხილონ ზოგად ადამიანურ ფენომენად. გარდა კვლევაში წარმოდგენილი ცვლადებისა, საინტერესოა მორალური მსჯელობის სხვადასხვა ტიპების კავშირი მორალურ ტრავმასთან და მათი ურთიერთკავშირის ძიება, გარდა ამისა იმ კონკრეტული მექანიზმების ძიება, რომლებსაც ადამიანები მსგავს ტრავმულ მოვლენასთან გასამკლავებლად იყენებენ. აგრეთვე ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სავარაუდოდ წარმოადგენს იმ პროცესების და მექანიზმების კვლევა, რომელიც ერთი მხრივ განაპირობებს მორალური ტრავმის უარყოფით შედეგებზე ასახვას, ხოლო მეორე მხრივ - პიროვნულ ზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Ames, D., Erickson, Z., Youssef, N. A., Arnold, I., Adamson, C. S., Sones, A. C., Yin, J., Haynes, K., Volk, F., Teng, E. J., Oliver, J. P., & Koenig, H. G. (2019a). Moral Injury, Religiosity, and Suicide Risk in U.S. Veterans and Active Duty Military with PTSD Symptoms. *Military Medicine*, *184*(3–4), e271–e278.
<https://doi.org/10.1093/milmed/usy148>
- Aquino, K., & Freeman, D. (2009). Understanding moral functioning. *Personality, Identity, and Character: Explorations in Moral Psychology*, Cambridge University Press, New York, NY, 375–395.
- Aquino, K., Freeman, D., Reed, A., Lim, V. K. G., & Felps, W. (2009). Testing a social-cognitive model of moral behavior: The interactive influence of situations and moral identity centrality. *Journal of Personality and Social Psychology*, *97*(1), 123–141.
<https://doi.org/10.1037/a0015406>
- Aquino, K., & Reed, A. (2002a). The self-importance of moral identity. *Journal of Personality and Social Psychology*, *83*(6), 1423–1440. <https://doi.org/10.1037/0022-3514.83.6.1423>
- Aquino, K., Reed II, A., Thau, S., & Freeman, D. (2007). A grotesque and dark beauty: How moral identity and mechanisms of moral disengagement influence cognitive and emotional reactions to war. *Journal of Experimental Social Psychology*, *43*(3), 385–392. <https://doi.org/10.1016/j.jesp.2006.05.013>
- Aw, W. (n.d.-a). *Accreditation's role in reducing medical errors. 2.*
- Baker, J. M., Kelly, C., Calhoun, L. G., Cann, A., & Tedeschi, R. G. (2008). An Examination of Posttraumatic Growth and Posttraumatic Depreciation: Two Exploratory Studies.

Journal of Loss and Trauma, 13(5), 450–465.

<https://doi.org/10.1080/15325020802171367>

Bandura, A. (1986). The explanatory and predictive scope of self-efficacy theory. *Journal of Social and Clinical Psychology*, 4(3), 359–373.

Bandura, A. (1990a). Selective Activation and Disengagement of Moral Control. *Journal of Social Issues*, 46(1), 27–46. <https://doi.org/10.1111/j.1540-4560.1990.tb00270.x>

Bandura, A. (1991). Social cognitive theory of self-regulation. *Organizational Behavior and Human Decision Processes*, 50(2), 248–287. [https://doi.org/10.1016/0749-5978\(91\)90022-L](https://doi.org/10.1016/0749-5978(91)90022-L)

Bandura, A. (2000). *Social Cognitive Theory: An Agentic Perspective*. 28.

Bandura, A. (2002). Selective moral disengagement in the exercise of moral agency. *Journal of Moral Education*, 31(2), 101–119.

Bandura, A., Barbaranelli, C., Caprara, G. V., & Pastorelli, C. (1996). Mechanisms of moral disengagement in the exercise of moral agency. *Journal of Personality and Social Psychology*, 71(2), 364.

Bandura, A., Caprara, G. V., Barbaranelli, C., Pastorelli, C., & Regalia, C. (n.d.). *Sociocognitive Self-Regulatory Mechanisms Governing Transgressive Behavior*. 11.

Barrington, A., & Shakespeare-Finch, J. (2013). Posttraumatic Growth and Posttraumatic Depreciation as Predictors of Psychological Adjustment. *Journal of Loss and Trauma*, 18(5), 429–443. <https://doi.org/10.1080/15325024.2012.714210>

Becker, C. S. (1992). *Living and relating: An introduction to phenomenology*. Sage Publications, Inc.

- Bizer, G. Y., & Krosnick, J. A. (2001). Exploring the structure of strength-related attitude features: The relation between attitude importance and attitude accessibility. *Journal of Personality and Social Psychology, 81*(4), 566–586. <https://doi.org/10.1037/0022-3514.81.4.566>
- Blasi, A. (1980). Bridging moral cognition and moral action: A critical review of the literature. *Psychological Bulletin, 88*(1), 1–45. <https://doi.org/10.1037/0033-2909.88.1.1>
- Blasi, A. (1999). Emotions and Moral Motivation. *Journal for the Theory of Social Behaviour, 29*(1), 1–19. <https://doi.org/10.1111/1468-5914.00088>
- Blasi, A. (2004). Neither personality nor cognition: An alternative approach to the nature of the self. *Changing Conceptions of Psychological Life, 3–25*.
- Blasi, A., Kurtines, W. M., & Gewirtz, J. L. (1994). Moral identity: Its role in moral functioning. *Fundamental Research in Moral Development, 2*, 168–179.
- Boardley, I. D., & Kavussanu, M. (2010). Effects of Goal Orientation and Perceived Value of Toughness on Antisocial Behavior in Soccer: The Mediating Role of Moral Disengagement. *Journal of Sport and Exercise Psychology, 32*(2), 176–192. <https://doi.org/10.1123/jsep.32.2.176>
- Boudreau, T. (2011). The morally injured. *The Massachusetts Review, 52*(3/4), 746–754.
- Briere, J. N., & Scott, C. (2006). What is trauma. *Principles of Trauma Therapy: A Guide to Symptoms, Evaluation, and Treatment, 3–11*.
- Brock, R. N., & Lettini, G. (2012a). *Soul repair: Recovering from moral injury after war*. Beacon Press.

- Bryan, C. J., Bryan, A. O., Roberge, E., Leifker, F. R., & Rozek, D. C. (2018). Moral injury, posttraumatic stress disorder, and suicidal behavior among National Guard personnel. *Psychological Trauma: Theory, Research, Practice, and Policy*, *10*(1), 36–45.
<https://doi.org/10.1037/tra0000290>
- Bucciarelli, M., Khemlani, S., & Johnson-Laird, P. N. (2008). The psychology of moral reasoning. *Judgment and Decision Making*, *3*(2), 19.
- Burke, P. J., & Stets, J. E. (2009). *Identity theory*. Oxford University Press.
- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. (2006). The foundations of posttraumatic growth: An expanded framework. *Handbook of Posttraumatic Growth: Research and Practice*, 3–23.
- Cann, A., Calhoun, L. G., Tedeschi, R. G., Kilmer, R. P., Gil-Rivas, V., Vishnevsky, T., & Danhauer, S. C. (2010). The Core Beliefs Inventory: A brief measure of disruption in the assumptive world. *Anxiety, Stress & Coping*, *23*(1), 19–34.
<https://doi.org/10.1080/10615800802573013>
- Caprara, G. V., Fida, R., Vecchione, M., Tramontano, C., & Barbaranelli, C. (2009). Assessing civic moral disengagement: Dimensionality and construct validity. *Personality and Individual Differences*, *47*(5), 504–509.
- Carlo, G., & Randall, B. A. (2002). The development of a measure of prosocial behaviors for late adolescents. *Journal of Youth and Adolescence*, *31*(1), 31–44.
- Caroli, M. E. D., & Sagone, E. (2014). Mechanisms of Moral Disengagement: An Analysis from Early Adolescence to Youth. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, *140*, 312–317. <https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.04.426>

- Cervone, D., & Tripathi, R. (2009). The moral functioning of the person as a whole: On moral psychology and personality science. *Personality, Identity and Character, Explorations in Moral Psychology*, 30–51.
- Chan, D. K. & University of Wisconsin-Madison (Eds.). (2008a). *Moral psychology today: Essays on values, rational choice, and the will*. Springer.
- Cohen, L. H., Hettler, T. R., & Pane, N. (1998). Assessment of posttraumatic growth. *Posttraumatic Growth: Positive Changes in the Aftermath of Crisis*, 23–42.
- Creswell, J. W. (1999). Mixed-method research: Introduction and application. In *Handbook of educational policy* (pp. 455–472). Elsevier.
- Creswell, J. W., Plano Clark, V. L., Gutmann, M. L., & Hanson, W. E. (2003). An expanded typology for classifying mixed methods research into designs. *A. Tashakkori y C. Teddlie, Handbook of Mixed Methods in Social and Behavioral Research*, 209–240.
- Cross, S. E., Bacon, P. L., & Morris, M. L. (n.d.). *The Relational-Interdependent Self- Construal and Relationships*. 18.
- Cross, S. E., & Madson, L. (n.d.). *Models of the Self: Self-Construals and Gender*. 33.
- Currier, J. M., Holland, J. M., Drescher, K., & Foy, D. (2015a). Initial Psychometric Evaluation of the Moral Injury Questionnaire-Military Version: Moral Injury Questionnaire. *Clinical Psychology & Psychotherapy*, 22(1), 54–63.
<https://doi.org/10.1002/cpp.1866>
- Currier, J. M., Holland, J. M., Rojas-Flores, L., Herrera, S., & Foy, D. (2015). Morally injurious experiences and meaning in Salvadorian teachers exposed to violence. *Psychological Trauma: Theory, Research, Practice, and Policy*, 7(1), 24–33.
<https://doi.org/10.1037/a0034092>

- Damasio, A. R. (1994). *Descartes' Error. Emotion, Reason and the Human Brain*. New York (Grosset/Putnam) 1994.
- Damon, W. (1977). *The social world of the child*. San Francisco: Jossey-Bass Publishers.
- De Hooge, I. E., Zeelenberg, M., & Breugelmans, S. M. (2007). Moral sentiments and cooperation: Differential influences of shame and guilt. *Cognition and Emotion*, 21(5), 1025–1042.
- Detert, J. R., Treviño, L. K., & Sweitzer, V. L. (2008). Moral disengagement in ethical decision making: A study of antecedents and outcomes. *Journal of Applied Psychology*, 93(2), 374–391. <https://doi.org/10.1037/0021-9010.93.2.374>
- Dombo, E. A., Gray, C., & Early, B. P. (2013a). The Trauma of Moral Injury: Beyond the Battlefield. *Journal of Religion & Spirituality in Social Work: Social Thought*, 32(3), 197–210. <https://doi.org/10.1080/15426432.2013.801732>
- Drescher, K. D., Foy, D. W., Kelly, C., Leshner, A., Schutz, K., & Litz, B. (2011a). An exploration of the viability and usefulness of the construct of moral injury in war veterans. *Traumatology*, 17(1), 8–13. <https://doi.org/10.1177/1534765610395615>
- Duriez, B., & Soenens, B. (2006). Religiosity, moral attitudes and moral competence: A critical investigation of the religiosity-morality relation. *International Journal of Behavioral Development*, 30(1), 76–83. <https://doi.org/10.1177/0165025406062127>
- Durkheim, E. (2012). *Moral education*. Courier Corporation.
- Durkheim, E., & Fields, K. E. (1995). *The elementary forms of religious life*. Free Press.
- Else-Quest, N. M., Higgins, A., Allison, C., & Morton, L. C. (2012). Gender differences in self-conscious emotional experience: A meta-analysis. *Psychological Bulletin*, 138(5), 947–981. <https://doi.org/10.1037/a0027930>

- Farnsworth, J. K., Drescher, K. D., Evans, W., & Walser, R. D. (2017). A functional approach to understanding and treating military-related moral injury. *Journal of Contextual Behavioral Science*, *6*(4), 391–397. <https://doi.org/10.1016/j.jcbs.2017.07.003>
- Farnsworth, J. K., Drescher, K. D., Nieuwsma, J. A., Walser, R. B., & Currier, J. M. (2014). The Role of Moral Emotions in Military Trauma: Implications for the Study and Treatment of Moral Injury. *Review of General Psychology*, *18*(4), 249–262. <https://doi.org/10.1037/gpr0000018>
- Fernandez-Duque, D., & Schwartz, B. (2016). Common Sense Beliefs about the Central Self, Moral Character, and the Brain. *Frontiers in Psychology*, *6*. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2015.02007>
- Ferrajão, P. C., & Aragão Oliveira, R. (2016a). Portuguese War Veterans: Moral Injury and Factors Related to Recovery From PTSD. *Qualitative Health Research*, *26*(2), 204–214. <https://doi.org/10.1177/1049732315573012>
- Ferrajão, P. C., & Oliveira, R. A. (2014). Self-awareness of mental states, self-integration of personal schemas, perceived social support, posttraumatic and depression levels, and moral injury: A mixed-method study among Portuguese war veterans. *Traumatology*, *20*(4), 277–285. <https://doi.org/10.1037/trm0000016>
- Fonagy, P., & Allison, E. (2014). Mentalization-Based Treatment. *The Encyclopedia of Clinical Psychology*, 1–3.
- Gabel, S. (2011). Addressing Demoralization in Clinical Staff: A True Test of Leadership. *The Journal of Nervous and Mental Disease*, *199*(11), 892–895. <https://doi.org/10.1097/NMD.0b013e3182349e79>

